# მსოფლიო ისტორია

სახელმძღვანელო

8



LAYİHƏ





# Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

**Musiqisi** ***Üzeyir Hacıbəylinin,***
**sözləri** ***Əhməd Cavadındır.***

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

LAYİHƏ



# ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

LAYİHƏ

LAYİHƏ

იაგუბ მაჰმუდლუ, საბირ აგაევი,
ტოფიკ ნაჯაფლი, ბაბექ ხუბიაროვი,
ამანა ქერბალაევა

# მსოფლიო ისტორია 8

## სახელმძღვანელო

*საერთო- საგანმანათლებლო სკოლების*
*მე- 8 კლასისათვის*

ამ გამოცემასთან დაკავშირებული გამოხმაურებები, შენიშვნები და წინადადებები გთხოვთ გამოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: aspoligraf.ltd@gmail.com და derslik@edu.gov.az
წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის!

LAYİHƏ

"ASPOLIQRAF"
ბაქო –2017 წ.

# შინაარსი

## რა ხდებოდა აღმოსავლეთში XVII–XVIII საუკუნეებში?


**1.** აზერბაიჯანული საფევიდური იმპერია ახალი ხანის დაწყებამდე ......7
**2.** ნადირ შაჰ აფშარის იმპერია ......11
**3.** ყაჯართა იმპერიის შექმნა ......16
**4.** დიდ მოღოლთა იმპერიის დაშლა ......20
**5.** ჩინეთი– „ჩაკეტილი ქვეყანა“ ......25
**6.** „ამომავალი მზის ქვეყნა“ ......31
**7.** აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურა ......36


## თურქული სამყარო და კავკასიის ხალხები XVII–XVIII საუკუნეებში


**8.** ოსმალეთის იმპერია– დაცემის დასაწყისი ......39
**8.1.** ახალ ხანაში ძლელი წესებით შესული იმპერია ......39
**8.2.** ოსმალეთის საერთაშორისო გავლენის შესუსტება ......44
**8.3.** ევროპული ქვეყნების გეგმები ოსმალეთის იმპერიის დანაწილებაზე ......48
**9.** ცენტრალური აზიის სახანოები ......53
**10.** პოვოლჟიეს, ურალისა და ციმბირის თურქული ხალხები ......58
**11.** კავკასია XVII–XVIII საუკუნეებში ......62
**11.1.** ჩრდილო კავკასია ახალი ხანის დაწყებამდე ......62
**11.2.** სამხრეთ კავკასია– ვერაგული გეგმების სამიზნე ......67
**12.** თურქი და კავკასიელი ხალხების კულტურა ......71


## ევროპა და ამერიკა


**13.** „ნისლიანი ალბიონი“– ნისლი იფანტება ......77
**13.1.** პარლამენტი თუ მეფე? ......77
**13.2.** როგორ შეიქმნა დიდი ბრიტანეთის სამეფო? ......81
**13.3.** პირველი მსოფლიოში ინდუსტრიული ქვეყანა ......86
**14.** „ახალი ინგლისი“ ჩრდილო ამერიკაში ......90
**14.1.** ახალი ცხოვრება ჩრდილო ამერიკაში ......90
**14.2.** ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა ......94


LAYİHƏ

**15.** „მშვიდობა ქოხებს– ომი სასახლეებს“ ....................................................98
**15.1.** ფრანგული რევოლუციის მაცნე ....................................................98
**15.2.** ჟირონდისტები და იაკობინელები ............................................102
**15.3.** ტერმიდორელები და ნაპოლეონ ბონაპარტე..............................107
**16.** რუსეთი ახალი ხანის ზღვარზე..........................................................112
**16.1.** რუსეთის პირველი იმპერატორი ......................................................112
**16.2.** ბრძოლა თბილ ზღვებში გასასვლელისათვის.................................117
**17.** ამერიკისა და ევროპის კულტურა ......................................................122

LAYİHƏ

*ძვირფასო სკოლელებო!*

მე-7 კლასისი „მსოფლიო ისტორიის“ სახელმძღვანელოდან თქვენ შეიტყვეთ, თუ როგორ იქმნებოდნენ V–XVI საუკუნეებში ფეოდალური ურთიერთობების განვითარების ფონზე ცენტრალიზებული სახელმწიფოები აზიასა და ევროპაში. პირველად ფეოდალიზმი ჩამოყალიბდა აზიაში, აქვე შეიქმნენ პირველი ცენტრალიზებული ქვეყნები. აღმოსავლეთის შემდეგ, ევროპაც შევიდა ფეოდალურ ურთიერთობებში და ამ ურთიერთობის განვითარება უფო ინტენსიურად დიწყო. ევროპაში შეიქმნა ძლიერი სახელმწიფოები. მათ შორის ხდებოდა ომები, რომლებსაც მსოფლიოს ხალხებისათვის ტანჯვა და წამება მოჰქონდათ. ყველაფერმა ამან მაინც ვერ შეუშალა ხელი განვითარებას, პროგრესს. ახალმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ შეცვალა ხალხის ცხოვრება. ჩამოყალიბდა და დაიწყო კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება. მსოფლიო შევიდა ისტორიული განვითარების ახლ სტადიაში.

ეს სახელმძღვანელო მოგითხრობთ მოვლენებზე, რომელნიც ადგილი ჰქონდათ XVII–XVIII საუკუნეებში მსოფლიოს სახელმწიფოებში ბურჟუაზიისა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩასახვის მომენტიდან. ბევრი ისტორიკოსი ამ მომენტს უწოდებს ახალ ისტორიას. თქვენ გაიცნობთ მსოფლიოში ცნობილ ისტორიულ პიროვნებებს. ამ სახელმძღვანელოს მეშვეობით თქვენ გახდებით სახელმწიფო ურთიერთობების ახალ სიბრტყეში გადასვლის მოწმენი. ისეთ სიბრტყესი სადაც პოლიტიკა „გათიშე და იბატონე“ არის ძირითადი შემადგენელი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში. მსოფლიოს ქვეყნები იყოფიან დამყრობლებზე და მათ დასაპყრობ მიშენებზე. ასეთ სახელმწიფოთა რიცხვს აზერბაიჯანიც მიეკუთვნება. სახელმძღვანელო ასევე დაგვეხმარება აზერბაიჯანის დანახვაში მსოფლიოს სხვა ქვეყნების თვალით, მსოფლიოში მისი ადგილის განსაზღვრაში. კეთილი სურვილებით ახალ სასწავლო წელს...

***ავტორები***

LAYİHƏ

## რა ხდებოდა აღმოსავლეთში XVII–XVIII საუკუნეებში?

### 1. აზერბაიჯანული საფევიდური იმპერია ახალი ხანის დაწყებამდე



*XVI საუკუნის ბოლოს ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა აზიურმა იმპერიამ– აზერბაიჯანულმა სეფევიდურმა სახელმწიფომ იწვნია მარცხი ოსმალეთის იმპერიისგან რის შედეგადაც მან დაკარგა თავისი ტერიტორიების ნაწილი. სახელმწიფო საზღვრების აღსადგენად შაჰ აბას I დაიწყო სამხედრო მოქმედებები. 1603–1612 წწ. სეფევიდურ – ოსმალური ომი დამთავრდა სეფევიდური მიწების დაბრუნებით. XVII საუკუნის პირველ ნახევარში აღდგენილ იქნა აზერბაიჯანული სეფევიდური იმპერიის სიძლიერე.*



**რა ცვლილებები მოხდა მეზობელი ქვეყნების ცხოვრებაში სეფევიდთა იმპერიის ძლიერების აღდგენით?**

**ძირითადი სიტყვები:** *აზერბაიჯანის სეფევიდთა იმპერია, შაჰ აბას I, ისფაჰანი, ნადირ ჰახ აფშარი.*

**ეკონომიკური მდგომარეობა.** შაჰ სეფის (1629–1642), რომელიც ავიდა ტახტზე შაჰ აბას I სიკვდილის შემდეგ, მიერ დადებულმა გასრი-შირიის სამშვიდობო ზავმა დაამთავრა ომი ოსმალეთთან. ამან შესაძლებლო მისცა ქვეყანას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებისათვის, ასევე გამოცოცხლდა ვაჭრობა და ხელოსნობა. დაიწყო ურთიერთობების განვითარება მეზობელ ქვეყნებთან. გამოცოცხლდა ვოლგაკასპიის სავაჭრო საზღვაო გზა. გაიზარდა და გაძლიერდა ურთიერთობები ევროპის ქვეყნებთან. საერთო ეკონომიკური ვითარების გაუნჯობესებამ ასევე დიდი გავლენა იქონია ქალაქებზეც. დიდ ქალაქებში, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ სავაჭრო სატრანზიტო გზებზე გამოცოცხლება სუფევდა.




*ვოლგა– კასპიის სავაჭრო სავაჭრო გზა. ამ გზით იმოგზაურა ცნობილმა გერმანულმა მოგზაურმა ადამ ოლეარიმ XVII საუკუნეში*



LAYİHƏ

თავრიზი, არდებილი, შამახა, ბაქო,არეში, ისფაჰანი,კაშანი,იეზდი, შირაზი, ხამადანი და სხვა დიდი ქალაქები ცნობილნი, როგორც ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრები აწარმოებდნენ ვაჭრობას ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებთან.

***რატომ ვითარდებოდა ეკონომიკა ქალაქებში?***

ქვეყანაში განვითარებული იყო ისეთი ხელობები, როგორიცაა ხალიჩების ქსოვა, მეტალის დამუშავება, ტყავის დამუშავება. ხალიჩების ქსოვამ მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს. თავრიზში, შემახაში,ბაღდაში ხალიჩებს ევროპელი ვაჭრები ყიდულობდნენ. ხალიჩების წარმოების ძირითად ადგილებს წარმოადგენდნენ აზერბაიჯანი, კირმანი, კაშანი, ფარსი და ხურისტანი.ვინაიდან სავაჭრო

აზერბაიჯანული სეფევიდური სახელმწიფო
(შაჰ აბას I და მისი შთამომავლების დროს 1587–1736წწ.)




LAYİHƏ

სატრანზიტო გზები XVII საუკუნის ბოლოს შეიცვალა სახელმწიფოში სავაჭრო გზებმა დაკარგეს თავისი აქტუალობა.

*რატომ შეიცვალა ტრადიციული სავაჭრო გზები?*

აბრეშუმით ვაჭრობაზე მოთხოვნა, რომელიც სახელმწიფოს ძირითად შემოსავალს წარმოადგენდა შემცირდა. ამან გამოიწვია სავაჭრო გზებზე არსებული მსხვილი ქალაქების მნიშვნელობის დაცემა საერთაშორისო ვაჭრობაში. სახელმწიფოს ეკონომიკური სიტუაცია უარესდებოდა. სეფევიდთა სახელმწიფოს ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებამ მთლიანად იმოქმედა სახელმწიფოს ყველა სფეროს მდგომარეობაზე. ეკონომიკურმა კრიზისმა, როგორც შედეგი პოლიტიკური სიტუაციაც დამაბა სახელმწიფოს შიგნით.



*ცნობილი გერმანელი მხატვრის ჰანს გოლბეინის ტილოზე ასევე გამოხატულია აზერბაიჯანული ხალიჩა*

**სეფევიდური სახელმწიფოს დასუსტება და დაცემა.** პრინცების, რომელნიც შაჰ აბას I შემდგომ მოვიდნენ, სახელმწიფო საქმიანობისაგან ჩამოშორებამ გაართულა მათ მიერ სახელმწიფოს მმართვა. ამან კიდევ უფრო დაასუსტა სეფევიდთა სახელმწიფო. გაძლიერდა მსხვილი ფეოდალების ცენტრისადმი დაუმორჩილებლობის მცდელობები. ეკონომიკურმა კრიზისმა შეამცირა სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი. შაჰ სულთან ჰუსეინი იძულებული გახდა გადასახადები გაერზარდა. ამ ღონისძიებამაც ვერ შესძლო სახელმწიფოს ეკონომიკის ამოწევა.

*როგორ ფიქრობ, შესაძლებელია თუ არა სახელმწიფოს ეკონომიკური კრიზისიდან ამოყვანა ფადასახადების გაზრდით?*

სახელმწიფო მოიცა ფეოდალების წინააღმდეგ მიმართულმა გამოსვლებმა. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების გამო შეუძლებელი გახდა ამბოხების ჩახშობა, რომელნიც ეთდროულად მოხდა სახელმწიფოს სხვადასხვა ტერიტორიებზე.

1722 წელს ავღანელების მეთაურმა მირ მაჰმუდმა დაიპყრო ისფაჰანი. შაჰ სულთან ჰუსეინმა დაუთმო ტახტი მას.

ხელისუფლების დასუსტებამ შესაძლებლობა მისცა ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებს დაეკავათ სეფევიდთა მიწები. დაიწყო ოსმალეთ–რუსეთის მოლაპარაკებები სეფევიდთა სახელმწიფოს მიწების განაწილებაზე, რომელიც 1724 წელს დასრულდა სტამბულის ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულების მიხედვით, აზერბაიჯანი ორ სახელმწიფოს შორის იქნა გაყოფილი.

LAYİHƏ

XVIII საუკუნის დასაწყისში სეფევიდების ტერიტორიის ერთი ნაწილი ავღანელებმა დაიპყრეს, ხოლო მეორე – ოსმალებმა. სეფევიდთათვის რთულ ჟამს გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა მხედართმთავარმა ნადირ ხან აფშარმა ავღანელებთან ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა. ნადირ ხანმა, რომელმაც ოსმალებთანაც დაიწყო ბრძოლა 1733 წელს ზავი დადო. ზავის მიხედვით, ოსმალებმა უკან დააბრუნეს სეფევიდთა სახელმწიფოზე წართმეული მიწები.

ასე რომ, სეფევიდთა სახელმწიფოს საზღვრები აღდგენილი იყო. 3 წლის შემდეგ სეფევიდები გადაყენებულნი იყვნენ ნადირ შაჰის მიერ და მათი ადგილი ნადირ შაჰმა დაიკავა. ასე დასრულდა სეფევიდთა სახელმწიფოს არსებობა.

## კითხვები და დავალებები

1. მიუთითეთ ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობდა სეფევიდთა სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას XVII საუკუნის ნახევარში. 2. გადახაზე სქემა რვეულში. დაწერე იმ ქალაქების დასახელებები, რომელნიც საერთაშორისო სავაჭრო გზებზე იყვნენ განლაგებულნი.




3. რა იყო ეკონმიკური კრიზის მთავარი მიზეზი– ეს მხოლოდ სავაჭრო გზების გაუქმება იყო? დაამტკიცე შენი აზრი. 4. გაარკვიეთ სეფევიდთა სახელმწიფოს დაცემის არსი. 5. შეადგინე ქრონოლოგიური გეგმა და დაადგინე მიზეზობრივი კავშირი სეფევიდთა სახელმწიფოს დასუსტება დაშლასთან დაკავშირებული მოვლენები. 6. რუკის საფუძველზე აღწერე ტერიტორიული ცვლილებები სეფევიდთა სახელმწიფოში. 7. დაწერე შენი აზრები სეფევიდთა იმპერიის დასუსტება დაშლასთან დაკავშირებით და სხვა მეზობელ ქვეყნებზე გავლენის შესახებ.

## ქრონოლოგია

| 1722 წელი | 1724 წლის ივნისი |
| --- | --- |
| | |



LAYİHƏ

## 2. ნადირ შაჰ აფშარის იმპერია



*სეფევიდური მიწები განაწილებული იყო ავღანელებს, ოსმალებსა და რუსებს შორის. შაჰ თახმასიბ II (1722–1732) დაიწყო ბრძოლა სახელმწიფოს გაერთიანებისათვის. ჯარის მხედართმთავარმა ნადირ ხან აფშარმა, რომელიც მამაცი აზერბაიჯანელი მეომარი იყო და კარგად იცოდა სამხედრო საქმე, მოკლე ხანში გაანთავისუფლა სამშობლო უცხოელი დამპყრობლებისაგან. მან არადგინა სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები. 1736 მარტში ნადირ შაჰ აფშარმა დაასრულა სეფევიდთა დინასტიის მმართველობა და შექმნა აფშარების იმპერია.*

**რა კვალი დატოვა ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში აზერბაიჯანულმა აფშართა იმპერიამ?**

**ძირითადი სიტყვები:** *მუღანი, დელი, ხორასანი, ნადირ შაჰ აფშარი, ინდოეთი*

**ბრძოლა უცხოელ დამპყრობლებთან.** მუღანის ყრილობა. აზერბაიჯ-ანელი მხედართმთავარი ნადირ ხანი წარმოშობით იყო თურქული ტომი– აფშარებიდან. XVIII საუკუნი 20-ანი წლების ბოლოს მან დაამარცხა ავღანელები და განდევნა სახელმწიფოდან. ნადირ შაჰმა გაანთავისუფლა თავრიზი და არდებილი ოსმალებისაგან. ნადირ ხანის სამხედრო წარმატებებმა ხალში გავლენა გააძლიერა, რაც არ მოსწონდა შაჰ თახმ-ასიბ II. თავისი ავტორიტეტის გასაზრდელად 1731 წელს შაჰ თახმასიბ II ილაშქრა ოსმალებზე. იგი ირევანის მახლობლად შეებრძოლა ოსმალებს, მაგრამ დამარცხდა. შაჰ თახმასიბ II მიერ ოსმალეთთან ზავის დადებისა და სახელმწიფო ტერიტორიების დაკარგვის გამო ნადირ ხან აფშარმა შაჰ თახმასიბ II ტახტიდან გადააგდო და შაჰად გამოაცხადა მისი შვილი შაჰ აბას III. სინამდვილეში კი ძალაუ-ფლება ნადირ შაჰს ეკავა ხელში შაჰის მეურვად ყოფნის გამო.

***თქვენის აზრით, რატომ ჩამოა-გდო ტახტიდან შაჰ თახმასიბ II ნადირ ხანმა?***

თავისი გავლენის გამოყენებით 1736 წელს ნადირ შაჰმა მოაწყო ყრი-ლობა, მუღანში. ყრილობაზე ნადირ



*ნადირ შაჰ აფშარის ძეგლი. ისლამური რესპუბლიკა ირანი*

LAYİHƏ



*მღანის ყრილობა. ნადირ ხან აფშარის შაჰად გამოცხადება*

შაჰი არჩეულ იქნა სახელმწიფოს მეთაურად – შაჰად. ამით ბოლო მოეღო სეფევიდთა მმართველობას.

ნადირ შაჰის (1736–1747) მმართველობის წლებში ფეოდალური უთანხმოებები შეწყდა. ყველა ის ფეოდალი, რომელსაც არ სურდა ცენტრს დამორჩილებოდა სამაგალითოდ დასჯილნი იყვნენ. ცენტრალიზებული სახელმწიფოს გასაძლიერებლად ნადირ შაჰ აშარმა ჩაატარა რეფორმები სახელმწიფო აპარატში. მიიღო ზომები რელიგიის შიიტებზე და სუნიტებზე დაყოფის წინააღმდეგ.

***აფშართა სახელმწიფოს ტერიტორიების გაფართოვება.*** ნადირ შაჰს სურდა ხაზინის გავსება ახალი ტერიტორიების დაპყრობით. 1736 წელს მაზნ დალაშქრა ავღანეთი. დაიპყრო ქაბული და განდაღარი. შემდგომ მან დაადანაშაულა დიდი მოგოლები იმპერატორი მუჰამედ შაჰი ავღანელების შეფარებაში და დაიწყო ინდოეთზე სამხედრო ლაშქრობისათვის მზადება.

***თქვენის აზრით მოახდენდა თუ არა ნადირ შაჰი ლაშქრობას ინდოეთზე დიდ მოგოლთა იმპერატორს ავღანელებისათვის თავშესაფარი რომ არ მიეცა?***

1738 წელს ნადირშაჰმა სეაგროვა 100 ათასიანი ჯარი და ინდოეთი დალაშქრა. როდესაც ნადირ შაჰი ჯალილაბადსი შევიდა მას შეატყობინეს რომ, მოგოლთა იმპერატორის ელჩს სურდა მასთან შეხვედრა. ნადირ შაჰმა მიიღო ელჩი. ელჩმა შეატყობინა რომ, იგი იმპერატორის მიერ გამოგზავნილი იყო იმის გასაგებათ თუ რა მიზნით იყო შემოსული ინდოეთში ნადირ შაჰი. ნადირ შაჰმა მიუგო რომ, თავისი ჩამოსვლის მიზანს პირადად მოგოლთა იმპერატორს მუჰამედ შაჰს შეატყობინებდა დელიში.



*ნადირ შაჰი ბრძოლის დროს*

***რისი თქმა სურდა ნადირ შაჰს ამით ელჩისათვის?***

LAYIHƏ

1739 წელს ნადირ შაჰი თავისი ჯარით ლახორიდან შაჰჯახანაბადისკენ დაიძრა. კარნალის მდაბლობზე ნადირ შაჰს დახვდა მოღოლთა უზარმაზარი ჯარი.



*ნადირ შაჰი იღებს ვასალურ მოღოლთა მმართველს მუჰამედ შაჰს*

აფშარის თურქულ ჯარს პირველად მოუწია სპილოებთან ბრძოლა. ნადირ შაჰის მიერ მიღებულმა ზომებმა გაამარჯვებინეს მას. დაიწყო თუ არა ბრძოლა ნადირ შაჰმა უბრძანა თავის ჯარისკაცებს ცეცხლი მოეკიდათ ზეთით დატვირთულ აქლემებზე და გაერეკათ ისინი მოგოლების ჯარისაკენ. ცეცხლმოკიდებული აქლემების ბღავილით და სუნით დაბნეულმა და დასინებულმა სპილოებმა უკან დაიხიეს მოგოლთა ჯარის გათელვით. ამიტ ისარგებლა ნადირ შაჰის ჯარმა. ცხენოსნებმა შეუტიეს არეულობის დროს იმავდროულად ზარბაზნებმა გაუჩერებლივ გახსნეს ცეცხლი. სულიერად დაცემულმა ჯარმა მოსთხოვა მოგოლთა იმპერატორს დანებებულიყვნენ მტერს. მუჰამედ შაჰმა ელჩები გაუგზავნა ნადირ შაჰს და თვითონ პირადად ეახლა მას ზავის წინადადებით. ზავის შედეგად ტერიტორია ინდის დასავლეთით შეუერთდა აფშართა იმპერიას. დელიში არსებული ხაზინა, სპილოები და ზარბაზნები გადაეცა ნადირ შაჰს.




ნოვრუზ ბაირამის დროს მეჩეთში მის საპატივსაცემოდ წაკითხულ იქნა ლოცვა – ხოთბა. იმავე დღეს მოეწყო ქეიფი. ქეიფის დროს ნადირ შაჰს მიართვეს მუჰამედ შაჰის ხაზინის გასაღები.

LAYİHƏ



*ალმასი- „კოჰინური“*



*ნადირ შაჰის ტრონი ინახება ტოპგაფიში სტამბულში*

ძვირფასი თვლებით მორთული ტახტი და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ალმასი- „კოჰ-ინური“ („სინათლის მთა“) მიართვეს ნადირ შაჰს საჩუქრად. ამის შედ-ეგად აფშარის იმპერიის საზღვ-რები ინდამდე გაიზარდა.

რა შედიოდა მშვიდობიან ზავსი, რომელიც ნადირ შაჰმა დადო დიდ მოგოლთა იმპერიასთან?

1740 წელს ნადირ შაჰმა თურ-ქესტანში ლაშქრობისათვის დაიწყო მზადება. მიზეზი გახდა ხივინის შაჰის უპატივცემლობა. იგი რამო-დენიმეჯერ დაესხა ხორასანს და გაძარცვა. ნადირ შაჰმა გადაწყვიტა ერთხელ და საბოლოოდ მოეშ-ორებინა ეს ჭირი.

მიუხედავად გამრისხებული წინააღმდეგობისა ხივინის სახანო მაინც დამარცხდა. და მას მოუწია ნადირ შაჰის ძალაუფლების აღია-რება. ამის შემდეგ ბუხარის ხანმა აბულფაზლმა აღიარა ნადირ შაჰის მმართველობა.

1740 წელს ნადირ შაჰი მერვის გავლით დაბრუნდა თავის მშობ-ლიურ სოფელში. მან გაალამაზა კელატი, დარგო ბაღები, მოამარაგა ახალი წყლის არხებით. მან გასცა ბრძანება თავისთვის აკლდამის აშენებაზე. მარაგიდან ჩამოტანილ იქნა შავი მარმარილო.

1743–1746 წლებში ოსმალებთან ბრძოლების დროს ნადირ შაჰმა რიგ წარმატებებს მიაღწია. მაგრამ ომებმა ძლიერი დარტყმა მიაყენეს სახელ-მწიფოს ეკონომიკას. გადასახადების გაზრდამ გამოიწვია მოსახლეობის უკმაყოფილება და აჯანყებები.

სიცოცხლის ბოლო წლებში ნადირ შაჰის მიერ მიღებულმა მკაცრმა გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრო დაძაბეს სიტუაცია სახელმწიფოში და გაახშირეს აჯანყებები.

1747 წელს ნადირ შაჰი მოკლული იქნა თავდასხმის შედეგად.

LAYİHƏ

იმპერიაში დაიწყო ფეოდალური უთანხმოებებიდა ბრძოლა ხელისუფლებისათვის.

თავისი სამხედრო ნიჭით აზერბაიჯანელი მხედართმთავარი ნადირ შაჰ აფშარი ღირსეულ ადგილს იკავებს ისტორიაში. ტყუილად არ უზახიან მას, თავისი სამხედრო ნიჭის გამო, ალექსანდრე მაკედონელს და აღმოსავლეთის ნაპოლეონს.

***რა გრძნობებს იწვევს შენში ნადირ შაჰ აფშარის ეს შეფასებები?***

## კითხვები და დავალებები

1. რა იყო ნადირ შაჰის მიერ ჩატარებული რეფორმების მიზანი? 2. შეეცადეთ დაამტკიცოდ რომ,ნადირ შაჰი იყო თავისი დროის ცნობილი დამპყრობი? 3. გადაწერე რვეულში ნადირ შაჰის დაპყრობების სქემა და შეავსე (მიუთითე დაპყრობილი ქვეყნების და ქალაქების დასახელებები).




4.თანამედროვე რუკაზე აღნიშნე ნადირ შაჰის იმპერიის ტერიტორია.

## ქრონოლოგია

| 1736 წელი | 1739 წელი | 1740 წლის ბოლო | 1747 წელი |
|---|---|---|---|
| | | | |



LAYİHƏ

## 3. ყაჯართა იმპერიის შექმნა



*ნადირ შაჰ აფშარის სიკვდილის შემდეგ ირანში დაიწყო ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლებისათვის. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა აზერბაიჯანელი თურქების– ყაჯარების, აფშარებსა და სპარს ზენდებს შორის.*



როგორ მოხდა რომ, ამ ბრძოლაში გამარჯვება ყაჯარებს ხვდა წილად? რატომ დალაშქრა აღა-მაჰმად– ხან ყაჯარმა სამხრეთ კავკასია?

**ძირითადი სიტყვები:** *ყაჯართა სახელმწიფო, ყანდაარი, ფათალი ხან აფშარი, აღა– მაჰმად– ხან ყაჯარი, სამხრეთ კავკასია*

**მეტოქენი.** ჯერ კიდევ ნადირ შაჰის სიცოცხლის დროს ყაჯარებმა მუჰამედ– ჰასან ხან ყაჯარის ხელმძღვანელობით მოხდა აჯანყება, რომლის შედეგადაც ყაჯარებმა ასტრაბადი და მაზანდარანი. მალე ისინი დამარცხდნენ, ხოლო მუჰამედ– ჰასან ხან ყაჯარი კი დღევანდელ თურქმენეთში მიიმალა. ნადირ შაჰ აფშარის მკვლელობის შემდეგ მუჰამედ– ჰასან ხან ყაჯარმა ასტრაბადი, მაზანდარანი და გილანი დაიპყრო. ცენტრალურ ირანში ხელისუფლებისათვის ბრძოლაში სპარსი– ზენდები ჩაერთვნენ. ცენტრალური და დასავლეთ ირანი გადავიდა ზენდების ხელში– ქერიმ ხან ზენდის მეთაურობით.



*აღა– მაჰმად– შაჰ ყაჯარი (ცვილის ფიგურა)*

მუჰამედ– ჰასან ხან ყაჯარმა დაამარცხა ქერიმ ხანი და აიძულა უკან დაეხია ცენტრალურ ირანში. 1759 წელს მუჰამედ– ჰასან ხან ყაჯარი მოკლული იყო ქალაქ სარისთან.

***ვის შორის მიდიოდა ბრძოლა პოლიტიკური ხელისუფლებისათვის?***

1763 წელს ქერიმ ხან ზენდმა დაამარცხა ურმიის მმართველი ფათალი ხან აფშარი სამხრეთ აზერბაიჯანში, დაიმორჩილა თავრიზი, მარაგა და რიგი აზერბაიჯანული ოლქები. ქერიმ ხანმა გამოიყენა აფშარების და ყაჯარების ურთიერთ

LAYİHƏ

ბრძოლა და ფაქტიურად ირანში ჩაიგდო მთელი ხელისუფლება. ამის მიუხედავად მან განაცხადა რომ, იგი არ იბრძვის შაჰის ტახტისათვის და იმისათვის რომ, არ გაეღიზიანებინა აზერბაიჯანელი თურქები, მმართავდა სეფევიდთა სახელით.

ყველაზე დიდ საშიშროებას ქერიმ ხან ზენდისთვის წარმოადგენდნენ ყაჯარები. ამიტომაც ომები ყაჯართა და ზენდებს სორის არ ჩერდებოდა.

***რატომ მმართავდა ქერიმ ხან ზენდი სეფევიდთა სახელით?***

**ყაჯართა სახელმწიფოს შექმნა.** ქერიმ ხამნ ზენდის სიკვდილის შემდეგ, ხელისუფლებისათვის ბრძოლა უფრო გაძლიერდა.

იმის შემდეგ რაც ყაჯართა სათავეში ჩადგა აღა–მაჰმად–ხანი, რომელიც ასტრაბადში, მუჰამედ– ჰასან ხან ყაჯარის ოჯახში დაიბადა, ყაჯარები უფრო გაძლიერდნენ. 1780 წელს სათავეში მოსვლის შემდეგ აღა–მაჰმად–ხან ყაჯარმა დაიმორჩილა მაზანდარანი, ასტრაბადი, გილანი, თეირანი, გუმი, კაშანი და ისჰფაჰანი. თეირანი მან გადააქცია თავის რეზიდენციად, ხოლო მოგვიანებით კი– სახელმწიფოს დედაქალაქად.

1785 წლის ბოლოს აღა– მაჰმად– ხან ყაჯარმა სძლია ზენდებს. ამის შემდეგ რიგმა დამოუკიდებელმა სახანომ სამხრეთ აზერბაიჯანში მიიღეს ყაჯარების უფროსობა.

1794 წელს დამთავრდა ნადირ შაჰის იმპერიის თითქმის მთლიანად აღდგენის პროცესი აღა– მაჰმად– ხან ყაჯარის მეთურობით. ხელისუფლების სათავეში მოვიდა აზერბაიჯანული ყაჯართა ტომი. აღა– მაჰმად– ხან ყაჯარს სურდა სეფევიდთა და ნადირ შაჰის იმპერიის ისტორიული საზღვრების აღდგენა.



*აღა– მაჰმად– ხან ყაჯარის ჯარი ბრძოლაში*

LAYİHƏ

ამ მიზნის მისაღწევად მან 1795 წელს სამხრეთ კავკასიაზე ილაშქრა. ირევანის აღების შემდგომ იგი შუშაცკენ გაემართა. 33 დღიანმა ალყამ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა და იგი ტიფლისისაკენ გაემართა, რომელიც დაიპყრო და ააოხრა.

*რისი მიღწევა სურდა აღა–მაჰმად–ხან ყაჯარს კავკასიაზე ლაშქრობის დროს?*

1796 წელს აღა– მაჰმად– ხან ყაჯარს ჩაუტარდა კორონაცია და იგი ავიდა ტახტზე. ამის მერე ირანში და სხვა მიმდებარე ტერიტორიებზე დაიწყო აზერბაიჯანული ყაჯართა ტომის მმართველობა. ეს ხანა გრძელდებოდა 1796 წლიდან– 1925 წლამდე.

აღა–მაჰმად–ხან ყაჯარი ყურადღებით აკვირდებოდა ყველა პროცესებს, რომელნიც მიმდინარეობდა რეგიონში. იგი ხედავდა თუ როგორ ცდილობდა რუსეთი მთლიანი კავკასიის დაპყრობას. აღა– მაჰმად– ხან ყაჯარმა რუსეთის ჩანაფიქრის ხელის შესაშლელად 1796 წელს დალაშქრა კავკასია მეორედ, მაგრამ იგი შეთქმულების წყალობით მოკლული იქნა. მისი ჩანაფიქრი შემოეერთა ჩრდილო აზერბაიჯანის ტერიტორიები ვერ განხორციელდა.

*რომელ მხარეთა შორის მიმდინარეობდა ბრძოლა ხელისუფლებისათვის ყაჯართა სახელმწიფოში?*

*ყაჯართა სახელმწიფო ევროპელი დამპყრობლების ინტერესის სფეროში.* აღა– მაჰმად– ხან ყაჯარის მკვლელობის შემდეგ ინგლისის,



*ინგლისელების დელეგაცია ყაჯართა სახელმწიფოში*

LAYİHƏ

საფრანგეთისა და რუსეთის გეგმები აზიის დაპყრობისათვის კიდევ უფრო გაზლიერდა.

1800 წელს ირანში ჩამოვიდა ინგლისელთა დელეგაცია კაპიტან მალკოლმის მეთაურობით. ფათალი შაჰსა და ინგლისს შორის ხელი მოეწერა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხელშეკრულებას. ხელშეკრულების მიხედვით ინგლისელებმა მიიღეს უფლება გადასახადის გარეშე ევაჭრათ სახელმწიფოში და გამოეყენებინად ყაჯართა სახელმწიფოს პორტები. მოწერილმა ხელშეკრულებამ დაუდო სათავე ინგლისის გავლენის ქვეშ მოქცევისათვის.

*გააკეთე კომენტარი ყაჯართა და ინგლისს შორის დადებული ხელშეკრულების თაობაზე.*

## კითხვები და დავალებები

1. რაზომები მიიღო ქერიმ ხან ზენდმა თავისი ხელისუფლების გასაძლიერებლად? 2. განიხილეთ მიზეზი თუ რატომ ვერ შესძლო აღა– მაჰმად– ხან ყაჯარმა თავისი გეგმის განხორციელება ტერიტორიების აღდგენასთან დაკავშირებით? 3. რას გაუხსნა გზა 1800 წელს დადებულმა ხელშეკრულებამ ინგლისსა და ყაჯართა სახელმწიფოს შორის? 4. დაამტკიცეთ ფაქტებით რომ, აღა– მაჰმად– ხან ყაჯარი იყო თავისი დროის გამორჩეული პოლიტიკოსი. 5. გადახაზეთ ცხრილი რვეულში და შეადარეთაღა– მაჰმად– ხან ყაჯარი ნადირ შაჰს.

| | მმართველობის წლები | განხორციელებული საქმეები | რეზულტატი |
|---|---|---|---|
| აღა– მაჰმად– ხან ყაჯარი | | | |
| ნადირ შაჰი | | | |

## ქრონოლოგია

| 1763 წელი | 1785 წელი | 1794 წელი | 1800 წელი |
|---|---|---|---|
| | | | |



LAYİHƏ

## 4. დიდ მოღოლთა იმპერიის დაშლა



*ინდოეთი, რომელიც იმყოფებოდა დიდ მოგოლთა ქვეშ, ძველი დროიდან იპყრობდა ევროპელების თავისი სიმდიდრეებით. ევროპული სახელმწიფოები ყოველთვის ისწრაფებოდნენ ინდოეთის კოლონიად გადასაქცევად. ამ მიმართულებაში ყველაზე აქტიურნი იყვნენ. უცხო ქვეყნის ინტერესმა ინდოეთისადმი დააჩქარა დიდ მოგოლთა იმპერიის დაშლა.*



**რა ისტორიული გავლენა იქონია დიდ მოგოლთა იმპერიაზე ინგლისელების მისწრაფებამ ინდოეთისადმი?**

**ძირითადი სიტყვები:** *მარათჰი, დელი, ჰეიდარაბადი, ბრძოლა პლესში, მაისორის სახელმწიფო.*

***საზოგადო ცხოვრება და ეკონომიკური მდგომარეობა XVII საუკუნის ინდოეთში.*** XVII საუკუნის დასაწყისში თურქულ დიდ მოგოლთა იმპერიაში, რომელიც იმ დროს ინდოეთს მართავდა, სეიქმნა უამრავი წვრილი ფეოდალური სათავადო. საზოგადოების განვითარებას ხელს უშლიდა კასტური სისტემა. ამის მიუხედავად ინდოეთის ხალხებმა მიაღწიეს განვითარებას, როგორც მიწადმოქმედებაში, ასევე სხვა დარგებშიც. ხელოსნები ქსოვდნენ შალის, აბრეშუმის და ბამბის ქსოვილებს. ისინი ამზადებდნენ სხვადასხვა ნაკეთობებს სპილოს ძვლისაგან, ოქროსა და ვერცხლისგან, ძვირფასი ქვებისგან ასევე სხვადასხვა სახის იარაღს. შიდა სახელმწიფოებრივი ვაჭრობა გამოცოცხლებული იყო. ქალაქები იქცეოდნენ სახელოსნო და სავაჭრო ცენტრებად.

ყველა მაღალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი თანამდებობები ეკავათ თურქ თავადებს.

***თქვენის აზრით რაში იყო მიზეზი რომ, ყველა მაღალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი თანამდებობები ეკავათ თურქ თავადებს?***

მმართველ ფეოდალებს **ჯაგირდარებს** უწოდებდნენ. მათ მერე ფეოდალურ იერარქიაში იდგნენ **ზამინდარები**. მიწები ფეოდალების ხელში იყვნენ. გლეხები იხდიდნენ მოსაკრებელს ნატურალური ფორმით– მოსავლით.

ამ ხანაში ინდოელმა ვაჭრებმა დაამყარეს სავაჭრო ურთიერთობები ავღანეთთან, ცენტრალურ აზიასთან, ირანთან, აზერბაიჯანთან და ასტრახანთან. მაგრამ პოლიტიკური უთანხმოებები და ომები ფეოდალებს შორის აფერხებდა სახელმწიფოს სოციალურ– ეკონომიკურ განვითარებას.



LAYİHƏ

***საგარეო აგრესიის გაძლიერება. დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა.*** ფეოდალური ექსპლუატაციის გაზრდით გლეხობა ღატაკდებოდა. მაჰარაშტრას რეგიონში მარათების აჯანყებამ ძლიერ შეაყანყალა ცენტრალური ხელისუფლება. მარათების მიერ 1674 წელს შივაჯის ხელმძღვანელობით თანამედროვე მაჰარაშტრას შტატის და მის მიმდებარე ტერიტორიებზე სეიქმნა მარათების სახელმწიფო, დედაქალაქით – რაიგადში. მოგოლთა იმპერატორმა ოვრანგზაბმა (1658–1707) შეაგროვა დიდი ჯარი და დალაშქრა მარათები. მან ვერ დაამარცხა ისინი. ამ პერიოდში გაძლიერდა ევროპული სახელმწიფოების ექსპანსია. ჰოლანდიური, ინგლისური და ფრანგული სავაჭრო კომპანიები ინდოეთში იაფად იძენდნენ საქონელს და სამჯერ ძვირად ჰყიდნენ ევროპაში. XVII საუკუნესი ინგლისელებმა მიიღეს უფლება მოგოლებისგან სურატში შეექმნად სავაჭრო პუნქტი. ამ საუკუნის ბოლოს ინდოეთისათვის ბრძოლაში ჩაერთო ასევე საფრანგეთიც. ბენგალიაში შექმნილი იქნა პირველი მსხვილი პუნქტი.

***რა ხიბლავდა ევროპულ სახელმწიფოებს ინდოეთში?***

XVIII საუკუნის პირველ ნაწილში სახელმწიფოს შიგნით გაძლიერდა სეპარატისტული განწყობები. ცალკეული ფეოდალები გადაიქცნენ დამოუკიდებელ მმართველებად. შეიქმნა ბენგალიისა და ჰეიდარაბადის სახელმწიფოები. მოგვიანებით მოგოლებს ჩამოშორდა ასევე სახელმწიფო–აუდი. 1739 წელს ნადირ შაჰ აფშარმა ისარგებლა რა ამ სიტუაციით დაამარცხა მოგოლთა იმპერატორი პენჯაბში და შევიდა დელიში.

***რომელი სახელმწიფოები არსებობდნენ ინდოეთში XVIII საუკუნის პირველ ნაწილში?***

ნადირ შაჰ აფშარის სიკვდილის შემდეგ შეიქმნა ავღანეთის სახელმწიფო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა აჰმად შაჰ დიურანი. ავღან-



*ოვრანგზაბი*



*მოგოლთა მმართველების პავლინისებური ტახტი*



*აჰმად შაჰ დიურანი*



LAYİHƏ



*ბრძოლა პანიპატთან*



*მოგოლთა მმართველი და მისი დაცვა*



*ოსტ-ინდოეთის კომპანიის მიერ აშენებული პირველი გამაგრებული პუნქტი*

ელებმა დაიპყრეს ტერიტორიები ჩრდილო ინდოეთში– ტერიტორიები პენჯაბსა და ქაშმირს შორის, დელისა და მდინარე ინდს შორის. ავღანელების წინააღმდეგ მებრძოლთა შორის ძირითად ძალას მარათები წარმოადგენდნენ.

1761 წელს მარათების მმართველებმა გამანადგურებელი მარცხი განიცადეს პანიპატთან აჰმად შაჰ დურანის ავღანური ჯარებისაგან. ამით მათი უფროსობა ინდოეთის ტერიტორიაზე დამთავრდა. დიდ მოგოლთა სახელმწიფომ დაშლა დაიწყო. ამან კიდევ უფრო გაუადვილა უცხოელ ინტერვენტებს დაქუცმაცებული ინდოეთის ფდაპყრობა. ინგლისელებმა და ფრანგებმა დაიწყეს ბრძოლა ინდოეთისათვის.

***ჩამოაყალიბეთ ფაქტორი რამაც სახელმწიფოს სიძლიერე მოსპო.***

***ბრძოლა ინდოეთში პირველობისათვის.*** XVIII საუკუნის შუაში ფრანგები და ინგლისელები აღვივებდნენ შიდა არეულობებს და თვითონ სარგებლობენ ამით. ფრანგული ოსტ– ინდური კომპანია იყო პირველი, რომელმაც ინდოეთის მიწების მითვისება დაიწყო. საფრანგეთის გენერალ– გუბერნატორმა ინდოეთში ტავისი ტერიტორიების დასაცავად დაიწყო ინდოელების-სიპაების დაქირავება. ფრანგების შემყურე ინგლისელებმაც დაიწყეს სიპაების დაქირავება, მათი ევროპული ბრძოლის ტაქტიკისა და მეთოდების შესწავლა. XVIII საუკუნის



LAYİHƏ

მეორე ნახევრიდან ინგლისელებმა დაასწრეს ფრანგებს, იმის გამო რომ, ისინი უსწრებდნენ ფრანგებს განვითარებაში, ინდური მიწების დაპყრობა.

ერთ-ერთი ესეთი ოლქი ბენგალია იყო. 1757 წელს ინგლისელებსა და დიდ მოგოლთა შორის მოხდა ბრძოლა პლესისთან სადაც მოგოლები დამარცხდნენ. ამის შემდეგ ინგლისმა მიიერთა ჩრილო არის და აუდი, რითიც ის გადამწყვეთ ძალად იქცა ინდოეტში. ინდოეთსი საქმეების მმართვა დაევალა ოსტ -ინდოეთის კომპანიის წარმომადგენელს.




*მოგოლთა სახელმწიფო XVII–XVIII საუკუნეებში*

1774 წელს ინგლისის პარლამენტმა მიიღო კანონი ინდოეთის მიწების მმართვის სესახებ. კანონში ნათქვამი იყო იმის შესახებ რომ, ყველანაირი გამოსვლა უნდა ჩახშულიყო და ოსტ -ინდოეტის წარმომადგენელს დროულად უნდა მოეწოდებინა გადასახადები, რომელსაც აკრეფდა ინდოეთში, და ასევე ინდოეთის დროულ ოკუპაციაზე.

***დააკომენტირე კანონის ოკუპაციური ხასიათი.***

იმ დროს ინდოეთის სამხრეთით არსებული მაისურის სამეფო იქცა დიდ დაბრკოლებად ინგლისელების გეგმებისათვის. ამიტომაც ინგლისელებმა დაიწყეს მასთან ბრძოლა. 1767–1799 წლებში ჩატარდა ოთხი ომი. ბოლოს ინგლისელების მძიმე არტილერიამ მოუტანა მათ გამა-



*ინგლისელებისა და მარათების ბრძოლა*

LAYIHƏ



*მაისორის მმართველის შეხვედრა ინგლისელებთან*

რჯვება. მაისურთა სახელმწიფომ განიცადა მარცხი და დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა.

მისი ტერიტორია გაყოფილ იქნა ოსტ-ინდოეთის კომპანიასა და მის მოკავშირეებს – ადგილობრივ თავადებს შორის.

ასე იქცა XVIII საუკუნის ბოლოს ინდოეთი ინგლისის კოლონიად.

## კითხვები და დავალებები

1. რატომ დაისალა დიდ მოგოლთა იმპერია? 2. როგორია მარათების როლი დიდ მოგოლთა იმპერიის ისტორიაში? 3. რა ფაქტორებთან იყო დაკავშირებული გარე აგრესია ინდოეთზე? 4. რა არის პანიპატთან ბრძოლის მთავარი პოლიტუკური შედეგი? 5. გვაჩვენეთ ინგლისელ კოლონიზატორტა მზაკვრობა გეგმები ინდდოეთის მიმართ. 6. რაში გამოიხატებოდა ინგლისის პარლამენტის დამპყრობლური გეგმები ინდოეთის მიმართ? 7. შეადგინეთ დიდ მოგოლთა იმპერიის დშლის სქემა.

## ქრონოლოგია

1757 წელი

1761 წელი

LAYİHƏ

## 5.ჩინეთი– „ჩაკეტილი ქვეყანა“



*XVIII საუკუნის დასაწყისში ჩინეტის ეკონომიკური განვითარება შეჩერდა. ამის მთავარი მიზეზი იყო მინის დინასტიის მიერ დამპყრობლური პოლიტიკის განხორციელება და სახელმწიფოში ფეოდალური ომების წარმოება. გაიხსენეთ რომელი დინასტია იმყოფებოდა ჩინეთის სათავეში.*



**როგორ გამოიყენეს ჩინეთში შექმნილი მდგომარეობა ჩჟურჩჟენებმა– მანჯურებმა?**

**ძირითადი სიტყვები:** *ცინის დინასტია, „ცის შვილი“, იმპერტატორი, ტაივანი, ჩინური ფაიფური*

**მანჯურული დინასტია ცინის მოსვლა ხელისუფლებაში.** ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ გლეხთა აჯანყებები ამოიწვია. 1626 წელს დაწყებული გლეხთა აჯანყება 20 წელი გრძელდებოდა. 1644 წელს აჯანყებულებმა აიღეს პეკინი და დაამხეს მინის მმართველი დინასტია. შეშინებულმა მსხვილმა ფეოდალებმა დასახმარებლად უხმეს მანჯურებს, რომელნიც მანამდე არაერთხელ ესხმოდნენ ჩინეთს. ჩინეთში დაიწყო ცინის დინასტიის (1644–1912) პერიოდი.

***რატომ შესძლეს მანჯურებმა ჩინეთში ხელისუფლების ადვილად ხელში ჩაგდება?***

მანჯურული დინასტია ცინის ხელისუფლება თითქმის 250 წელი გრძელდებოდა. სათავეში იდგა იმპერატორი– ბოგდეჰანი, რომელიც სარგებლობდა შეუზღუდავი ძალაუფლებით. იგი ითვლებოდა „ცის შვილად“ და იმოსებოდა მხოლოდ ყვითელ სამოსებში. სახელმწიფოს სამართავად შექმნილი იყო საბჭო. მთელი იმპერია დაყოფილი იყო პროვინციებად, ოლქებად, მაგალებად, სოფლებად. თვითოეულ პროვინციას გააჩნდა საკუთარი ფინანსური სისტემა და თავისი ჯარი. მსხვილი პროვინციები შეგნებულად იზოლირებულნი იყვნენ ერთმანეთისაგან, როგორც ადმინისტრაციულად ასევე ეკონომიკურადაც.

***როგორ ფიქრობთ, რატომ იყო ესე?***



*პირველი მანჯური იმპერატორი– ფუ ლინი*

LAYIHƏ

სახელმწიფო აპარატის მთავარი თანამდებობებს იკავებდნენ მხოლოდ მანჯურები. ჩინელი-მუსლიმები სახელმწიფო მმართველობასი არ დაიშვებოდნენ.

**მანჯურული დინასტია ცინის „თვით იზოლაციის „პოლიტიკა.** XVIII საუკუნის 20 -ან წლებში რუსეთისა და ჩინეთის ურთიერთობები უფრო მჭიდროხი გახდნენ. მანჯურთა დინასტია ხელს უწყობდა ევროპელ ვაჭრებს თავის საქმეებში. ევროპიდან ჩინეთში ჩამოჰქონდათ ტყვია-წამალი და მოწყობილობები ხომალდების შესაქმნელად. ჰოლანდიიდან, საფრანგეთიდან და ინგლისიდან უამრავი ვაჭარი ჩამოდიოდა ჩინეთში. იმპერატორის სასახლეში ცხოვრობდნენ მისიონერ-კათოლიკები. ისინი კონსულტანტ– მრჩევლები იყვნენ. ყველაზე წარმატებულად ჩინეთში ოსტ-ინდოეთის კომპანია შეიჭრა. 1715 წელს ქალაქ კანტონში შეიქმნა პირველი ინგლისური დასახლება.

მანჯურულმა დინასტია ცინმა დაიწყო უცხოელების ექსპანსიასთან ბრძოლა და შეზღუდა უცხოელების ყოფნა ჩინეთში. 1757 წელს იმპერატორის ბრძანებით უცხოელებს აეკრძალად ვაჭრობა კანტონის გარდა. ყველა აღნაგობა, რომელნიც აშენდა ევროპელების მიერ დანგრეულ იქნა. ქრისტიანული ეკლესიები, პორტებში უცხოელების მიერ აშენებული დაანგრიეს. აკრძალულ იქნა ევროპელების შემოშვება ქვეყანაში. მმართველების მცდელობა გადაექცია ჩინეთი „დახურულ სახელმწიფოდ“ ვერ შესდგა. ვაჭრები ევროპიდან, რუსეთიდან, ა.შ.შ. სხვადასხვა საშუალებებით მაინც შემოდიოდნენ წვეყანაში და აგრძელებდნენ ვაჭრობას.

სახელმწიფოს „იზოლაციამ“ საშუალება მისცა მანჯურებს გაეძლიერებინათ სახელმწიფო. ამ პოლიტიკამ ჩინეთს მოუტანა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება.

**მანჯურული დინასტია ცინის ომები.** დასავლეთ ჩინეტი იმყოფებოდა მუსულმანი და მოგოლი ფეოდალების გავლენის ქვეშ. 1689 წელს



*ინგლისის ოსტ– ინდოეთის კომპანია კანტონში*

LAYİHƏ

ჩინეთი XVII – XVIII საუკუნეებში




დაიწყო ხანგრძლივი ჩინურ -ჯუნგარული ომები. 1758 წელს ჩინელებმა დაიპყრეს მოგოლურ ჯუნგარიის (ორიათული) სახანო. უიღურთა კუთვნილი ქალაქი კაშგარი ასევე დაპყრობილ იქნა და მიერთებული ჩინეთზე. ამის მერე მანჯურებმა დაიპყრეს აღმოსავლეთ ტიბეტთი. დაპყრობილ მიწებზე მანჯურულ-ცინის იმპერატორები ქმნიდნენ სამხედრო დასახლებებს, ჩინელ სამხედროებს აძლევდნენ მიწებს. ეს მიწები ძირითადად სასაზღვრო ტერიტორიებზე იყო განლაგებული.

XVIII საუკუნის ბოლოს მანჯურთა ჯარმა დალაშქრა ინდოჩინეთი. მართალია ჩინურმა ჯარმა გადამწყვეტი ბრძოლები ვერ მოიგო, მაგრამ ბირმამ, ვიეტნამმა, ბუტანმა და ნეპალმა სცნო ჩინეთის დამოკიდებულება. საუკუნის ბოლოს ასევე კორეაც დაემორჩილა ჩინეთს.

**სოციალურ -ეკონომიკური ურთიერთობები და სოფლის მეურნეობა.** ტაივანის დამორჩილებით მანჯურებმა დაიმორჩილეს მთელი ჩინეთი. გაერთიანებამ კიდევ უფრო გააძლიერა ფეოდალური ურთიერთობები

LAYİHƏ

ქვეყანაში. მანჯურებმა დააწესეს სხვა საგადასახადო სისტემა. გადასახადები შემცირდა 30–50 %.

იმპერატორი და მისი ოჯახი, როგორც ადრე იყვნენ ყველაზე მსხვილი მიწადმფლობელები. მანჯურიის მიწები ეკუთვნოდა მხოლოდ იმპერატორს. ჩინელებს არ ჰქონდათ უფლება მანჯურიასი მიწის შეძენაზე და იქ გადასახლებაზე. სამხედროებზე გაცემული მიწები მემკვიდრეობით გადადიოდა, მაგრამ ამ მიწის გაყიდვის უფლება არა ჰქონდათ. მიწები, რომელნიც ეკუთვნოდა ტაძრებს, სკოლები, ტყეები, მთები, შაქრის ლერწამის პლანტაციები ეკუთვნოდა სახელმწიფოს.




***როგორ გაიძლიერა თავისი ხელისუფლება მანჯურულმა დინასტიამ?***

თავისი საყრდენების გაძლიერების შემდეგ ცინის დინასტიამ დაიწყო გადასახადების გაზრდა. თავისუფალი გლეხები ყმებად გადაიქცნენ. სოფლებში შეიქმნა ადმინისტრაციულ– პილიციური სისტემა. შეიქმნა ყმობის თემები, რომელშიც ათი კომლი შედიოდა.

XVII–XVIII საუკუნეში ნატურალურ მეურნეობასთან ერთად დაიწყო ჩამოყალიბება ახალმა სამეწარმეო ურთიერთობებმა. გლეხები, როგორც ადრე იხდიდნენ გადასახადს მიწაზე. მარილის, ჩაისა და სასმელების წარმოებაზე შემოიღეს დამატებითი გადასახადები. გლეხები, რომელნიც იჯარით იღებდნენ მიწას იხდიდნენ იჯარაში ნახევარ მოსავალს.

XVIII საუკუნის ბოლოს მიწებს, რომელნიც გაცემული იყო გლეხ-მეომრებზე სხვადასხვა სახით ითვისებდნენ მსხვილი ფეოდალები. მსხვილი ფეოდალები ქმნიდნენ ბრინჯის, ჩაის, თუთუნის, ბამბის დიდ პლანტაციებს და ამით კიდევ უფრო მდიდრდებოდნენ.

**ქალაქები და ვაჭრობა.** ქალაქები, რომელნიც დაზიანდნენ მანჯურელების შემოსევისგან აღდგენილი იყვნენ. ქალაქები იმის გარდა რომ, ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრები იყვნენ ასევე მანჯურელების ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენდნენ. მსხვილ ქალაქებში იდგნენ გარნიზონები, პოლიციის დანაყოფები. ახალი მმართველობის დროს ისეთი დიდი ქალაქები, როგორიცაა ნანკინი, უჩანი, კანტონი,

LAYİHƏ

პეკინი გადაიქცნენ დიდ საცარმოო და სავაჭრო ცენტრებად. ქალაქებში მოქმედებდა აბრეშუმისა და ფაიდურის მწარმოებელი მანუფაქტურა. გაიზარდა სამთო საქმე, მარილის, ბამბის, ჩაისა და ტყავის წარმოება. ქალაქებში გაიზარდა სამშენებლო საქმიანობა. მარილი, ჩაი და მეტალის დამუშავება სახელმწიფო მონოპოლიის ქვეშ იყო.

სახელმწიფოს საზღვრების გადიდების გამო იქმნებოდა ახალი ბაზრები. შიდა და გარე ვაჭრობამ თავის პიკს მიაღწია.

**ბრძოლა მანჯურებისა და ფეოდალების წინააღმდეგ.** ურთიერთობა მანჯურელ თავადებსა, ჩინელ ფეოდალებსა და გლეხებს შორის დაიძაბა.

XVIII საუკუნის დასაწყისში მიღებული კანონების თანახმად გლეხებმა დაკარგეს ყველანაირი უფლებები. ბატონის ნებართვის გარეშე გლეხს არ ყქონდა უფლება რაიმეს გაკეთების უფლება.გლეხებს გადასახადები გაეზარდათ.

მუშაობის რეჟიმი გაუარესდა. სახელმწიფოს მიერ დანიშნულ ხელოსნებს გაეზარდათ გადასახადები და ამის გარდა ისინი ვალდებულნი იყვნენ უფასოდ ემუშავად ქალაქის ხელმძღვანელის მიერ მითითებულ საქმეებზე.





ევროპაში ჩინური ფაიფური ძვირად ფასობდა. ევროპელებს, იმისდა მიუხედავად რომ, დიდი ხანი ცდილობდნენ ფაიფურის საიდუმლოს გაგებას ვერ გამოსდიოდათ იმ ხარისხის მიღება, რომელიც ჩინურ ფაიფურს ჰქონდა

მანჯურელები შამანობას მისდევდნენ, ჩინელები კი კონფუძიანელობას, ბუდიზმს, ***დაოიზმს****, ისლამს.

მანჯურელების ჩამოგდების მიზნით შეიქმნა უამრავი რელიგიური საზოგადოება. მოსახლეობის გაღატაკებამ, განსაკუთრებით გლეხებისა გამოიწვია უკმაყოფილება და



ჩაის ბაზარი კანტონში

* ***დაიზმი*** – რელიგიურ– ფილოსოფიური მიმართულრბა ჩინეთში

LAYIHƏ

პროტესტის ტალღები ააგორა. ცინის დამპყრობითმა პოლიტიკამ, ***შოვინიზმა****, გადასახადების გაზრდამ– ყველაფერმა ამან აჯანყებამდე მიიყვანა.

XVII–XVIII საუკუნეებში სახელმწიფოს სხვადასხვა ტერიტორიებზე ხდებოდა აჯანყებები მანჯურელებისა და ჩინელი ფეოდალების წინააღმდეგ. ეს აჯანყებები გამოირჩეოდნენ არა ორგანიზებულობით. აჯანყებულები არ იყვნენ კარგად შეიარაღებულები. ამითომაც ეს აჯანყებები უცებ და დაუნდობლად იხრობოდა. ამის მიუხედავად გლეხთა აჯანყებებმა მაინც შეარყიეს ცინის ხელისუფლება.

## კითხვები და დავალებები

1. გვაჩვენეთ რუკაზე ტერიტორიები, რომელიც მანჯურელებმა დაუმორჩილეს ჩინეთს. 2. რატომ ატარებდა ცინის დინასტია „თვითიზოლაციის" პოლიტიკას? 3. გვაჩვენეთ ჩინური მეურნეობის თავისებურებანი. 4. გაარკვიეთ ეროვნული და ფეოდალური ზეწოლა. 5. დაწერეთ პატარა ესსე ცინის დინასტიის მმართველობის სისტემაზე. 6. მოამზადეთ 3–5 წუთიანი პრეზენტაცია ჩინეთზე. 7. მიეცით შეფასება „თვითიზოლაციის" პოლიტიკას. 8. შეაფასე XVIII საუკუნის დასაწყისის რეაქციონერული პოლიტიკის კანონები.

## ქრონოლოგია

| 1644 წელი | 1757 წელი | 1758 წელი |
|---|---|---|
| | | |



LAYİHƏ

* ***შოვინიზმი*** – მგზნებარე ნაციონალისტი

## 6. „ამომავალი მზის ქვეყნა“



*იაპონიის კუნძულები – ეს არის ტერიტორია, სადაც შეიქმნა და განვითარდა იაპონელი ხალხის კულტურა. იაპონიის კუნძულებზე აზიიდან და წყნარი ოკეანეს კუნძულებიდან ხალხების გადასახლების შედეგად აქ შეიქმნა იაპონური თემები. იაპონელი ხალხი, ასევე როგორც სლავური და გერმანული ტომები პირველყოფილი თემური წყობილებიდან ფეოდალიზმში შევიდნენ.*

**რა მოუტნა იაპონიას ევროპასთან კავშირმა?**

**ძირითადი სიტყვები:** *იაპონია, ტოკუგავა, ხირადოს კუნძული, იზოლაციის პოლიტიკა, სიოგუნ სუნაესი*

**ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანება.** ახალი პერიოდის მიჯნაზე იაპონია დაყოფილი იყო რამოდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ეს პერიოდი ისტორიასი შევიდა, როგორც „ოლქების ბრძოლის“ ხანა. XVI საუკუნეში ძლიერმა თავადმა ობა ნობუნაგამ დაიწყო სახელმწიფოს გაერთიანება. 1582 წელს მისი მოკვლის შემდეგ სახელმწიფოს ცენტრალიზება გააგრძელა მისმა თანამოაზრემ ხიდეესიმ. მისი კორეის დაპყრობის მცდელობა ვერ განხორციელდა.

***სიოგუნათის* სისტემა– ეს არის სამხედრო– ფეოდალური პოლიტიკური დიქტატურა, ყველაზე ძლიერი და გავლენიანი სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით ფეოდალური ოჯახისა.***

1603 წლიდან იმპერატორის ბრძანებით ტოკუგავა იეიასუმ თავი სიოგუნად გამოაცხადა. ამით დაიწყო სიოგუნთა მესამე დინასტიის– ტოკუგავას ოჯახის ხანა. ეს დინასტია მმართავდა იაპონიას 1867 წლამდე. ქალაქი ედო, რომელიც ტოკუგავას ციტადელი იყო გახდა დედაქალაქი. იასუს 30-წლიანი ბრძოლა იაპონიის გასაერთიანებლად წარმატებით დამთავრდა. ობა ნობუნაგას მიერ დაწყებული, ხიდეესის გაგრძელებული იეიასუმ დაამთავრა. მაგრამ, ევროპული სახელმწიფოებისგან



*ტოკუგავა იეიასუ*

* ***სიოგუნი*** – მბრძანებელი, მმართველი, შეიარაღებული ჯარების მხედართმთავარი

LAYİHƏ



*სამურაი*

განსხვავებით, იაპონიაში ფეოდალური სათავადოები არ იყო გაუქმებული.

ნახევრად დამოკიდებული სათავადოები შენარჩუნებულნი იყვნენ, როგორც ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულები.

***რითი განსხვავდებოდა იაპონიის ცენტრალიზებული სახელმწიფო ევროპული სახელმწისგან?***

ტოკუგავას ფეოდალურ-აბსოლუტური რეჟიმი. ფეოდალური ომების შეჩერებამ სახელმწიფოში კულტურის განვითარება მოიტანა. ტოკუგავს ეკონომიკური სიძლიერე დამოკიდებული იყო სათესი მიწებისგან და მიღებული მოსავლისაგან. ამ ტომს ეკუთვნოდა 64 პროვინციიდან 47. ტოკუგავას სამი პირველი სიოგუნი თავისი ეკონომიკურ სიძლიერეზე დაყრდნობით სახელმწიფოში ქმნიდნენ აბსოლუტურ დიქტატურას. სამხედრო სიძლიერეს ქმნიდნენ სამურაები. ტოკუგავას მმართველებმა თავისი ხელისუფლების გასამტკიცებლად შექმნეს კანონები. სამურაებს ეკრძალებოდათ მეწარმეობა და ვაჭრობა.

1635 წლიდან გამოყენებული მძევლობის პოლიტიკამ კიდევ უფრო გააძლიერა მათი ხელისუფლება. ამ სისტემის მიხედვით თავადები ვალდებულნი იყვნენ ყოველ წელს ჩასულიყვნენ ედოში. სანამ ისინი არ იმყოფებოდნენ ედოში მათი ოჯახის წევრები იყვნენ მძევლები. მძევლობასთან ერთად მმართველი ახორციელებდა კონფისკაციას და უკმაყოფილო თავადების სხვა პროვინციებში გადასახლების პოლიტიკას.

***რა ზომებს მიმართავდა ხელისუფლება თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად?***

ტოკუგავას მიერ შექმნილი პოლიტიკური სისტემა განსხვავდებოდა სხვებისაგან. ქვეყანაში არსებობდა ორი ხელისუფლება: სიოგუნატისა და იმპერატორისა. იურიდიულად სახელმწიფოს თავი იყო იმპერატორი, მაგრამ, სინამდვილეში სახელმწიფოს მმართავდა სიოგუნი.

საგარეო პოლიტიკა. 1604 წელს ტოკუგავამ უცხოელი ვაჭრებისაგან დაიწყო აბრეშუმის ნედლეულისა და მზა აბრეშუმის ნაწარმის შეძენა. მიღებული შემოსავალი იყოფოდა სახელმწიფოსა და ვაჭრებს შორის. ამის გარდა სახელმწიფო გასცემდა სავაჭრო ლიცენზიებს იაპონურ და უცხოურ გემებზე. ამ პერიოდში ჰოლანდიის ოსტ– ინდოეთის კომპანია რეგულარულად გზავნიდა თავის გემებს კიუსიუს პორტებში.

LAYİHƏ

ამ დროსვე ხელი მოეწერა იაპონურ-ჰოლანდიურ სავაჭრო ხელშეკრულებას. კუნძული ხირადო გახდა ჰოლანდიელების ძირითად საყრდენ პუნქტად.

1613 წელს კუნძულ ხირადოზე საფუძველი ჩაეყარა ინგლისის ფაქტორიას. ინგლისელებმა მოიპოვეს სავაჭრო უპირატესობა. XVII საუკუნის პირველ ნახევარში იაპონიის საგარეო ვაჭრობა გაიზარდა.



*XVII საუკუნის იაპონური ფეოდალური სასახლე*

იაპონიის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებამ ევროპისა და სამხრეთ აზიის ქვეყნებთან ხელი შეუწყო ნატურალური მეურნეობიდან ფულად ვაჭრობაზე გასასვლას.

**იაპონიის იზოლაციის პოლიტიკის დასაწყისი.** ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან ევროპელებმა დაიწყეს იაპონიაში ჩამოსვლა. ევროპელების იაპონიაში გამოჩენის ყველაზე მნიშვნელოვან რეზულტატს წარმოადგენდა ცეცხლსასროლი იარარის სემოტანა და ადგილზე მისი წარმოება. ევროპელ ვაჭრებთან ერთად იაპონიაში დაიწყეს ჩამოსვლა კათოლიკურმა მღვდლებმა– მისიონერებმა. უმრავლესობას, რომელმაც მიიღეს ახალი სარწმუნოება ღატაკი გლეხები შეადგენდნენ სამხრეთ დასავლეთიან. ისინი ეძებდნენ თანასწორობას ქრისტეს მიერ ქადაგების შესაბამისად.

***რაში გამოიხატება საერთო ქრისტიანი მისიონერების სეფევიდების სახელმწიფოში და იაპონიაში?***

ტოკუგავა სთვლიდა ქრისტიანობას საფრთხედ ბუდისტური ტაძრებისათვის და კონფუძიანელობისათვის, ხოლო მის იდეებში თანასწორობაზე-არსებულიო სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებისათვის. იაპონელი ქრისტიანელების რიცხვის გაზრდამ-გაზრდა ქრისტიანელების დევნაც. 1614 წლის დასაწყისში მიღებული იქნა კანონი, რომელშიც ქრისტიანობა გამოცხადდა „იმპერიის მტრად“. სახელმწიფოს დევნის შედეგად მოკლული იქნა ათობით ათასი ქრისტიანელი იაპონელი.

ანტიქრისტიანულმა პოლიტიკამ შეასუსტა იაპონიის საერტაშორისო ურთიერთობები ევროპასთან. ეს ხაზი მალე გადაიქცა უცხოელებისადმი სიძულვილად. 1623-1624 წლებში ინგლისელები, პორტუგალიელები და ესპანელები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ იაპონია. ამის სდეგად უცხოელი კოლონიალისტები განდევნილი იყვნენ სახელმწიფოდან და სახელმწიფო აღმოჩნდა იზოლაციაში გარე სამყაროსთან.

LAYIHƏ



*ტოკუგავას დამსჯელობითი ღონისძიებები ქრისტიანების წინააღმდეგ*

**რა გახდა იაპონიიდან ევროპელების განდევნის მიზეზი?**

ტოკუგავას დინასტია ცდილობდა იზოლიაციით იაპონიის გაერთიანებას.

ევროპელებისგან მხოლოდ ჰოლანდიელები არ იყვნენ განდევნილი იაპონიიდან. ჰოლანდიელები დაეხმარენ მმართველ დინასტიას აჯანყების ჩახშობასი და სამაგიეროდ მათ მისცეს უფლება კუნძულ დედძიმაზე დაეტოვებინათ თავიანთი ფაქტორიები. მთელი „იზოლაციის“ დროს კუნძული დედძიმა თამაშობდა „ღია ფანჯრის“ როლს ევროპასა და იაპონიას შორის.

იზოლაციის პოლიტიკამ ხელი შეუწყო სახელმწიფოს გაერთიანებასა და ფეოდალური ურთიერთობების განვითარებას, მაგრამ შეზღუდა ეკონომიკური განვითარება. ამის შედეგად იაპონია ხელოვნურად მოექცა მსოფლიო სავაჭრო ბაზრის გარეთ.

**ეკონომიკური დაცემის დასაწყისი. ესიმუნეს რეფორმები.** XVIII საუკუნის დასაწყისი იაპონიაში გახდა ეკონომიკური დაცემისა და ფეოდალური ურთიერთობების დაშლის ხანა.ეკონომიკის დაშლის ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო სახელმწიფო სისტემის ფინანსური კრიზისი. ფინანსური კრიზისის დასაძლევად სიოგუნ სუნაესიმ(1680–1709) დაიწყო ახალი მონეტების მოჭრა, რომლებშიც დააკლო ოქროს შემადგენლობა. ფულის ერთეულის გაუფასურებამ გამოიწვია ფულადი სისტემის მოშლა. ფასების უეცარი ზრდის შედეგად ბრინჯსა და სხვა საყოველდღეო

LAYİHƏ

მოხმარების საგნებზე მოსახლეობის მდგომარეობა გაუარესდა. მოსახლეობის მატობის შემცირება იყო ნათელი მაგალითი სახელმწიფოში კრიზისის არსებობისა. ფეოდალური ურთიერთობების კრიზისი აისახა ასევე ქალაქების განვითარებაზე.

თანდათანობით ფორმირდებოდა მთლიანი იაპონიის ბაზარი. მისი ცენტრი გახდა ერთ-ერთ)ი მსხვილი ქალაქი– ოსაკა. მიმდინარეობდა ყველა რაიონის სპეციალიზაცია, იქმნებოდა პირობები კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. იქმნებოდა კაპიტალისტური მანუფაქტურები, რომელნიც ქმნიდნენ აბრეშუმის, ბამბის ნაჭრებს და ღვინოს.

სიოგუნ ესიმუნეს (1716–1745 ) მმართველობის ხანაში ჩატარებული იყო მნიშვნელოვანი რეფორმები, ფეოდალური წყობილების გადარჩენის მიზნით. სამურაების გავლენის გასაძლიერებლად მიღებული იყო სპეციალური ზომები. სიოგუნის სასახლეში და ფეოდალ თავადებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა გაფლანგვასთან დაკავშირებით. ოფიციალურად აიკრძალა გლეხების მიწების ყიდვა -გაყიდვა. მიღებულმა კანონებმა გააძლიერეს ფეოდალიზმი და აბსოლუტური ხელისუფლება.

## კითხვები და დავალებები

1. რითი განსხვავდებოდა იაპონიის მიწების გაერთიანერბა ერთიან სახელმწიფოში ევროპული გაერთიანებისაგან? 2. რომელი დინასტიის მმართველობის დროს ჩამოყალიბდა აბსოლუტური რეჟიმი იაპონიის სახელმწიფოში? 3. რა იყო ტოკუგავას მიერ მძევლების აყვანის მიზანი? 4. რა შედეგი მოუტანა სახელმწიფოს ქრისტიანების დევნამ? 5. რამ განაპირობა იაპონიაში შიდა ბაზრის ჩამოყალიბება? 6. რაზე იყო მიმართული ესიმუნეს რეფორმები?

## ქრონოლოგია

1603 წელი | 1613 წელი | 1623–1624 წლები



LAYIHƏ

## 7. აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურა



*XVII–XVIII საუკუნეებში მომხდარი მოვლენები პოულობდნენ თავიანთ გამოხატულებას აღმოსავლეთის კულტურასა და ლიტერატურაში. ამ ხანაში აღმოსავლეთში შექმნილი იქნა უამრავი ისტორიული ნაწარმოები. ვითარდებოდა სახვითი ხელოვნება, პოეზია.*



**რა სიახლეები იყო ამ ხანის კულთურაში?**

**ძირითადი სიტყვები:** *ირანი, მუჰამედ ქიაზიმი,ინდოეთი, ბენგალურ-აზიური საზოგადოება, სამეფო საზოგადოება, ჩინეთი, მავზოლეუმი, იაპონია*

**კულტურა სეფევიდთა და აფშართა იმპერიებში.** XVII–XVIII საუკუნეებში სეფევიდთა და აფშართა იმპერიებში გრძელდებოდა კულტურის განვითარება.

შედარებით უკეთესად განვითარებული იყო ისტორია და გეოგრაფია. ისტორიკოსი მირზა მეჰთი ჰანი, რომელმაც დაწერა ნადირ შაჰზე, ყველგან დაყვებოდა მას და იწერდა მის ცხოვრებისეულ ფაქტებს, ნაწარმოები „ ნადირის ისტორია, რომელმაც მსოფლიო დაიპყრო“.

მუჰამედ ქიაზიმის ნაწარმოებს, რომელიც ნადირ შაჰის თანამედროვე იყო, ეწოდება „ნადირის ისტორია, რომელმაც მსოფლიო გაალამაზა“. ამ ნაწარმოებში უამრავი ფაქტებია, რომელნიც იმ დროინდელ ირანის ცხოვრებაზე ბევრს მოგვიყვებიან. ამის გამო მუჰამედ ქიაზიმის ნაწარმოებს, უფრო დიდი ფასია აქვს.

იმის მიუხედავად რომ, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ უარყოფითად იმოქმედა არქიტექტურაზე, მაგრამ ამ სფეროშიც იყო წინსვლა.

XVIII საუკუნე არის სეფევიდთა და აფშართა იმპერიების კულტურის და ვაჭრობის განვითარების უმაღლესი სტადია. აზერბაიჯანელი და ირანელი ხელოსნების მიერ შექმნილი ხალიჩები, ვერცხლისა და ოქროს ნაკეთობები, ქსოვილები ცნობილი იყო მთელს მსოფლიოში.

***რა საქონელი გადიოდა ექსპორტზე სეფევიდთა და აფშართა იმპერიებში?***

იმ დროის ცნობილ მხატვრების მუჰამედ ზამან თავრიზისა, მიულქის ნამუშევრებში გამოსახულია აზიური მხატვრული სკოლის ტრადიციები.

მეჯმერი, სატირის ფუძემდებელი იმ დროის ლიტერატურაში, ჯანდაგი იყვნენ ცნობილი პოეტები.

LAYİHƏ

იმ დროს აზერბაიჯანსა და ირანში ფართოდ იყო გავრცელებული ქუჩის თოჯინების თეატრები.

**ინდოეთის კულტურა.** XVII–XVIII საუკუნეებში ინდოეთში გაიხსნა უამრავი მედრესე. მედრესეებს მფარველობდნენ დიდი მოგოლები და მსხვილი ფეოდალები. ღვთისმეტყველებასთან ერთად მედრესეებში ასწავლიდნენ მათემატიკას, ასტრონომიას, მედიცინას და სხვა მეცნიერებებს. ყველაზე ცნობილი მედრესეები აგრაში და დელიში იყვნენ.

ქვეყანაში ყველაზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს იმ მეცნიერებმა, რომელნიც დაკავებულნი იყვნენ ლიტერატურასა და მათემატიკით. არქიტექტურის განვითარებამ თავის პიკს მიაღწია. არქიტექტურაში განსაკუთრებული ადგილი მეჩეთებს ეკავათ. ჯუმა მეჩეთი (პარასკევის მეჩეთი) დელიში, მეჩეთი ვიჯვანპურში, გოლკონდში ითვლებიან ყველაზე ღირსშესანიშნავ არქიტექტურულ ძეგლებად.

*რასთან იყო დაკავშირებული ის საგანგებო ადგილი რომელიც მეჩეთებს ეკავად არქიტექტურქში?*

ყველაზე ღირსშესანიშნავმა მინიატურებმა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწიეს თავისი ადგილი წიგნებში იპოვეს.

საფრანგეთთან და ინგლისთან კავშირების დამყარებამ დიდი დადებითი წვლილი შეიტანა ინდოეთის კულტურაში. ასევე ევროპელებსაც მიეცათ საშულება გაცნობოდნენ ინდოეთის კულტურას. ამ საკითხში დიდი წვლილი მიუძღვის „ბენგალურ – აზიურ საზოგადოებას“, რომელიც უილიამ ჯონსმა დაარსა 1784 წელს. მოგვიანებით ამ საზოგადოებას სამეფო საზოგადოება დაერქვა.

*რას ემსახურებოდა „ბენგალურ – აზიურ საზოგადოება“?*

მრავალენოვან ინდოეთში პოეტები გამოხატავდნენ ხალხების მისწრაფებებს თავისუფლებისადმი და თანასწორობისადმი. ამ პერიოდში ფართოდ იყო გავრცელებული ბენგალიელი პოეტის აბდულ გადირ ბედილის პოემები და ლექსები. პოეტ ტუკა რამას ნაწარმოებები მარათების ენაზე დღესაც დიდ ინტერეს იწვევენ.

ინდოელი ხელოსნები სპილოს ძვლიდან და ხისგან ქმნიდნენ ხელოვნების ნიმუშებს, მშვენიერ მეტალისა და კერამიკის ნაკეთობებს. მათ მიერ მოქსოვილი ნაჭრები თვალს ახარებდნენ. სიმღერები და ცეკვები ქვეყანაში ყველაზე განვითარებული დარგი იყო.

*რომელი ძირითადი ენები იყო იმ დროს გავრცელებული ინდოეთში?*

მაგ დროს ინდოეთში ჩაისახა ახალი ტიპის ტეატრი.

**ჩინეთის კულტურა.** XVII–XVIII საუკუნეებში ჩინეთში იქმნებოდნენ ენციკლოპედიები და ლექსიკონები, გამოიცემოდა თხუზელებების მთელი კრებულები, ჩაეყარა საფუძველი ჩინურ კლასიკურ რომანებს.

LAYİHƏ

XVII საუკუნიდან ჩინურთან ერთად მხატვრულ ლიტერატურას ოფიციალურ ენაზეც– მანჯურულზეც წერდნენ.

ხელოსნების მიერ ძვლებისგან და მარმარილოსაგან დამზადებული საგნები არაინ ნამდვილი ხელოვნების ნიმუშები. ჩინელი მხატვრები აბრეშუმის ქსოვილებზე ხატავდნენ რთულ ორნამენტებს, რომელნიც თვალს ახარებდნენ.

XVII საუკუნეში ჩინეთში დაიწყო მონუმენტალური არქიტექტურის განვითარება. პეკინის სასახლე, იმპერატორის მავზოლეუმი მუკდენეში (დღვანდელ შენიანში) შექმნილნი არიან ამ ხანაში.

ევროპაში მიღებულმა ახალმა ფორმებმა ჩინეთის არქიტექტურაში და კულტურაში ადგილი ვერ მოიპოვეს. ჩინეთის მიერ შექმნილმა „თვითიზოლაციის“ სისტემამ გადაარჩინა ჩინეთი ამ გავლენისაგან.

**იაპონიის კულტურა.** XVII საუკუნის დასაწყისში დაიწყო ტრადიციული იაპონური კულტურის ფორმირება. ამ პერიოდში ჩაისახა „ილუსტრირებული მოთხრობების“ ჟანრი. ჩაისახა იაპონური ლექსების-ხაიკუს (ხოკუს) ტრადიცია. ხაიკუ შედგებოდა 3 სტრიქონისაგან, დაფუძნებული 7–5–7 რთულ სისტემაზე. ამ ჟანრის გამორჩეული წარმომადგენელი იყო მაცუო ბასიე.

ასევე განვითარდა თოჯინების თეატრი, მხატვრობა და მეცნიერება. დიდი მიღწევები მოხდა ზუსტ მეცნიერებებსი განსაკუთრებით მათემატიკაში და აგრონომიაში. თეატრალურმა ხელოვნებამ პიკს მიაღწია.

ასევე ვითარდებოდა განათლება. XVIII საუკუნეში სამურაების სკოლებთან ერტად ასევე გაიხსნა სკოლები უბრალო ხალხისათვისაც.

### კითხვები და დავალებები

1. რითი შეიძლება აიხსნას ამ ხანაში ისტორიული მოთხრობების შექმნა? 2. დაამტკიცედ ფაქტებით დიდ მოგოლთა გავლენა ინდოეთის არქიტექტურაზე. 3. ახსენი „ბენგალურ– აზიურ საზოგადოების“ როლი ინდური კულტურის განვითარებაში. 4. რაში გამოიხატებოდა იაპონური კულტურის განვითარების მთავარი ფაქტორი.

LAYİHƏ

## 8. ოსმალეთის იმპერია – დაცემის დასაწყისი



*XVI საუკუნის 20-ან წლებში ოსმალეთის იმპერია მოიცავდა უზარმაზარ ტერიტორიებს ბელგრადიდან ერაყამდე. შემდეგ ევროპულ დაპყრობებში შესვენება მოხდა. XVI საუკუნესი ოსმალეთმა კვლავ გამოიჩინა ყურადღება ევროპისადმი. მაგრამ, ოსმანურ-ავსტრიული ომი ოსმანების დამარცხებით დამთავრდა. XVII საუკუნე ოსმანებისათვის წარუმატებლად დაიწყო.*

### 8.1. ახალ ხანაში ძველი წესებით შესული იმპერია

რა გავლენა იქონია ახალმა ხანამ ოსმანების იმპერიის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე? როგორ აპირებდნენ ევროპელები გამოეყენებინათ მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა ოსმანთა იმპერია?

**ძირითადი სიტყვები:** *ოსმანთა იმპერია, კეპრიულიუ მეჰმედ ფაშა, „წმინდა კავშირი“, „ტიტების ეპოქა“, ყარა მუსტაფა ფაშა, ტიმარი, ზიამეთი*

**უძრაობა ოსმანთა იმპერიაში.** ახალი ხანის დასაწყისში ოსმანები პლობდნენ უდიდეს ტერიტორიებს როგორც ევროპასი ასევე აზიაში და აფრიკაში. მას ეკავა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, ოსმალეთი ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფო იყო თავის ხანაში. მაგრამ, ამ სახელმწიფომ დაიწყო თავისი სიძლიერისა და გავლენის დაკარგვა. ქვეყანა შევიდა სოციალურ – ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო კრიზისში. ***უძრაობა****, რომელიც წინა საუკუნის ბოლოს დაიწყო გადაიზარდა რეგრესში. თანდათანობითმა სახელმწიფო მმართველობის შესუსტებამ,



*იანჩარები*

* ***უძრაობა*** – მოძრაობის სეწყვეტა საზოგადოებრივ ცხოვრებასი, ეკონომიკაში და კულტურაში

LAYİHƏ

კანონის დაუმორჩილებლობამ შეასუსტა და შეარყია იმპერია. გადასახადების გაზრდამ მოსპო სოფლის მეურნეობა, რომელიც სახელმწიფოს ბირთვს წარმოადგენდა. დარღვეული იყო ტიმარისა და ზიამეთის სისტემები.

ოსმანთა ჯარი, რომელიც შიშის ზარს სცემდა ევროპისა და აზიის ქვეყნებს, გამოირჩეოდა თავისი დისციპლინითა და მობილიზაციით უკვე ვეღარ იყო თავის დონეზე. აკრძალვის მიუხედავად იანიჩარებს მოჰყავდათ ცოლები და ვაჭრობას მისდევდნენ. ხელფასის დაგვიანებისას ისინი უარს აცხადებდნენ ომში წასვლაზე და აწყობდნენ ამბოხებს სულთანის გადაყენების მიზნით.

ოსმანთა იმპერია იძულებული ხდებოდა ევროპულ ქვეყნებთან დათმობებზე წასვლაზე თავისი სამხედრო მარცხების გამო, რომელნიც ერთი-მეორეს ზდევდა. საფრანგეთმა, ინგლისმა და ჰოლანდიამ მიიღეს ახალი ***კაპიტულაციები**** ოსმანებისგან. ვენის ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც 1615 წელს დაიდო ავსტრიელებს უფლება ჰქონდათ თავისუფალ ვაჭრობაზე ოსმანთა იმპერიის ტერიტორიაზე, კათოლიკებს მიეცათ უფლება ეკლესიების ასაშენებლად, იმავე წელს ვენეციელებმაც მიიღეს ესეთი უფლება.

**რეფორმების პირველი მცდელობები.** XVII საუკუნის პირველ ნახევარში დაცემის თავიდან ასაცილებლად მიღებული იქნა რიგი რეფორმები.



*კეპრიულიუ მეჰმედ ფაშა*

ამ რეფორმების მიზანი იყო ხელისუფლების გაძლიერება, საგადასახადო სისტემის დარეგულირება სამხედრო დისციპლინის გაძლიერება ჯარში და ფლოტზე. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლებოდა ძველი დიდების აღდგენა. ეს რეფორმები დაკავშირებულია მთავარ ვაზირ კეპრიულიუ მეჰმედ ფაშას სახელთან. რეფორმების სედეგად გამოსწორდა ეკონომიკა და გაძლიერდა სამხედრო დისციპლინა. ტიმარის სისტემა აღსდგა, გაიზარდა შემოსავლები ხაზინაში. ჯარი და ფლოტი გაძლიერდა. მართალია ჩატარებულმა რეფორმებმა დროებითი შედეგი გამოიღეს, მაგრამ ვერ შესძლეს დაცემის შეჩერება.

* ***კაპიტულაცია*** – *უთანასწორო ხელშეკრულება, რომელშიც გამარჯვებული მხარე თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ავალდებულებს დამარცხებულს მიიღოს თავისთვის სასარგებლო ვალდებულებები*

LAYİHƏ

*თქვენის აზრით რატომ ვერ შესძლეს ვაზირ კეპრიულიუ მეჰმედ ფაშას რეფორმებმა შეეჩერებინათ სახელმწიფოს დაცემა?*

**ომი ევროპის კონტინენტზე მიწების შენარჩუნების მიზნით.** სამხედრო-პოლიტიკური დაცემის მიუხედავად ოსმანთა იმპერია აგრძელებდა ახალი მიწების დაპყრობის პოლიტიკას. ოსმანთა სულთანი იწყებდა ახალ ლაშქრობებს ევროპაზე. ამ ლაშქრობების შედეგად დაპყრობილი იყო უნგრეთის სამეფოსა და დუნაის სამეფოს დიდი ნაწილი. ვასვარის ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც 1664 წელს დაიდო ოსმანთა იმპერიასა და ავსტრიას შორის, ავსტრია იძლეოდა ჩაურევლობის გარანტიას ტრანსელვანიაში და გადაიხადა კონტრიბუცია.



*ყარა მუსტაფა ფაშა*

ხუთი წლის შემდეგ ვენეციამ დაკარგა თავისი ზღვის სამფლობელოს ძირიტადი ნაწილი, კვიპროსი შემოერთებული იქნა ოსმანთა იმპერიაში. ოსმანტა ომი რუსეთთან 1681 წელს უკრაინისათვის დამთავრდა ბახჩისარაის ზავით. უკრაინის მარჯვენა სანაპირო ოსმანებს გადაეცა, ხოლო



*ვენა ალყაში. 1683 წელი*

LAYİHƏ

მარცხენა რუსეთმა წაიღო. მდინარე დნეპრი გადაიქცა ორი იმპერიის საზღვრად.

უნგრელებმა ატეხეს ამბოხი კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ და სთხოვეს დახმარება ოსმანებს. ამან გამოიწვია ურთიერთობების დაძაბვა ავსტრიასთან, რამაც ახალი ომი გამოიწვია. ოსმანთა ჯარმა ყარა მუსტაფა ფაშას მხედართმთავრობით ალყაში მოაქცია ავსტრიის დედაქალაქი–ვენა. ალყა გაიწელა. ამ დროს გერმანელების ჯარი და პოლონელი გლეხები მოვიდნენ ვენის დასახმარებლად. ყირიმის ხანის გამცემლობამ ოსმანთა დამარცხება მოიტანა. დამარცხებული ყარა მუსტაფა ფაშა გაიქცა თავისი ჯარის ნარჩენებით ბუდაპეშტში.

**„წმინდა კავშირის“ შექმნა.** 1684 წელს ოსმანთა წინააღმდეგ შეიქმნა „წმინდა კავშირი“. მასში შევიდნენ ავსტრია, პოლონეთი, ვენეცია და მალტა. ორი წლის მოგვიანებით ამ კავშირს რუსეთიც შეუერთდა. ამ გაერთიანებაში მხოლოდ საფრანგეთი არ შევიდა. ოსმანთა იმპერია იძულებული იყო ეომა რამოდენიმე ფრონტზე და დამარცდა. 1699 წელს დაიდო ოსმანებსა და „წმინდა კავშირის“ სახელმწიფოს წევრ სახელმწიფოებთნ კარლოვიცის მშვიდობიანი ზავი. ამ ზავის პირობებით ოსმანების მნიშვნელოვანი ტერიტორიები განაწილდა ავსტრიასა, პოლონეთსა და რუსეთს შორის. ამის შედეგად ოსმანებმა დაკარგეს მიწები.

***რა კავშირს ხედავთ გაკათოლიკების პოლიტიკასთან და „წმინდა კავშირს“შორის?***

„ტიტების ხანა“ ოსმანთა იმპერიაში. სულთან აჰმედ III (1703–1730) ოსმანების ძველი დიდების აღსადგენად დაიწყო რეფორმების ჩატარება. ეს რეფორმები დაკავშირებულია მთავარი ვაზირის იბრაჰიმ ფაშას სახელთან. ამ ხანაში სტამბულში აშენდა უამრავი სასახლეები, დაირგო ბაღები. კაგიზხანის უღელტეხილის ორივე მხარეს დაირგო ბაღები, აშენდა სასახლეები ფონტენბლოს მსგავსად ვერსალში. ამ ადგილმა სახელწოდებად საადაბადი მიიღო. ოსმანთა იმპერიის ისტორიაში იბრაჰიმ ფაშას ეს რეფორმები „ტიტების ხანად“ შევიდა. იბრაჰიმ ფაშას ტიტებისადმი სიყვარულმა განაპირობა ამ ხანის სახელწოდება.



*სულთან აჰმედ III*

დასავლეთ ქვეყნებში გაემგზავრენ ელჩები მათი გამოცდილების შესასწავლად. სპეციალისტებს იწვევდნენ ძირითადად სიახლეების დასანერგად მეცნიერებაში და სამხედრო საქმეში. იბრაჰიმ ფაშა ხვდე-

LAYİHƏ

ბოდა ევროპული სახელმწიფოების უპირატესობას სამხედრო საქმეში და ყველა ღონეს ხმარობდა ევროპული სამხედრო მაგალითზე გადაეწყო ოსმანთა ჯარი.



*ვაზირი იბრაჰიმ ფაშა*

ურთიერთობები რუსეთსა და ავსტრიას შორის არ ფუჭდებოდა. ამ ხანაში მიღებული რიგი ზომები ხელოსნობისა და ვაჭრობის გასანვითარებლად. პირველ ტექნიკურ საშუალებად, რომელიც ევროპისგან იყო შეძენილი იყო ტიპოგრაფია.

***რისი მაჩვენებელია იოს ფაქტი რომ, პირველ ტექნიკურ საშუალებად, რომელიც ევროპისგან იყო შეძენილი იყო ტიპოგრაფია?***

იანიჩარებისა და სასულიერო პირების ხელის შეშლის გამო რეფორმები სანახევროდ არ სრულდებოდა. იმის გამო რომ, საფუძვლიანი ცვლილებები არ ხორციელდებოდა ამ რეფორმებს სასურველი შედეგი არ მოუტანია.

***შენის აზრით რა შეიძლება შესულიყო საფუძვლიან რეფორმებში?***

ამ ხანაში ომები ოსმანთა და ევროპულ ქვეყნებს შორის გრძელდებოდნენ. ევროპული ქვეყნები ცდილობდნენ დაეშალათ ოსმანთა იმპერია და ეომებოდნენ ერთდროულად სხვადასხვა ფრონტებზე.

### კითხვები და დავალებები

1. რომელ იმპერიებს შეგიძლიათ შეადაროთ ოსმანთა იმპერია? 2. გაანალიზეთ ოსმანთა მმართვის სისტემა. 3. განმარტეთ მეცნიერული პროგრესის როლი ოსმანთა იმპერიაში. 4. შეადგინეთ ცხრილი, რომელშიც აღნიშნეთ ვაზირიბრაჰიმ ფაშას რეფორმები.

### ქრონოლოგია

| 1681 წელი | 1684 წელი | 1699 წელი |
| --- | --- | --- |
| | | |

LAYİHƏ

## 8.2. ოსმალეთის საერთაშორისო გავლენის შესუსტება



*ახალი საუკუნის დასაწყისში ოსმანთა იმპერია შეეცადა თავისი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. 1711 წლის პრუტის ლაშქრობაში რუსეთზე გამარჯვებამ ოსმანებს დაუბრუნა რწმენა ძველი დიდების დაბრუნებაზე. სამწუხაროდ ამ რწმენამ ვერ გამართლა.*



რომელ ომებში მიიღო მონაწილეობა ოსმანეთმა მე-XVIII საუკუნესი? როგორ დამთავრდა ეს ომები?

**ძირითადი სიტყვები:** *პატრონ ჰალილი, ბელგრადის ზავი, კაპიტულაცია, ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებ*

ვენეციასთან ომი ოსმანთა გამარჯვებით დამთავრდა. ოსმანთა გამარჯვებები გახდა ახალი ომის მიზეზი, რომელიც ავსტრიამ დაიწყო ოსმანთა საწიმააღმდეგოდ. პოჟარევატის მშვიდობინი ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც დაიდო 1718 წელს ვენეციას და ავსტრიას შორის, სერბეთი და ჩრდილო ბოსნია გადადიოდა ავსტრიის პროტექტორატის ქვეშ, ხოლო მორეა და ეგინის სრუტის კუნძულები ოსმანებს დაუბრუნდათ. ბელგრადის დაკარგვამ შეასუსტა ოსმნთა გავლენა ევროპაში.



*ამ აჯანყების შედეგად*

**პატრონ ჰალილი** **პატრონ ჰალილის აჯანყება.** როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში ასევე პოლიტიკურშიც ღრმავდებოდა კრიზისი. მმართველების ზედმეტი გაუმაძღრობა და კორუფცია იწვევდა ხალხში უკმაყოფილებას და აჯანყებებს. მექრთამეობის გაზრდამ და უკანონობამ გამოიწვია სტამბულის 1730 წლის აჯანყება.

რომელსაც სათავეში იანიჩარი პატრონ ჰალილი ჩაუდგა მთავარი ვაზირი იბრაჰიმ ფაშა მოკლული იქნა, ხოლო სულთან აჰმედ III გადაყენებული იქნა ტახტიდან თავისი ძმისშვილის– მაჰმუდის სასარგებლოდ. ერთი ხანა

LAYİHƏ

სასახლეში იძულებულნი იყვნენ პატრონ ჰალილისათვის ანგარიში გაეწიათ. მაგრამ 1730 წელს სულთან მაჰმუდ I ბრძანებით პატრონ ჰალილი და სხვა აჯანყების მონაწილეებიც სიკვდილით დასჯილნი იყვნენ.

***თქვენის აზრით რატომ დაიწყო აჯანყება იანიჩარებში?***

XVIII საუკუნის დასაწყისში ოსმანთა იმპერიის სოფლის მეურნეობაში და სხვა დარგებში შეინიშნებოდა გარკვეული წინსვლა. განვითარდა ფულადსასაქონლო ურთიერთობები. ამასთან ერთად ბევრი ხელოსანი გაკოტრდა იმის გამო რომ, ვერარ უწევდნენ კონკურენციას შემოტანილ საქონელს. მაგრამ ზოგ სახელოსნოში გამოშვებულ ნაწარმზე მაინც იყო მოთხოვნა.



*ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება*

**ბელგრადის მშვიდობა.** ავსტრიამ ისარგებლა რა ოსმანთა ომით სეფევიდებთან დადო ხელშეკრულება რუსეთთან და დაიქყო ომი ოსმანებთან. იმის და მიუხედავად რომ, ოსმანები ომობდნენ ორ ფრონტზე მათ მაინც შესძლეს რიგი გამარჯვებების მოპოვება. 1739 წელს საფრანგეტის შუამავლობით ოსმანებმა დადეზ ზავი ავსტრიელებთან ბელგრადში. ამ ხელშეკრულების მიხედვით პოჟარევატის ხელშეკრულების საფუძველზე დათმობილი ტერიტორიები კვლავ ოსმანებს დაუბრუნდათ. ანუ ბელგრადი და ჩრდილო სერბეთი შეუერთდა ოსმანთა იმპერიას. ავსტრიის დამარცხებამ და შვედეთთან ახალი ომის საშიშროწბამ აიძულა რუსეთი ზავი დაედო ოსმანებთან. ბელგრადის ზავის შედეგად აზოვის ციხე გადაეცა რუსეთს, მაგრამ თურქებს დარჩათ უფლება შავსა და აზოვის ზღვაზე ეწარმოებინათ ვაჭრობა და ჰყოლოდათ სამხედრო ფლოტი. ორივე სახელმწიფომ დადო გარანტია ჩრდილოეთ კავკასიაში შესვლაზე უარის თქმაზე.

***თქვენის აზრით, რატომ მიიღეს გარანტიები ორივე სახელმწიფომ ჩრდილოეთ კავკასიაში შესვლაზე უარის თქმაზე?***

ბელგრადის ზავი იყო ბოლო ზავი, რომელიც ოსმალეთის ინტერესებს იცავდა.

LAYIHƏ



საზღვაო ბრძოლა ჩესმეს ყურეში(ჩეშმე) 1770 წელი

1740 წელს საფრანგეთსა და ოსმანებს სორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ოსმანთა იმპერიის ტერიტორიაზე ფრანგებს მიენიჭათ 10% საბაჟო -სავაჭრო უფლება. შემდგომში იგივე უფლებები მიიღეს ინგლისმა, ჰოლანდიამ და სხვა ქვეყნებმა.

***რა უარყოფითი შედეგები გამოიღო ოსმანთა იმპერიისათვის ასეთმა პრივილეგიებმა?***

**ოსმანო-რუსეთის ომები XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.** ამ მომენტისათვის რუსეთმა ვერ მიაღწია თავის უპირველეს ამოცანას მიეღწია შავი ზღვის სანაპირომდე.

1768 წელს ოსმანებმა საფრანგეთისა და ავსტრიის მიერ წაქეებულმა, გამოუცხდა ომი რუსეთს. სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდნენ კავკასიაში, ბალკანეთსა და ყირიმში.ომის მსვლელობის დროს რუსეთმა მიაღწია წარმატებებს. რუსეთის ჯარის გამარჯვებებმა ლარგასთან,




ოსმალეთის იმპერია ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების შემდეგ

LAYİHƏ

კაგულასთან და საზღვაო ბრძოლაში ჩესმეს ყურეში განაპირობა მისი გამარჯვება. ევროპული სახელმწიფოების გეგმებში არ შედიოდა რუსეთის გაძლიერება ბალკანეთში. ევროპული სახელმწიფოების გავლენის ქვეშ რუსეთს მოუწია ომის შეჩერება.

1774 წლის ივნისში ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების შედეგად რუსეთს გადაეცა მიწები დნეპრსა და სამხრეთ ბუგს შორის ასევე ყაბარდა. რუსეთის გემებმა მიიღო უფლება თავისუფლად ცურვისა შავ ზღვასა, დარდანელსა და ბოსფორში. პირველად თავის ისტორიაში ოსმალეთი ვალდებული იყო გადაეხადა კონტრიბუცია, როგორც დამარცხებულმა მხარემ. ოსმალეთის სულთანმა სცნო ყირიმის დამოუკიდებლობა. ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება იყო ყველაზე მძიმე პირობები კარლოვიცის შემდეგ. დამთავრდა ოსმალეთის შავ ზღვაზე ბატონობა, დასუსტდა მისი საერთაშორისო გავლენა.

## კითხვები და დავალებები

1. შეადარეთ ქუჩუქ-კაინარჯის და კარლოვიცეს ზავები ერთმანეთს. 2. დაამტკიცეთ 1740 წელს ხელმოწერილი ოსმანო-ფრანგული ხელშეკრულების უარყოფითი შედეგები. 3. ახსენით იმ სახელმწიფოების მიზეზები, რომელნიც გაერთიანდნენ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. 4. რასთან იყო დაკავშირებული ოსმალეთის სამხედრო წარუმატებლობები?

## ქრონოლოგია

| 1730 წელი | 1740 წელი | 1774 წელი |
| --- | --- | --- |
| | | |

LAYİHƏ

## 8.3. ევროპული ქვეყნების გეგმები ოსმალეთის იმპერიის დანაწილებაზე



*რუსეთის იმპერატრიცას ეკატერინე II ოსმალეთის მიმართ გააჩნდა თავისი გეგმები. „ბერძნული პროექტის“ მიხედვით, რომელიც იმ დროს შემუშავდა, ოსმალეთის ტერიტორიები უნდა განაწილებულიყო რუსეთსა და ავსტრიას შორის, აღდგენილიყო „ბიზანტიის იმპერია“. ეკატერინე II გეგმების მიხედვით უნდა გასუფთავებულიყო ბალკანეთი ოსმალებისაგან აღდგენილიყო ბიზანტიის იმპერია და მის ტრონზე უნდა ასულიყო მისი შვილიშვილი კონსტანტინე. მაგრამ სხვა ევროპული ქვეყნები არ იყვნენ ეკატერინე II გეგმის მომხრენი. იმიტომ რომ, ევროპული ქვეყნები თავს ჭყლეტდნენ „აღმოსავლეთის საკითხით“.*






**რა იდო „აღმოსავლეთის საკითხის“ არსში?**

**ძირითადი სიტყვები** *„აღმოსავლეთის საკითხი“, იასიის მშვიდობიანი ხელშეკრულება, სულთან სელიმ III, „ნიზამი ჯედიდი“*

**„აღმოსავლეთის საკითხი“.** XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთისა და რიი ევროპული სახელმწიფოების მისწრაფებამ წარმოშვა „აღმოსავლეთის საკითხი“. „აღმოსავლეთის საკითხის“ არსს წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერიის მიწების დანაწილებაში.

ამ გეგმის განხორციელებაში რუსეთი თამაშობდა მნიშვნელოვანდა მთავარ როლს.

***რა აქვთ საერთო და რითი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან „ბერძნული“ და „აღმოსავლეთის საკითხები“?***

ინგლისი და საფრანგეთი უბიძგებდნენ ოსმალებს რუსეთთან ომისათვის. ამით მათ სურდათ რუსეთის დასუსტება ოსმალეთის ევროპიდან განდევნა.

XVIII საუკუნის ბოლოს „აღმოსავლეთის საკითხი“ რუსეთის ძირითად პოლიტიკად იქცა. ამ მომენტისათვის საფრანგეთსა და ინგლისს შორის კონკურენციამ პიკს მიაღწია.

LAYİHƏ



*რუსების მიერ ციხე-სიმაგრე იზმაილის აღება*

**იასიის მშვიდობიანი ხელშეკრულება.** 1787 წელს თურქეთის სულთანმა რუსების მიერ ყირიმის ოკუპაციის საპასუხოდ ომი გამოუცხადა მათ. ავსტრია, რომელსაც სურდა ბალკანეთის მიწების მითვისება, რუსეთის მხარეს ჩაება ომში.

ოსმალეთი იძულებული გახდა ომი ეწარმოებინა ორი მიმართულებით. ავსტრიამ დაიპყრო ბელგრადი, რუსეთმა კი -აკერმანი, ბენდერები და ციხე-სიმაგრე იზმაილი. 1791 წლის იასიის ზავის მიხედვით თურქებმა სცნეს რუსეთის ბატონობა ყირიმზე. მდინარე დნესტრი გახდა საზღვარი ორ სახელმწიფოებს შორის. რუსეთი საბოლოოდ გამაგრდა შავ ზღვაზე.

ასე რომ, იასიის ზავმა კიდევ უფრო დაასუსტა ოსმალები და გააძლიერა რუსეთის პოზიციები საერთაშორისო არენაზე.

**სულთან სელიმ III რეფორმები.** XVIII საუკუნის ბოლოს ოსმალეთის დამარცხებამ რუსეთთან ომში კიდევ უფრო შეასუსტა სახელმწიფო. სახელმწიფოში დაიწყო ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი. საერტაშორისო ურთიერთობების გაუარესებამ კიდევ უფრო დამაბა პოლიტიკური სიტუაცია. ასეთ სიტუაციაში გაჩნდა საჭიროება ძლიერ ჯარში.

LAYİHƏ



სულთან სელიმ III

ჯარის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ ცხენოსნები და იანიჩარები. სიტუაციამ მოიტანა რომ, ჯარი ევროპულ მანერზე უნდა გადაწყობილიყო.

*რაზე მეტყველებს ჯარი მდგომარეობა?*

სულთან სელიმ III (1789–1807), რომელიც ავიდა ტახტზე ამ მძიმე მდგომარეობაში, გასცა ბრძანება მომზადებულიყო პროექტი რეფორმების შესახებ. იმავდროულად სულთან სელიმ III გააგზავნა დელეგაციები ევროპულ ქვეყნებში ევროპული გამოცდილების მისაღებად.სულთან სელიმ III ფუძედ აიღო ფრანგული გამოცდილება, 1792–1793 წლებში მან დაიწყო რეფორმების გატარება სახელმწიფოსი რომელსაც უწოდეს „ნიზამი ჯედიდი"(ახალი წყობა).

უპირატესობა მიენიჭა სამხედრო რეფორმებს.



ახალი რეგულარული ჯარის „ნიზამი ჯედიდი"-ს აღლუმი. სულთან სელიმ III

LAYİHƏ

რეფორმები ტარდებოდა შვედი და ფრანგი სამხედროების მონაწილეობით. ჯარის შესანახად შეიქმნა სპეციალური ხაზინა. ფლოტის რეორგანიზაციის მიზნით აიგო ახალი ტიპის გემები. გაფართოვდა სამხედრო– საინჟინრო სკოლების ქსელი.

***რატომ მიენიჭა უპირატესობა სამხედრო რეფორმებს?***

მმართველობის რეფორმა გულისხმობდა სახელმწიფოს 28 პროვინციად დაყოფა, მათ სამართავად გამოცდილი მმართველების დანიშვნა. პირებს, რომელნიც არ იცავდნენ კანონს თანამდებობიდან ათავისუფლებდნენ. ევროპიდან ინფორმაციის სწრაფად მისაღებად ლონდონში, პარიზში, ვენასი და ბერლინსი გაიხსნა მუდმივმოქმედი საელჩოები.

რეფორმის შედეგად გაიხსნა უამრავი სკოლები, სეიქმნა ტიპოგრაფია, უცხო ენად ფრანგულს სწავლობდნენ.

***რატომ ისწავლებოდა ფრანგული ენა?***

მიღებული იყო ზომები გადახარჯვასთან დაკავშირებით. სახელმწიფო დაწესებულებებში დაიწყეს ადგილობრივი საქონლის გამოყენება.




*სიტუაცია იასასა ხელშეკრულების შემდეგ*

LAYİHƏ

როგორც ადრე, სულთან სელიმ III რეფორმები მაინც არ დამთავრდა დადებითად კონსერვატორულად მოაზროვნე შიდა მტრების უვიცობისგან გამომდინარე. მაგრამ ამ რეფორმის გამოუსვლელობის მთავარი მიზანი მაინც სულთან სელიმ III მერყეობა და არაპრინციპულობა იყო. 1807 წელს სულთან სელიმ III და რეფორმების მხარდამჭერნი დასჯილნი იყვნენ სიკვდილით. სულთან სელიმ III ტახტიდან ჩამოგდებამ დაასამარა რეფორმები და ოსმალეთის ძველი დიდება.

### კითხვები და დავალებები

1. რა იყო XVIII საუკუნის კრიზისის გაღრმავების ძირითადი ფაქტორები ოსმალეთის იმპერიაში? 2. რატომ ატარებდნენ ევროპული სახელმწიფოები მკაცრ პოლიტიკას ოსმალეთის წინააღმდეგ? 3. რატომ არ უჭერდნენ რუსეთის გეგმას „ბიზანტიის“ აღდგენაზე ევროპული სახელმწიფოები? 4. რატომ არ დასრულდა სულთან სელიმ III რეფორმები? 5. რატომ გამოდიოდა ავსტრია რუსეთის მოკავშირეთ? 6. გადაიწერეთ ცხრილი რომელიც ასახავს სულთან სელიმ III რეფორმებს.

| სამხედრო სფერო | მმართველობის სფერო | განათლების სფერო | ეკონომიკური სფერო |
|---|---|---|---|
| | | | |

## ქრონოლოგია

| 1783 წელი | 1792 წელი |
|---|---|
| | |



LAYİHƏ

## 9. ცენტრალური აზიის სახანოები



*XVI საუკუნის დასწყისში ბოლო მოეღო ოქროს ურდოს და თემურიდთა სახელმწიფოს. ამის შემდეგ ამ ქვეყნებში მაცხოვრებელ ხალხებს გაეხსნათ ისტორიის ახალი ფურცლები. უზბეკების, ყაზახების, ყარაკალპაკების, თურქმენებისა და სხვა ხალხების ცხოვრებაში, რომელნიც სახლობდნენ ამ ტერიტორიებზე, მოხდა ცვლილებები.*



კიდევ რომელი თურქული სახანოები შეიქმნა ცენტრალურ აზიაში? როგორ გადაიქცნენ ყაზახები, ანუ „თავისუფალი ხალხი“, კოლონიალურ ხალხად?

**ძირითადი სიტყვები:** *ტაუკე ხანი, ჟურგალი, ტანხო, ხივინის სახანო, ბუხარის სახანო, კოკანდის სახანო, ბათირ სრიმი*

**ცენტრალურაზიური სახანოების შექმნა.** ყაზახეთის სახანო შეიქმნა XV საუკუნეში ოქროს ურდოს დაშლის პროცესად. XVI საუკუნეში ჯერ ორად დაიყო, შემდგომ სამ ***ურდოდ(ჟუზი*)***. ულუ (დიდი)ურდო, იკავებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ყაზახეთს, შუ ა– ცენტრალურ და ჩრდილო ნაწილს ხოლო მცირე ურდო– დასავლეთ ნაწილს. ეს ურდოები (ჟუზები) დამოუკუდებელი ერთეულები იყვნენ. მათ მმართავდნენ ხანები, რომლებსაც ირჩევდნენ ცენტრალურ ყრილობაზე ფეოდალი თავადები. ჟუზების მოსახლეობა ძირითადად მომთაბარე მესაქონლეები იყვნენ.

ცენტრალური აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში შექმნილი იყო ორი სახანო, რომლის მოსახლეობასაც შეადგენდნენ უზბეკები, ტაჯიკები და თურქმენები. ერთის ცენტრი ბუხარა იყო, მეორესი კი -ხივა. XVIII საუკუნის დასაწყისში მათ რიცხვს შემოემატა უზბეკური სახანო– კოკანდი. ყირგიზები ძირითადად ცხოვრობდნენ ტიან-შანის მთებში. მათ არ გააჩნდათ პოლიტიკური განათლება.

***რას ნიშნავს პოლიტიკური განათლების არქონა?***

XVII საუკუნის ბოლოს – XVIII საუკუნის დასაწყისში ხან ტაუკეს ხანაში მათ შორის დამყარდა მჭიდრო ურთიერთობები. სამივე ურდოს გაერთიანებით შეიქმნა ყაზახთა სახელმწიფო.



*ყაზახთა აული*

* ***ჟუზი*** – (ასეული) ყაზახურად ნიშნავს „ნაწილს, მხარეს“



LAYIHƏ



*ტაუკე ხანი*

ხან ტაუკეს მიერ მიღებულმ კანონებმა-დიდი წვლილი შეიტანეს ტეოდალური ურთიერთობების გასაძლიერებლად ეს კანონები დამყარებული იყო ტრადიციე-ბზე, ადათჩვეულებებზე და შარიათზე. ხან ტაუკეს მმართველობა ყაზახთა სახანოს “ოქროს ხანად“ ითვლება.

**XVIII საუკუნის ცენტრალურაზიური სახანოები.** XVIII საუკუნის დასაწყისში ცენტრალურ აზიაში ძველ ქალაქებთან– ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებთან – სამარყანდთან, ბუხარასთან, ხივასთან და ტაშკენტთან ერთად ვითარდებოდა ახალი ქალაქები – კოკანდი, ნამანგანი. სახელოსნოოებში იწარმოებოდა ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილები, იარაღი, საიუ-ველირო ნაწარმი, თიხის ნაწარმი, ქაღალდი, ჭურჭელი და სხვა პროდუქცია. ცენტრალური აზიის ქვეყნებს მჭიდრო ურთიერთობები გააჩნდათ რუსეთთან, ირანთან, აზერბაიჯანთან, ჩინეთთან, ინდოეთთან. გაიზარ-და რუსული ნაწარმის შემოსვლა. ეს ხელს უწყობდა ურთიერტ)ობების განვით)არებას რუსეთსა და ცენტრალურ აზიას შორის. აბრეშუმის წარმოებით ფერგანამ მიაღწია განვითარების და ეკონომიკურ მაღალ დონეს.

ცენტრალური აზიის სახანოებში მიწის საკუთრების ძირითად ფორმებს შეადგენდა ***სახელმწიფოს*** (ხანის მიწები), ასევე ***მიულქი, სიურგალი*** და ***ტანხო****. სიურ-გალს და ტანხოს გადაცემდნენ მსახურობისათვის.




*ყაზახეთის სახანო (ჟუზი)*
*XVI–XVIII საუკუნეებში*

სავაჭრო ურთიერთობები ძირითადად ხორციელდებოდა საქონლის საქონელზე გაცვ-ლით ანუ ნატურალური გაცვ-ლის პრინციპით. მომთაბარე ტომებსი ჯერ კიდევ შენარჩუ-ნდნენ გვაროვნული წყობის ელემენტები. ტომები– აიმაკები თვითონ იყოფოდნენ აულე-ბზე– დასახლებებზე (ობა),

---

* ***ტანხო*** – მხოლოდ სამხედრო სამსახურისათვის გადაიცემოდა



LAYİHƏ

რომელნიც საზოგადოების ცალკეული შემადგენელი ნაწილები იყვნენ. აულები ძირითადად სისხლით ნათესავებისაგან შედგებოდნენ. ყაზახურ აულებს ხელმძღვანელობდნენ პირები, რომელნიც იმავდროულად ითვლებოდნენ მხედართმთავრებად.

მათ უწოდებდნენ ბათირებს– ბაჰადირებს, ბიებს. აულთა გაერთიანებებს სულთანი ხელმძრვანელობდა. ისინი თავს ჩინგის ყაენის შთამომავლებად მიიჩნევდნენ თავს. სასამართლოს ფუნქციას ითავსებდა ბეი.

*რაზე მეტყველებს ის ფაქტი რომ, ყაზახებში არსებობდნენ ფეოდალურ -არისტოკრატიული ურთიერთობები?*

ჯუნგარების მიერ ურდოს დაპყრობა. ყაზახებს ხშირად ესხმოდნენ ჯუნგარები, რომელთაც დასავლეთ მონღოლეთში გააჩნდათ თავიანთი სახანო. 1723 წელს ჯუნგარებმა დაამარცხეს ყაზახები. შუა ურდოს დედაქალაქი– თურქესტანი დაპყრობილ იქნა და განადგურებული. დიდი ურდო (ულუ)– ჯუნგარების დამოკიდებულობაში მოექცა. ეს ხანა შევიდა ყაზახთა ისტორიაში, როგორც „დიდი უბედურობა“.

ტაიუკ ხანის დროს სამ ურდოებს შორის შექმნილი კავშირი დაიშალა. დიდი ურდოს გადასვლის შედეგად ჯუნგარების დაქვემდებარებაში შუა ურდო და მცირე ურდო დარჩა ისეთ დიდ ქვეყნებს შორის როგორებიცაა რუსეთი და ჩინეთი. შუა ურდომ მიიღო ჩინეთის მფარველობა.

*ყაზახთა სახნოს გაყოფა.* 1731 წელს მცირე ურდოს მმართველმა– აბულხეირ ხანმა მიიღო რუსეთის მფარველობა. შემდეგში, შემოჭრების




*ხივინის, ბუხარის და კოკანდის სახანო*

LAYİHƏ

თავიდან ასაცილებლად რუსეთმა მდინერეების ურალისა და ორის შესარწყამთან დაარსეს ქალაქი ორენბურგი.

იმისათვის რომ, დაემლიათ სულთანის, ბათირებისა და ბეიების წინააღმდეგობა რუსეთმა დალაშქრა მცირე ურდო. რუსეთმა გამოიყენა ურდოს დასუსტება ჯუნგართა შემოსევის გამო.

1740 წელს შუა ურდო და დიდი ურდოს ჩრდილოეთი რუსეთმა შემოიერთა. ყაზახეთის სამხრეთი კი კოკანდის და ბუხარას სახანოებმა გაიყეს. ამ დროს უზბეკურ სახანოებში ხელისუფლება სუსტი იყო. უზბეკ ფეოდალებს შორის ომი განუწყვეტლივ მიმდინარეობდა. ხივინის სახანოს თავდასხმებმა აფშარების მიწებზე 1740 წელს ნადირ შაჰ აფშარის ლაშქრობა გამოიწვია ხივინის სახანოზე. ნადირ შაჰმა დაიფყრო ხივი და დაიმორჩილა ხივინის სახანო. ბუხარა უბრძოლველად დაემორჩილა ნადირ შაჰს, ხოლო აფშარის ჯარის წასვლის შემდეგ, ხივს თურქმენები დაეპატრონენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ უზბეკმა მმართველმა მუჰამედ ემინმა აღადგინა ხივის სახანო. იგი გახდა ხივის სახანოს მმართველიუ დინასტიის დამაარსებელი, რომელნიც სახანოს დაშლამდე მმართავდნენ მას.

ბათირ სრიმის აჯანყება. სახელმწიფოს ოკუპაციამ ყაზახებში გაავიძა პატრიოტული გრძნობები და სახელმწიფოში დაიწყო სახალხო - განმანთავისუფლებელი ბრძოლა. 1783 წელს მცირე ურდოში დაიწყო ხანგრძლივი აჯანყება ბათირ სრიმის მეთაურობით, რომელიც მიმართული იყო რუს ოკუპანტთა წინააღმდეგ. რუსების მიერ ხანის ხელისუფლების გაუქმებამ კიდევ უფრო დამაბა არსებული სიტუაცია. ოსმალეთმა დახმარების ხელი გაუწოდა ამბოხებულებს.



*ბათირ სრიმი*

პირველ ეტაპზე ბათირ სრიმის გამარჯვებები მიმართული იყო ხანის ძალაუფლების აღსადგენად. ცარიზმი წავიდა რიგ დათმობებზე ბათირებისა და ბეიების სასარგებლოდ.

აჯანყების მეორე ეტაპი გადაიზარდა ღარიბების ბრძოლაში მდიდრების წინააღმდეგ. უფროსების (რაისების) გადასვლამ სულთანის მხარეზე ციდად იმოქმედა აჯანყებაზე. მათ არ სურდათ თავიანთი პრივილეგიების დათმობა.

მცირე ურდოს მმართველმა ნურალი ხანმა შეიყვანა მის მიერ შექმნილ საბჭოში ყველაააჯანყებულების ლიდერი ბათირ სრიმის მეთაურობით.

LAYİHƏ

ამან აჯანყებულებების შორის გან- ხეთქილება გამოიწვია. რუსეთის მთავრობასთან ერთად თავადები სრიმის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

1797 წელს სრიმი იძულებული გახდა ხივიში გაქცეულიყო.

მეფის რუსეთმა გაითვალისწინა თავისი შეცდომები, და შეამსუბუქა კოლონიალური სისტემა.



*ორენბურგის ციხე-სიმაგრის გეგმა*

## კითხვები და დავალებები

1. რატომ ეძახიან ტაუკე ხანის მმართველობას ყაზახებს "ოქროს ხანას"? 2. აღწერეთ ყაზახული აული და მისი მმართველობის სისტემა. 3. სად და როდის შეიქმნა კოკანდის სახანო? 4. რატომ მოაწერა ხელი მცირე ურდომ რუსეთთან შეერთებაზე? 5. რა მოიმოქმედა რუსეთმა ურდოს დასაპყრობად ცენტრალურ აზიაში? 6. გადმოწერეთ ცხრილი რვეულში და შეავსე.

| ბათირ სირმას აჯანყება | |
|---|---|
| აჯანყების დაწყების მიზეზი | |
| აჯანყების შედეგები | |

## ქრონოლოგია

| 1731 წელი | 1740 წელი | 1783 წელი |
|---|---|---|
| | | |

LAYİHƏ

## 10. პოვოლჟიეს, ურალისა და ციმბირის თურქული ხალხები



*XIII საუკუნეში მონღოლებმა ბოლო მოუღეს ვოლგის–ბულგარეთის სახელმწიფოს. ვოლგის– ბულგარეთის სახელმწიფოს ტერიტორიები შეფდიოდა ოქროს ურდოში. XV საუკუნეში ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ ვოლგის ბულგარებმა შექმნეს დამოუკიდებელი სახელმწიფო ყაზანის სახანო. ამ სახანომ ას წელზე მეტი იარსება. XVI საუკუნეში ყაზანის სახანომ დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა და რუსეთს შეუერთდა.*



**რა კვალი დატოვა ვოლგის ბულგარებში რუსეთის კოლონიალურმა მმართველობამ?**

**ძირითადი სიტყვები:** *პოვოლჟიე, ურალი, ციმბირი, ტუვა, თათრები, ბაშკირები – ბაშკორტები, ჩუვაშები, ყალმუხები, თარხანი, იასაკი, სეიდ ბათირი, კანონთა კრებული*

XVII–XVIII საუკუნეებში პოვოლჟიეზე და ურალში რუსმა კოლონიზატორებმა დაუტოვეს გარკვეული პრივილეგიები თათარ და ბაშკირ (ბაშკორტებს) ფეოდალებს. მათ შეეძლოთ თარხანებად და იუზბაშებად ყოფნა. თარხანი ითვლებოდა სამხედრო წოდებად. ფეოდალები, რომელნიც იღებდნენ ამ წოდებას, იცავდნენ რუსეთის სამხრეთ– აღმოსავლეთის საზღვრებს, იყვნენ შუამავლები მოლაპარაკებებში ყაზახ და კალმიკ ხანებთან. ამ პერიოდში პოვოლჟიეში და ურალში ძირითადი მიწადმფლობელი იყო სახელმწიფო. თარხნები განთავისუფლებულნი იყვნენ გადასახადებისაგან. გლეხები, რომელნიც ძირითად გადამხდელებად ითვლებოდნენ, იხდიდნენ გადასახადს– იასაკს.

ოლქებში ადმინისტრაციულ და სასამართლო ფუნქციებს იუზბაშები ითავსებდნენ.

რუსეთის კოლონიზაციის ძირითადი არსი იყო რუსი მოსახლეობის ჩასახლება კოლონიურ მიწებზე. თათრების, ბაშკირების და ჩუვაში თურქების მიწებზე შენდებოდნენ რუსული ციხეები, ქალაქები და ეკლესიები. მათი კუთვნილი მიწები ძალით იქნენ ჩამორთმეული და „პომეშჩიკებს“ (რუს ფეოდალებს) გადაეცემოდათ, სადაც თავიანთი რუსი გლეხები სახლდებოდნენ.

***რა იყო რუსი კოლონიზატორების ძირითადი არსი პოვოლჟიეში და ურალში?***

მეორე რუსული კოლონიზატორების ტაქტიკა მდებარეობდა ადგილობრივი პოვოლჟიესა და ურალის მკვიდრი მოსახლეობის გადასახლება.



LAYTHO

მესამე კი იყო რუსიფიკაცია და მუსულმანი მოსახლეობის იძულებითი გაქრისტიანება.

ანგრევდნენ მეჩეთებს, მუსულმანი სასულიერო პირები კარგავდნენ პრივილეგიებს. ამით რუსები აყენებდნენ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ტრადიციებს და მორალს გამოუსწორებელ დარტყმას. რუსიფიკაციის პოლიტიკა ხორციელდებოდა ასევე ეკონომიკურ პოლიტიკასთან ერთად. 1649 წელს მიღებული კანონთა კრებულის შესაბამისად პომეშჩიკებს, რომლებმაც არ მიიღეს ქრისტიანობა ეკრძალებოდათ ყმების ყოლა. ამის საფუძველზე მუსულმანი დიდგვაროვნები თუ არ მიიღებდნენ ქრისტიანობას კარგავდნენ უფლებას მიწაზე და გლეხებზე.

რუსული წარმოების სპეციფიურ მხარეს წარმოადგენდა ქარხნების მანუფაქტურაში ყმების გამოყენება. პეტრე I მმართველობის დროს კოლონიალური პოლიტიკა უფრო გამკაცრდა.

პეტრე I მმართველობის დროს რეფორმების შედეგად პოვოლჟიეში და ურალში აშენდა უამრავი ქარხანა და ადგილობრივი მოსახლეობა გადაეცა ამ ქარხნებს საკუთრებაში.




*პოვოლჟიესი და ურალის თურქების დასახლების ტერიტორიები*




*ციმბირელი თურქების დასახლების ტერიტორიები*

**როგორ იქნა გადაქცეული პოვოლჟიესი და ურალის ადგილობრივი მოსახლეობა ყმებათ?**

LAYİHƏ



*ბათირშაჰი*

ერთის მხრივ პოვოლჟიესა ი და ურალის თურქი მოსახლეობის ყველა უფლებები იზღუდებოდა. მეორეს მხრივ ყველა ხარჯები რუსეთის ჯარის შესაქმნელად, მათ შორის რუსული ფლოტისაც ამ მოსახლეობას დააწვა.

XVIII საუკუნის დასწყისში პოვოლჟიესა და ურალის თურქების განმანთავისუფლებელმა ბრძოლამ ახალ ეტაპს მიაღწია. აჯანყებულ ხალხს სურდა დამოუკიდებლობის აღდგენა. ერთ-ერთ ასეთ აჯანყებას ხელმძღვანელობდა თათარი სეიდ ბათირი. რუსეთი ამ ტერიტორიას განიხილავდა როგორც პლაცდარმს ყაზახეთისა და აზიის დასაპყრობად. აჯანყების ჩახშობა მოხერხდა უამრავი ჯარის წყალობით.

XVIII საუკუნის შუაში მოხდა თათრებისა და ბაშკირების კიდევ ერთი მძლავრი აჯანყება, რომელსა ხელმძღვანელობდა აბდულა გალია (ბათირშაჰი). ეს აჯანყებაც ასევე ჩახშული იყო.

***ციმბირელი თურქები.*** ციმბირი მოიცავს უზარმაზარ ტერიტორიებს ურალის მთებიდან წყნარ ოკეანამდე. ამ ტერიტორიაზე სახლობდა უამრავი ხალხები. ისინი სხვადასხვა განვითარების ეტაპზე იმყოფებოდნენ.

ციმბირის ძირითად მოსახლეობას თურქები წარმოადგენდნენ. იაკუთები ცხოვრობდნენ მდინარე ლენას შუა ნაწილში. ისინი ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ, გამორჩეულად კი ირმების გაშენებას.

აღმოსავლეთ ციმბირში დღევანდელ ხაკასიაში და კრასნოიარსკის მხარეში კი ხაკასები. ისინი მიწადმოწმედებით და მესაქონლეობით ცხოვრობდნენ. XVII საუკუნეში ხაკასებს ფეოდალური ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ.

ტუველები კი ძირითადად მდინარე ენისეის ნაპირებზე ცხოვრობდნენ. ტუველები ძირიტადად მომთაბარე მესაქონლეობას ეწეოდნენ და მთებში ცხოვრობდნენ.

XVI–XVII საუკუნეებში ციმბირელი თურქები რუსეთის კოლონიებად იქცნენ.

ბეწვეულით მდიდარი ციმბირი იზიდავდა რუს ჩინოვნიკებსა და ვაჭრებს. იმის გამო რომ, ბეწვეული ძვირი ღირდა და უცხოურ ბაზარზე კარგად იყიდებოდა აქაურ მოსახლეობას გადასახადებს ბეწვეულით

LAYİHƏ

ახდევინებდნენ. მოტყუების გზით ისინი უამრავ ბეწვეულსა და ტყავს ითვისებდნენ.

რუსული კოლონიალური პოლიტიკის გამო ციმბირის მოსახლეობა რუსებით გაივსო და სწრაფად გამრავლდა. გადმოსახლებულთა შორის იყვნენ გლეხები, სასულიერო პირები და სხვადსხვა პროფესიის მქონე ხალხი. ასევე იზრდებოდა გადასახლებული ხალხის რაოდენობაც.

***როგორ ფიქტრობთ, რატომ იყო რუსეთის მთავრობა დაინტერესებული რუსი მოსახლეობის გამრავლებით ციმბირში?***

XVIII საუკუნის დასაწყისში ციმბირში დაიწყო მუშაობა ქარხნებმა. ეს ქარხნები მეტალურგიული, ვერცხლის გადამამუშავებელი და მარილის ქარხნები იყო. ამის შედეგად ციმბირული დასახლებები ყმების დასახლებებად გადაიქცნენ.

რუსეთის მიერ ციმბირ დაპყრობის შედეგად ადგილობრვმა თურქებმა დაკარგეს თავიანთი დამოუკიდებლობა, გახდნენ ყმები და ძალით გაქრისტიანდნენ. ხალხები, რომელნიც გახდა კოლონიზაციის მსხვერპლი აჯნყებებს აწყობდა, მაგრამ რუსები სასტიკად უსწორდებოდნენ მათ და სისხლში ახჩობდნენ ყოველგვარ აჯანყებებს. ერთ-ერთი ასეთი აჯანყება 1731 წელს მოხდა. აჯანყების ჩასახშობად, რომელიც ორი წელი გრძელდებოდა მთავრობა არტილერიას(ზარბაზნებს) იყენებდა.

## კითხვები და დავალებები

1. რა საერთო გააჩნდათ პოვოლჟიეს და ურალის ქარხნებს ციმბირის ქარხნებთან? 2. დაამტკიცეთ მაგალითების საფუძველზე რომ, პეტრე I მმართველობის დროს გაუარესდა თურქების მდგომარეობა რუსეთში. 3. ახსენით რუსი მოსახლეობის რიცხვის გაზრდის უარყოფითი შედეგები. 4. რითი შეიძლება აიხსნას პეტრე I მმართველობის დროს თურქებისადმი მტრული განწყობა? 5. ციმბირის მოსახლეობის საქმიანობიდან გამომდინარე აღწერეთ მათი განვითარების სტადიები.

## ქრონოლოგია

1649 წელი



LAYİHƏ

## 11. კავკასია XVII–XVIII საუკუნეებში

### 11.1. ჩრდილო კავკასია ახალი ხანის დაწყებამდე



*თავისი გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე კავკასია რუსეთს ყველაზე მეტად აინტერესებდა. მდინარე ვოლგის ქვედა ნაპირებზე გამაგრების შემდეგ, რუსეთი ცდილობდა კავკასიის დაპყრობას შავ და კასპიის ზღვაზე გასასვლელად. ასევე ამ ტერიტორიაზე გადიოდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი გზები.*

*ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებამ, რომელიც დაიდო 1774 წელს, ჩრდილო კავკასიის ისტორიაში შეიტანა ცვლილებები. რუსეთმა შემოიერთა აზოვის ზრვის სანაპირო, მიიღო შესაძლებლობა კავკასიისკენ შეჭრისთვის.*



**როგორ გამოიყენა რუსეთმა ისტორიული შანსი? რომელი ხალხები ცხოვრობდნენ ჩრდილო კავკასიაში?**

**ძირითადი სიტყვები:** *ადიღეელები, ჩერქესია, ყაბარდოელები, შაჰმალი, უსმია, მაისუმი, შეიხ მანსური, ბრძოლა ალდებთან*

**სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება, პოლიტიკური ცხოვრება.** XVII საუკუნის დასაწყისში ჩრდილო კავკასიის სოციალ– ეკონომიკური მ,დგომარეობა ძალიან მძიმე იყო. ოსმანო -სეფევიდური ომის გამო ქალაქები და სოფლები მოსახლეობის ყოფითი ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. ამ პერიოდში კავკასიაში მიმდინარეობდა რთული ეთნიკური პროცესები. ტომები ხალხებად ყალიბდებოდნენ. ჩრდილო კავკასიის ჩრდილო– დასავლეთით ადიღები (ადიგები)– ყველაზე მრავალრიცხვოვანი ერი სახლობდა. ეს ხალხი, რომმელსაც ჩერქესებს უწოდებდნენ დასახლდა დიდ ტერიტორიაზე ანაპიდან– მდინარე ყუბანის ნაპირებამდე. მათგან სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობდნენ აბაზინები, იალბუზთან– თურქული ტომები– ყარაჩაევები და ბალკარები. თერგის ნაპირებზე– ყაბარდოელები. ყაბარდოელები ორ წარმონაქმნად იყვნენ დაყოფილნი მცირე და დიდ ყაბარდოზე. თერგის ზემო დინებაში სახლობდნენ ოსები, მათ აღმოსავლეთში– ჩეჩნები და ინგუშები (ქისტები).

***რას ფიქრობთ, რა გავლენა იქონია ჩრდილო კავკასიის ყოფაზე აქ ამდენი ხალხის დასახლებამ?***

ჩრდილო კავკასიელების ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა, მიწადმოქმედება. აქ ძირითადად თესავდნენ ხორბალს,

LAYİHƏ




*ჩრდილო კავკასიის ხალხები*

ქერს, ჭვავს, ფეტვსა და შვრიას. ასევე თესავდნენ ბრიჯს, ბარდას და ბამბას, მებაღეობას და მებახჩეობას, მთიან რეგიონებში კი მესაქონლეობას– ძირითადად მეცხვარეობას. კალმიკელების და ნოგაელების მიწებზე ცხენების გაშენებას მისდევდნენ.

***ამჩნევთ თუ არა რაიმე კანონზომიერებას ჩრდილო კავკასიის სოფლის მეურნეობაში მიწადმოქმედების უპირატესობაში?***

განვითარებული იყო ისეთი ხელოსნობები, როგორიცაა: მჭედლობა, ქსოვა, მეხალიჩეობა, ტყავის საქმე, საიუველირო საქმე, იარაღის დამზადება და სხვა. იმ დროის მოგზაურები აღნიშნავდნენ ხელოსნების მაღალ კვალიფიკაციას ჩეჩნურ, ინგუშურ და დაღესტნურ აულებში. იარაღის ხელოსნები ამზადებდნენ ძლიერი მეტალისაგან თავიანთ ნაწარმს. მოსკოვის დიდი თავადი პატიჟებდა ჩრდილო კავკასიელ ხელოსნებს ასტრახანში რომ, მათ ესწავლებინად ხელობა რუსი მჭედლებისათვის იარაღის შექმნა და აბჯრების დამზადება.

***ხელოსნობის რომელი დარგები იყო მოსახლეობის საქმიანობასთან დაკავშირებული?***

XVII–XVIII საუკუნეებში ჩრდილო კავკასია დაყოფილი იყო დამოუკიდებელ და ნახევრადდამოუკიდებელ ერთეულებად. დაღესტნის ტერიტორიაზე იყო ტარკოვის საშამხლო, კაიტაქთა საუსმიო, ტაბასარანის სამაისუმო, ავარული და კაზიკუმუხის სახანოები. დაღესტნელებისგან განსხვავებით ჩეჩნებს და ინგუშებს არ გააჩნდათ ერთიანი მმართველობა. ისინი ცხოვრობდნენ თემის (ტეიპის)პრინციპით და მათ უხუცესნი მმართავდნენ.

LAYİHƏ




*XVII საუკუნის კავკასია*

ყაბარდოში დიდი თავადის არჩევითობამ გამოიწვია ურთიერთდაპირისპირება და ცენტრალიზებული ხელისუფლების შესუსტება. ყველაფერმა ამან ჩრდილო კავკასიაში პოლიტიკური დაქუცმაცება მოიტანა.

რუსეთის მიერ ჩრდილო კავკასიის დაპყრობის დაწყება. ასე რომ, XVIII საუკუნეში შეიქმნა ყველა პირობა რუსეთის მიერ ჩრდილო კავკასიის დასაპყრობად.

### *პირობები, რომელმაც ხელი შეუწყო რუსებს ჩრდილო კავკასიის დასაპყრობად:*

1. რეგიონში პოლიტიკური დაქუცმაცება;
2. ნადირ შაჰ აფშარის იმპერიის დაშლა;
3. ოსმალეთის იმპერიის დამარცხება რუსეთ-ოსმალურ ომში.

***როგორ შეუწყო პოლიტიკურმა დაქუცმაცებამ ხელი რუსებს ჩრდილო კავკასიის დასაპყრობად?***

LAYİHƏ

XVIII საუკუნის 60-ან წლებში რუსეთმა დაიწყო კავკასიური ხაზის შექმნა, რომელიც ყიზლარიდან აზოვის ზღვის სანაპირომდე გაიწელა. ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ რუსეთმა დაიწყო ოსეთის ოკუპაცია.

1783 წელს ყირიმთან ერთად რუსეთს გადაეცა თამანის ნახევარკუნძული და ყუბანის მიმდებარე მიწები. XVIII საუკუნის ბოლოს ყბარდოს თავადები, ჩეჩენო– ინგუსეთის მმართველები და ტარკოვის საშაჰმალო იძულებული გახდნენ რუსეთის მეფისათვის ერთგულების ფიცის დადებაზე.

რუსეთის მმართველობითი წრეები ყველანაირად ცდილობდნენ ჩრდილო კავკასიელი ხალხების შორის, თავადებსა და გლეხებს შორის უთანხმოებების შეტანას მათი ერთობის მოსასპობად და დასასუსტებლად. ყაბარდოელი, ადიღეელი, ჩერქეზული, ნოღაელი თავადები, რომელნიც მეფის რუსეთში იწყებდნენ მსახურებას იღებდნენ მათი მიწებისა და ქონების ხელშეუხებლობის გარანტიას, რითის ღრმავდებოდა დისკრიმინაცია.

***რის მიღწევას სცდილობდა რუსეთი როდესაც ადგილობრივ თავადებს აშორებდა ადგილობრივ მოსახლეობას?***

ცარიზმის სხვა პოლიტიკა, რომელიც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა იყო რელიგიის შელახვა. როგორც ურალსა და ციმბირში აქაც მიმდინარეობდა მოსახლეობის იძულებითი გაქრისტიანება. მოკლე ხანში გამოჩნდა რუსეთის იძულებითი კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგები.

**მთიელების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა. შეიხ მანსური.** მთიელმა ხალხებმა: ნოღაელებმა, ადიღეელებმა, ჩეჩნებმა, ინგუშებმა, ავარელებმა, რომელნიც ვერ შეეგუენ რუსეთის კოლინიზაციას, დაიწყეს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა. ამ ბრძოლაში დიდი ღვაწლი შეიტანა მიურიდიზმა.

მიურიდიზმის სწავლებიდან გამომდინარე, ყოველი მიურიდი ვალდებულია ჩაიდინოს ყოველი საქმე ალაჰისათვის, იყოს მორცხვი და მართალი, არ შეჭამოს პური, რომელიც მოიპოვა არაპატიოსნოდ, მოიქცეს ისე როგორც ასწავლის ყურანი. მიურიდიზმში ჯიჰადი და შეჰიდიზმი ერთმანეთს ავსებდა. მიურიდიზმის გავრცელებაში და მის გადაქცევაში ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლაში დიდი ღვაწლი შეიტანა შეიხ მანსურმა და მისმა რელიგიურ -პოლიტიკურმა ბრძოლამ.

1785 წელს სეიხ მანსურმა დაიწყო აჯანყება ჩეჩნეთში რუსული კოლონიზა-



*შეიხ მანსური*

LAYIHƏ

ტორული პოლიტიკის წინააღმდეგ. მან მოუწოდა კავკასიელ ხალხებს ***ჯიჰადისკენ**** უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. მოკლე დროში მან სეკრიბა დიდი და მძლავრი ჯარი, რომლითაც რუსებს მიაყენა რამოდენიმე მარცხი. ცნობები სოფელ ალდისთან გამარჯვების შესახებ უცებ გავრცელდა მთელს ჩრდილო კავკასიაში. მაგრამ, შეიხ მანსურის ბრძოლამ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. შეიხ მანსური ტყვედ აიყვანეს, სადაც მოკვდა.

***ახსენით კავშირი მიურიდიზმსა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლასთან.***

მთიელების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის მარცხის მიუხედავად მან მაინც გადაავადა და დროებით შეასუსტა ჩრდილო კავკასიაში რუსეთის კოლონიალური წნეხი.

## კითხვები და დავალებები

1. გადაწერეთ რვეულში ცხრილი „ჩრდილო კავკასიის ეთნიკური სურათი“ და შეავსეთ იგი.

| *ხალხის დასახელება* | *მათ მიერ დაკავებული ტერიტორია* |
|---|---|
| | |

2. გვაჩვენეთ რუკაზე ჩრდილო კავკასიელი ხალხების დასახლების ტერიტორიები XVII –XVIII საუკუნეებში. 3. ახსენით ჩრდილო კავკასიელი მოსახლეობის მიერ დაკავებულ ტერიტორიებისა და ყოფის შესაბამისობა მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობასთან. 4. რა ხერხებით ახორციელებდა რუსეთის იმპერია „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკას? 5. რა მნიშვნელობა ჰქონდა შეიხ მანსურის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლას?

## ქრონოლოგია

| 1783 წელი | 1785 წელი |
|---|---|
| | |



* ***Cihad*** – vətən, din uğrunda aparılan müqəddəs müharibə

LAYİHƏ

## 11.2. სამხრეთ კავკასია– ვერაგული გეგმების სამიზნე



*XVIII საუკუნის დასაწყისამდე რუსეთს არ გაჩნდა საკმარისი სამხედრო -პოლიტიკური ძალა რომ, სამხრეთ კავკასიაში განეხორციელებინა თავისი პოლიტიკა, მხოლოდ ეკონომიკურ პოლიიკით იყო შემოფარგლული. რუსეთის მეფის პეტრე I (1682–1725) მმართველობის დროს ამ პოლიტიკამ შეიცვალა თავისი მიმართულება. რუსეთმა დაიწყო თავისი პოლიტიკური გეგმების განხორციელება.*

*პეტრე I განიხილავდა კასპიის სანაპიროს, როგორც ნედლეულის წყაროს, ასევე ინდოეთისკენ მიმავალ ტრანზიტულ გზათ. მას სურდა ამ გზის ხელში ჩაგდება. ამისათვის საჭირო იყო სამხრეთ კავკასიის ხელში ჩაგდება.*



რუსეთს გააჩნდა პოლიტიკური მიზნები სამხრეტ კვკასიაში, რა მიზნები იყო ესენი?

**ძირითადი სიტყვები:** *სამხრეთ კავკასია, გიორგევსკის ტრაქტატი, ვალერიან ზუბოვი*

**პეტრე I ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნები**

***ეკონომიკური***

იაფი ნედლეულის ხელშიჩაგდება, რუსული მანუფაქტურული წარმოებისათვის ახალი ბაზრის შექმნა.

კასპიის ზღვის გადაქცევა რუსეთის შიდა ზღვად, აბრეშუმის გზის გადამისამართება ვოლგის პირეთისაკენ.

***პოლიტიკური***

სამხრეთ კავკასიის პლაცდარმად გამოყენება ოსმალეთთან საბრძოლველად.

**რუსეთის პოლიტიკური გეგმები სამხრეთ კავკასიაზე.** ამ დროს მთელი აბრეშუმის ვაჭრობა სომეხი ვაჭრების ხელში იყო. პეტრე I იყებნებდა სომხების ინფორმაციას მომავალ ბრძოლებში. სომხები, რომელმაც იცოდნენ რუსეთის გეგმების შესახებ, იჩენდნენ დიდ თავდადებას ამ საკითხში. ისინი უკეთებდნენ რუსეთიწრეებს სხვადასხვა სახის საჩუქრებს, ადგენდნენ გეგმებს, პროექტებს, აწვდიდნენ წინადადებებს. ამით ისინი აჩქარებდნენ რუსეთის ჯარის გაგზავნას სამხრეთ კავკასიაში. ამის



LAYiha




*პეტრე I მიერ დაკვეთილი სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთის ნაწილისა და კასპიის ზღვის რუკა*

საფუძვლად იყო ჩადებული აზერბაიჯანის მიწების მითვისება და „სომხური სახელმწიფოს“ შექმნა.

***რატომ უნდოდა რუსეთს ოსმალეთის საზღვრებთან ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა?***

სომეხ ვაჭრებს და სასულიერო პირებს სურდათ რუსეთის გამოყენება თავისი ეროვნული საკითხების მოსაგვარებლად. წერილებში პეტრე I იძლეოდნენ დაზვერვითი ხასიათის ინფორმაციას სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკურ ვითარებაზე, მოსახლეობის რაოდენობაზე. სომხების რაოდენობა სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა რეგიონში სპეციალურად იყო გაზრდილი. იწერებოდნენ რომ, ისინი იჩაგრებოდნენ მუსულმანებისაგან.

LAYIHƏ

1722–1723 წლის ლაშქრობების შედეგად რუსეთის იმპერიამ დაიპყრო კასპიის სანაპირო. ამის სემდეგ დაიწყო ადგილობრივი თურქ-მუსულმანების განადგურება და სომხების დასახლება მათ ტერიტორიებზე. მაგრამ, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გეგმების განხორციელებას პეტრე I სიკვდილმა ხელი შეუშალა.

**ვერაგული გეგმები კვლავ ჩაიშალნენ.** XVIII საუკუნის ბოლოსაც სამხრეთ კავკასიასი კვლავ გაგრძელდა პეტრე I ვერაგული პოლიტიკის განხორციელება. ეკატერინე II (1762-1796 ) მმართველობის დროს ძალით გაქრისტიანების პოლიტიკა აზერბაიჯანულ მიწებზე უფრო გაძლიერდა.

XVIII საუკუნის ბოლოს რუსეთ-ოსმალურ ომებში რუსეთი გამარჯვებებს აღწევდა რამც შესაძლებლობა მისცა გამაგრებულიყო შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე. ამის გარდა რუსეთმა დაიპყრო ჩრდილო კავკასია და საქართველოს არმოსავლეთი ნაწილი. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1764-1798), რომელსაც სურდა ჩრდილო აზერბაიჯანის მიწები დაპყრობა, დადო გიორგევსკის ტრაქტატი რუსეთთან (1783). ამის შედეგად საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი გადავიდა რუსეთის გავლენაში. რუსული ჯარი ტიფლისში შევიდა. რუსეთის პოიტიკა სამხრეთ კავკასიაში კიდევ უფრო აგრესიული გახდა. სომხები, რომელთაც უნდოდათ თავიანთი მიზნების მიღწევა დაუახლოდნენ ერეკლე II.

***რამ დაახლოვა სომხები ერეკლე II?***

სომხების ოცნება „სომხურ სახელმწიფოზე" ემთხვეოდა რუსულ კოლონიალურ პოლიტიკას და ძალით გაქრისტიანებას. რუსეთს, რომელსაც სურადა სუა აზიისა და ინდოეთის დაპყრობა თავიანთ ფარად სომხების ჩაგვრას იყენებდა.

***რატომ გამოდიოდა რუსეთი სომხების დამცველად?***

ეკატერინე II მთავრობა ცდილობდა რეალიზაცია მოეხდინა „სომხური სახელმწიფოს " სექმნისა სამხრეთ კავკასიაში.

აღა-მაჰმად-ხან გაჯარმა იცოდა რა რუსეთის გეგმები დასწრების მიზნით დალაშქრა სამხრეთ კავკასია. აღა-მაჰმად-ხან გაჯარის 1795 წლის აღმოსავლეთ საქართველოში ლაშქრობა გახდა რუს-



*ვალერიან ზუბოვი*

LAYIHƏ

ეთის შემოსვლის მიზეზი. 1796 წელს რუსეთმა დალაშქრა სამხრეთ კავკასია და აზერბაიჯანი. რუსულ ჯარს ხელმძღვანელობდა იმპერატრიცას ფავორიტი ვალერიან ზუბოვი. 1796 წელს ეკატერინა II გარდაიცვალა. ამ დროს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობები დაიძაბა. ეს მოვლენები გახდა რუსული ჯარის გაყვანის საფუძველი სამხრეთ კავკასიიდან.

ასე რომ, XVIII საუკუნის ბოლოს რუსეთის გეგმები სამხრეთ კავკასიის დაპყრობაზე ვერ გამართლდა.

### კითხვები და დავალებები

1. რა შეგიძლიათ დაამატოთ გრაფიკს პეტრე I ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზნებს. 2. რატომ ვერ შესძლო XVIII საუკუნის დასაწყისში რუსეთმა სამხრეთ კავკასიის დაპყრობა? 3. დაამტკიცეთ რომ, ეკატერინე II იყო პეტრე I საქმის გამგრძელებელი. 4. შეადარეთ „დიდი სომხეთის“ შექმნის იდეა და სახელმწიფო, რომლის შექმნაც ეკატერინე II სურდა.

## ქრონოლოგია

1722–1723 წლები

LAYİHƏ

## 12. თურქი და კავკასიელი ხალხების კულტურა



*XVII–XVIII საუკუნეებში ევროპის ქვეყნებმა გავლენა მოახდინა თურქ და კავკასიელ ხალხების კულტურაზე. ამ ხანასი გრძელდებოდა ისეთი მეცნიერებების განვითარება, როგორიცაა ისტორია და გეოგრაფია.*

**ვისი ხელოვნებით გამდიდრდა კულტურა ამ ხანაში? რა წვლილი შეიტანა აზერბაიჯანმა ამ ხანის კულტურის განვითარებაში?**

**ძირითადი სიტყვები:** *ვაკუფი, კატიბ ჩელები, ევლია ჩელები, მედრესე, სულთან აჰმედის მეჩეთი, ლევნი, სულთან აჰმედი, ისკანდერ ბეკ მუნში*

**თურქი ხალხების კულტურა.** XVII საუკუნის ოსმალეთის ეკონომიკურმა კრიზისმა ჯერ ვაკუფის სისტემა მოშალა შემდეგ კი მთლიანი განათლების სისტემა. ამან ხელი შუშალა სულიერი მეცნიერებების განვითარებას. საზოგადოებრივი მეცნეირებები კი პირიქით ვითარდებოდნენ, ტურქმეცნიერებს სექონდატ თავისი წვლილი იმ დროინდელი კულტურის განვითარებაში. კიტაბ და ელვია ჩელები იმ დროინდელი მეცნიერების გამორჩეული მოღვაწეები იყვნენ.

XVII საუკუნეში ოსმალეთის იმპერიაში ძირიტად საგანმანათლებლო დაწესებულებას მედრესე წარმოადგენდა. მედრესედში სასულიერო მეცნიერებებთან ერთად ასევე საზოგადოებრივ მეცნიერებებსაც ასწავლიდნენ. ეს მედრესეები უშვებდნენ მუდერისებს (მასწავლებლებს), კაზიებს, მუფტიებს, ღვთისმეტყველებს, ასტრონომებს, ექიმებს, მათემატიკოსებს.



*კიტაბ ჩელები*

კიტაბ ჩელები იყო ავტორი მრავალი მეცნიერული ნაშრომისა ისტორიაში, სამართალში, გეოგრაფიასა და სამართალში. ევლია ჩელების ათტომეული ნაწარმოები ისტორიაში „საიახათნამე“(„მოგზაურის წიგნი“) ითვლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმძღვანელოდ ოსმალეთისა და მსოფლიოს ისტორიისა და კულტურის შესასწავლად. ამ ნამუშევარში ავტორმა მოგვაწოდა სეუფასებელი ცნობები აზერბაიჯანზე. ევლია ჩელების „საიახათნამე“-დან შეიძლება უამრავი ინფორმაციის

LAYIHƏ



*ევლია ჩელები*

მიღება აზერბაიჯანულ ქალაქებზე, განსაკუთრებით თავრიზზე, მის ჭიშკარზე, უბნებზე, სასახლეებზე, მეჩეთებზე, მედრესეებზე, მექტებებზე, ხელოსნებზე და ა.შ.

XVII–XVIII საუკუნეები ითვლებიან ოსმალეთის არქიტექტურის დაცემის ხანად. ამასთან ერთად სახელმწიფო აღმართული იყო რამოდენიმე ულამაზესი ნაგებობა. სახელმწიფოში არსებული ტრადიციული სტილი შეიცვალა ***როკოკოთი**** და ***ბაროკოთი****. ქალაქ აგრიში ისხაკ ფაშას სასახლე ამ სტილში იქნა აშენებული.



*ისხაკ ფაშას სასახლე ქალაქ აგრიში*

სულთან აჰმედის მეჩეთი ითვლება ამ ხანის თურქული არქიტექტურის მწვერვალად. ეს მეჩეთი, რომლის ავტორად ითვლება მეჰმეტ აღა აშენდა 1609-1616 წლებში. ამ ხანაში ოსმალეთის მხატვრები ძირითადად მინიატურებს ანიჭებდნენ უპირატესობას. მხატვარ ლევნის მთავარი მახასიათებელი მის მინიატურებში იყო ის, რომ იგი ახლებურად გამოხატავდა ხალხს თავის ნახატებში.

ნები, ნედიმ, ტიტნატ ხანუმი იყვნენ XVII საუკუნის თურქული ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენლები.



*სულთან აჰმედის მეჩეთი*

არქიტექტურისგან განსხვავებით დიდ განვითარებას მიაღწია მუსიკამ. XVIII საუკუნე არის– გამოჩენილი თურქი კომპოზიტორების– ომარ ბეგ ინტრისა და მუსა ეფენდის ცხოვრების ხანა. ზუსტად ეს საუკუნე იყო თურქული მუსიკის

* ***როკოკო*** – XVI–XVIII საუკუნეებში ევროპაში პოპულარული არქიტექტურული სტილი ორნამენტებით
* ***ბაროკო*** – XVII–XVIII საუკუნეებში ევროპაში პოპულარული არქიტექტურული სტილი დახვეწილი ფორმებითა და თავისებური ორნამენტებით



LAYİHƏ

აყვავების პერიოდი. თურქული მუსიკა ევროპულის გავლენის ქვეშ კი არ მოექცა, არამედ თვითონ მოახდინა გავლენა ევროპულზე.

მუსიკის ესეთი მშფოთვარე განვითარება დაკავშირებულია– სულთან აჰმედის, მაჰმუდ I, სელიმ III დიდ ინტერესთან და მფარველობასთან.

XVIII საუკუნის დასაწყისში ოსმალეთში დაიწყეს დასავლური გამოცდილების შესწავლა. ამის შედეგად 1727 წელს სახელმწიფოში გაიხსნა პირველი ტიპოგრაფია.

*რომელ მხატვარ-მინიატურისტს იცნობ?*

**აზერბაიჯანის კულტურა.** XVII–XVIII საუკუნეებში აზერბაიჯანში გამოცოცხლდა მეცნიერების განვითარება. ისკანდერ ბეგ მუნში, მირზა მუჰამედ, იუსიფ ყარაბაღი და სხვები არიან ამ დროის გამოჩენილი მეცნიერები.

ისკანდერ ბეგ მუნშის ნაწარმოებები, რომლის ცხოვრების წლები მოიცავს პერიოდოს 1560–1634 წლამდე, არიან შეუფასებელი წყაროები ახლო აღმოსავლეთისა და თურქული ისტორიისა. მირზა მუჰამედმა დაწერა ნაწარმოებები ფილოსოფიაში, ასტრონომიაში და მათემატიკაში, იუსიფ ყარაბაღიმ– ლოღიკაში, სამართალში და ასტრონომიაში.

ამ ხანაში დაიწერა „XVIII საუკუნის ჯარის ომების აღწერა“, რომელნიც არიან აზერბაიჯანის ისტორის მნიშვნელოვანი წყაროები.

შექელი ხანების სასახლე – ერთ-ერთი უნიკალური მარგალიტია XVIII საუკუნის აზერბაიჯანისა და მსოფლიო არქიტექტურის.



*შექელი ხანების სასახლის ინტერიერი*

LAYİHƏ



*მოლა ველი ვიდადი და მოლა ფანაჰ ვაგიფი. ქალაქი ყაზახი*

XVII–XVIII საუკუნეებში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისეთი გამორჩეული პოეტები როგორებიც არიან არიფ შირვანელი, არიფ მთავრიზელი, ხასტა გასიმი, შექილი ნები, მოლა ველი ვიდადი და სხვანი.

XVIII საუკუნის ყველაზე ცნობილი პოეტი იყო მოლა თანაჰ ვაგიფი.

იმ დროს ჩვენს ქვეყანაში ყოველი მექტებეს (სკოლა), მედრესეს გააჩნდა თავისი ბიბლიოთეკა. ასევე უამრავი კერძო ბიბლიოთეკა არსებობდა. პოეტები, მეცნიერები, წიგნების მოყვარულნი ქმნიდნენ საკუთარ ბიბლიოთეკებს.

***შეიძლება თუ არა იყოს ბიბლიოთეკა სახელმწიფო კულტურული ცხოვრების მაჩვენებელი?***

ბიბლიოთეკათა შორის ყველაზე ცნობილი იყო შეიხ სეფის ბიბლიოთეკა არდებილში. ამ ბიბლიოთეკაში ინახებოდა ათასობით იშვიათი წიგნი, რომლითაც ცნობილი მეცნიერები სარგებლობდნენ.

**კავკასიელი ხალხების კულტურა.** ჩრდილო– კავკასიის ტერიტორიაზე სწავლება მიმდინარეობდა მექტებებში (მოლახანა) ასწავლიდნენ ყურანის კითხვას და მართლწერას. მედრესეში ასწავლიდნენ ისეთ საგნებს როგორიცაა ყურანის კითხვა, ლოღიკა, სამართალი, ისტორია, გეოგრაფია, ფილოსოფია, ასტრონომია. მედრესეს მასწავლებლებთა შორის იყვნენ ახლო და შუა აღმოსავლეთის გამოჩენილი მეცნიერები და რელიგიური მსახურნი. პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრებში მოქმედებდნენ მდიდარი ბიბლიოთეკები რომლებშიც ინახებოდა უამრავი ნაწარმოებები სხვადასხვა მეცნიერებებში. კაზიკუმუხი, ხუმზახი იყვნენ ასეთი ცენტრები.

კავკასიაში მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად ასევე ვითარდებოდა მედიცინაც. მკურნალები ბალახების საშუალებით კურნავდნენ უამრავ ავადმყოფობას, ისინი აკეთებდნენ ჩუტყვავილას საწინააღმდეგო აცრებს. ამ აცრის მეთოდიკაზე ევროპოლებმა გაცილებით გვიან გაიგეს.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს არ გააჩნდათ თავისი ანბანი, ისინი იყენებდნენ არაბულს, რუსულს და ქართულ ანბანს. არაბულ ანბანს

LAYİHƏ

ძირითადათ იყენებდა რეგიონის მუსულმანური მოსახლეობა. XVIII საუკუნეში შეიქმნა ავარული ანბანი.

ხალხებს, რომლებიც ცხოვრობდნენ კავკასიაში, გააჩნდათ თავისი დამახასიათებელი არქიტექტურული ძეგლები. ამ ძეგლებს შორის მნიშვნელოვან ძირითად ადგილს იკავებდნენ მეჩეთები, მისაძინებლები (ტიურბე), საკურთხევლები (პირი), ეკლესიები და სხვა.

ასევე ფართოდ იყო გავრცელებული თავდაცვითი გალავნები და სამოქალო ნაგებობები. სამხედრო მიზნებისთვის აშენებული გალავნები და სამოქალო ნაგებობები ძირითადათ მიეკუთვნებოდნენ ჩეჩნებს, ინგუშებს, ოსებს, ბალყარებს. ესენი იყვნენ ფართოდ გავრცელებული ისტორიული ძეგლები.

***როგორ შეგიძლიათ დააკავშიროთ კავკასიელი ხალხების არქიტექტურული ძეგლები, ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებთან?***

XVII–XVIII საუკუნეებში კავკასიელ ხალხებში ყველაზე ფართოდ იყო გავრცელებული ზეპირი ხალხური შემოქმედება. ხალხური შემოქმედების ფართოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდნენ სიმღერები და ლეგენდები, რომლებიც ეძღვნებოდა ისტორიულ თემებს– უცხოელ დამპყობლებთან ბრძოლას.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში გაიხსნა სემინარიები, ესენი ყვნენ საშუალო სკოლები რომელშიც სასულიერო განათლებას იძლეოდა.

1709 წელს საქართველოში დაფუძნდა ტიპოგრაფია. ამის ინიციატორი იყო ქართლის მეფე ვახტანგ VI. 1712 წელს ამ ტიპოგრაფიაში დაიბეჭდა XII საუკუნის დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.



*მაჰტუმკული ფარაგის ძეგლი. თურქმენეთი*

ცენტრალური აზიისა, პოვოლჟიესი, ურალისა და ციმბირელი თურქების კულტურა. ცენტრალურ აზიაში მედრესეებში შარიათთან ერთად ასევე ისწავლებოდა საზოგადოებრივი მეცნიერებებიც. ბუხარის მედრესე ცნობილი იყო მთელს მუსულმანურ სამყაროში. დიდ ქალაქებში და დასახლებულ პუნქტებში გახსნილი იყო სპეციალური მექტეებები გოგონებისათვის.

მაჰტუმკული ფარაგი, რომელმაც თავისი ხელოვნებით მიაღწია თურქმენული პოეზიის მწვერვალს, თავისი ნაწარმოებებით დაამტკიცა რომ, თურქმენულ ენაზეც შეიძლება შექმნილი

LAYİHƏ

იყოს გამორჩეული ლიტერატურულ ნაწარმოებებიც, მის შემდეგ თურქენულ ლიტერატურაში ბოლო მოეღო არაბულ და სპარსულ სიტყვებს.

ცენტრალური აზიის პოვოლჟიესი და ურალის თურქების განათლების სისტემა არ განსახვავდებოდა სხვა თურქული ხალხებისაგან.

ცარიზმის ეროვნულ კოლონიალური პოლიტიკა– თურქების გაქრისტიანება ხელს უშლიდა განათლების განვითარებას.

გაქრისტიანების მიზნით მუსულმანური მექტებები და მედრესეები იკეტებოდნენ, მათ ნაცვლად ქრისტიანული სასულიერო სკოლები იხსნებოდა. ამის მეშვეობით თურქებს იზიდავდნენ ამ სკოლებში. რუსეთის სოციალურ– ეკონომიკური განვითარება ითხოვდა ამ რეგიონის ეკონომიკის შესწავლას. ამიტომაც გახსნილი იყო სამედიცინო, ტექნიკური და სხვა სახის პრობტექნიკუმები.

ყაზანში გხსნილ გიმნაზიაში სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. ასევე ისწავლებოდა თათრული, არაბული, თურქული ენები. ამ დროში საგით ხალფინმა შეადგინა პირველი თათრული ანბანი. XVIII საუკუნეში რუსული გრაფიკის საფუძველზე ასევე შეიქმნა ჩუვაშური ანბანი. ამ დროს დადებითი ცვლილებები ციმბირელი თურქების კულტურულ ცხოვრებაშიც მიმდინარეობდა.

### კითხვები და დავალებები

1. რა კავშირი აქვს სახელმწიფო პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას განათლების სისტემასათან? 2. რაში მდგომარეობს თურქი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების განათლების სისტემის მსგავსება? 3. დაამტკიცეთ, რომ გაქრისტიანების პოლიტიკამ მძიმე დარტყმა მიაყენა თურქი ხალხების ისტორიასა და კულტურას. 4. სხვადასხვა წყაროების გამოყენებით, შეადგინეთ სიახლეთა ცხრილი, რომელიც XVII–XVIII საუკუნეებში თურქი და კავკასიელი ხალხების კულტურაში გამოისახებოდა. 5. შეაგროვეთ სხვადასხვა წყაროებიდან დამატებითი იმფორმაცია თურქი და კავკასიელი ხალხების კულტურაზე. მოამზადეთ პრეზენტაცია.

## ქრონოლოგია

| 1609-1616 წლები. | 1709 წელი | 1727 წელი |
|---|---|---|
| | | |

LAYİHƏ

## 13. „ნისლიანი ალბიონი“– ნისლი იფანტება



*XI საუკუნეში ნორმანებმა დატოვეს საფრანგეთი და გადმოჯდნენ ბრიტანეთის კუნძულებზე. აქ მათ პირველი ცენტრალიზებული ინგლისური სახელმწიფო დააფუძნეს. XIII საუკუნეში ინგლისში შეიქმნა პირველი პარლამენტი. XVI საუკუნეში გაჩნდა მანუფაქტურა. ამ ხანაში ინგლისმა „დაუმარცხებელი არმადის“ განადგურებით გადაიქცა ძლევამოსილ საზღვაო სახელმწიფოდ. XVII საუკუნის დასაწყისში დედოფალ ელისაბედ I ტიუდორის სიკვდილით დინასტიას ინგლისში ტიუდორთა დინასტიის მმართველობას ბოლო მოეღო.*

**კიდევ რა მსხვილი სიახლე მოხდა ინგლისის ახალი ხანის ცხოვრებაში?**

### 13.1. პარლამენტი თუ მეფე?

**ძირითადი სიტყვები:** *ტიუდორები, პარლამენტი, ახალი თავადები, შემოღობვა*

XVI საუკუნის ინგლისში დაიწყო კაპიტალიტური ურთიერთობების განვითარება. ამისდა მიუხედავად, ინგლისი აგრძელებდა ფეოდალურ სახელმწიფოდ ყოფნას. მოსახლეობის უმრავლესობა სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული. იმის გამო რომ თავადები ბოლომდე არ იყვნენ მიწის მესაკუთრენი მიწის სარგებლობისათვის, მემკვიდრეობის გადასაცემად, ისინი ვალდებულნი იყვნენ მეფისადმი გარკვეული თანხის გადახდაზე. მეფეს თავის ხელში კონცენტრირებული ქონდა ვაჭრობის უფლება გარკვეულ პროდუქტებზე. ამის გამო იგი ბევრ სავაჭრო კომპანიის დამფუძნებლად იქცა. ვაჭრები ცდილობდნენ დამატებითი გადასახადების გადმოტანას მოსახლეობაზე. მეფის მიერ მძიმე გადასახადების გამო ფეოდალებიც და ვაჭრებიც ზიანდებოდნენ და ვერ ახერხებდნენ წარმოების განვითარებას, ხელს უშლიდნენ კონკურენციას.



*საქსოვი მანუფაქტურა ინგლისში*

LAYIHƏ

ამ ხანის ინგლისში ძირითადად მეტალის დამუშავებითა და ქვანახშირის მოპოვებითიყვნენ დაკავებულნი. მანუფაქტურატა რიცხვი ყოველდღე იზრდებოდა. ახალ ***თავადების****, ***ბურჟუაზიისა**** და მეფეს შორის მიმდინარეობდა მწვავე ბრძოლა.

***რა არის მწვავე ბრძოლის მიზეზი თავადების, ბურჟუაზიისა და მეფეს შორის?***

XVI საუკუნიდან დაწყებული ინგლისში სათავესი იდგა ანგლიკანური ეკლესია. ეს ეკლესია განსხვავდებოდა კათოლიკურისაგან იმით რომ, ამას რომის პაპი კი არა ინგლისის მეფე წინამძღოლობდა. ანგლიკანური ეკლესია ამტკიცებდა იმას რომ, მეფე არის ყველაზე დიდი მმართველი, რომელიც ღმერთის მიერ არის დანიშნული. ამ ეკლესიის მიერ შეგროვებული გადასახადები მიდიოდა მეფის ხაზინაში. ახალ თავადებსა და ბურჟუაზიასი ფართოდ გავრცელდა ***პურიტანული**** მიმართულება. მაგ დროს ინგლისელ პროტესტანდებს ასე ეძახდნენ. პურიტანელობის იდეა მიმართული იყო აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ და ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ისინი გამოდიოდნენ პომპეზური და ძვირადღირებული ცერემონიების წინააღმდეგ და რელიგიური მუშაკების მიერ სიმდიდრის დაგროვებაზე. პურიტანელთა აზრით ეკლესია უნდა განთავისუფლებულიყო ფუფუნებისაგან. პურიტანელები, რომელნიც გამოდიოდნენ ინგლისის მეფისა და ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდე დასჯილნი იყვნენ.

**რევოლუციის დასაწყისი.** XVII საუკუნის დასაწყისში ინგლისში ხელისუფლებაში მოვიდა სტიუარტთა დინასტია. როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა იაკოვ I სტიუარტი ხალხი ელოდებოდა მისგან რეფორმების ჩატარებას, მაგრამ მან არ გაამართლა ხალხის იმედები და არ ჩაატარა სასურველი რეფორმები.

***თქვენის აზრით, როგორი რეფორმების ჩატარებას ელოდებოდა ხალხი მეფისაგან?***

პირიქით, მას სურდა „პურიტანული სექტის“ და პარლამენტის უფლებების შეზღუდვა. ჩარლზ I სტიუარტი, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა იაკოვ I-ის შემდეგ, ასევე გააგრძელა მამამისის პოლიტიკა.

***რატომ სურდათ სტიუარტთა დინასტიას პურიტანელებისა და პარლამენტის უფლებების შეზღუდვა?***

იმდროიდელ ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო პარლამენტის უფლებამოსილების გაზრდა საერთაშორისო პოლიტიკის განსახორციელებლად. მეფის მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკას ომები მოყვებოდა.

---

***ახალი თავადები** – *ინგლისელი თავადები, რომლებმაც თავისი მეურნეობა კაპიტალისტურად ანუ დაქირავებულ მუშებზე ააწყეს*

* **ბურჟუაზია** – *(ფრანგ.) გაბატონებული კლასი, რომელიც არის საწარმოო იარაღების და საშუალებების მფლობელი კაპიტალისტურ საზოგადოებაში და ცხოვრობს დაქირავებული მუშის ექსპლუატაციის წყალობით.*

***პურიტანული** – *ლათინურიდან „PURUS“ ანუ „სუფთა“.*



LAYIHƏ



*XVII საუკუნის ინგლისური რევოლუცია*

ომების დაფინანსებას სჭირდებოდა კოლოსალური თანხები. ჩარლზ I სტიუარტ-მა მიიღო გადაწყვეტილება გადასახადების გაზრდაზე. მაგრამ გადასახადების გაზრდა მხოლოდ მეფეზე არ იყო დამოკიდებული.

ამისათვის საჭირო იყო პარლამენტის თანხმობა. მაგრამ რადგანაც დაპირისპირება მეფესა და პარლამენტს შორის გამძაფრებული იყო, 1629 წელს მეფემ დაითხოვა პარლამენტი.

***როგორ ფიქრობთ, რატომ დაითხოვა მეფემ პარლამენტი?***

სახელმწიფო ხაზინა დაცარიელებული იყო. ახალი გადასახადების დასანიშნად 1640 წელს მეფე იძულებული გახდა მოეწვია პარლამენტი. ეს პარლამენტი ფუნქციონირებდა 13 წლის განმავლობაში და მიიღო ხანგრძლივი პარლამენტის სახელი. ურთიერთობა მეფესა და პარლამენტს შორის დაიძაბა. მომხრეებისგან შეიქმნა ორი პოლიტიკური ბანაკი. ხანგრძლივი პარლამენტის მოწვევა ითვლება ინგლისის რევოლუციის დასაწყისად. მთავარი ამოცანა, რომელიც იდგა რევოლუციონერების წინაშე, იყო აბსოლუტიზმისა და ფეოდალური ურთიერთობების ლიკვიდაცია.

ხანგრძლივმა პარლამენტმა ჩაატარა რიგი რეფორმები, რომელმაც დაამსხვრია ფეოდალური ურთიერთობები: მოისპო ფეოდალური მოსაკრებელი, მეფეს და ეკლესიას ცამოერთვა მოქალაქეთა განსჯის უფლება. პარლამენტმა გადასცა სასამართლოს მინისტრები, მიიღო კანონები, რომლითაც მეფეს ეკრძალებოდა თემთა პალატის დათხოვნა.

სამოქალაქო ომი. მეფე არ დაეთანხმა პარლამენტის რეფორმებს. მან გასცა მითითება თემთა პალატის ხუთი დეპუტატის დაპატიმრებაზე. ხალხი დადგა პარლამენტის დასაცავად. მეფემ ვერ მოახერხა დეპუტატების დაპატიმრება. ამის გამო 1642 წელს ჩარლზ I სტიუარტ-მა ომი გამოუცხადა პარლამენტს. ქვეყანაში დაიწყო სამოქალაქო ომი.



LAYİHƏ

***რას ნიშნავს სამოქალაქო ომი და სად მოხდა პირველად? სწორად ითვლება თუ არა ხანგრძლივი პარლამენტის მოწვევა რევოლუციის დასაწყისად? თუ ეთანხმებით, ახსენით რატომ?***

მეფის მხარდამჭერებს ***კავალერებს**** უწოდებდნენ, ხოლო პარლამენტის მომხრეებს– ***მრგვალთავიანებს****, რადგანაც ისინი იჭრიდნენ თმებს მომრგვალებული ფორმით.

სამოქალაქო ომის დასაწყისში მეფის ჯარმა დაამარცხა პარლამენტის ჯარი. მაგრამ პარლამენტმა დადო კავშირი შოტლანდიასთან. შოტლანდიური და პარლამენტის ჯარი გაერთიანდა და დაამარცხეს მეფის ჯარი. 1645 წელს თემთა პალატამ დაავალა ***ახალი ტიპის ჯარის**** ცამოყალიბება ოლივერ კრომველს. პარლამენტის წევრი კრომველი ახალი თავადების წარმომადგენელი იყო.

1645 წელს მეიზბის დასახლებასთან პარლამენტის ჯარმა გაანადგურა მეფის მთავარი ძალები. ჩარლზ I სტიუარტი შოტლანდიაში გაიქცა. მაგრამ შოტლანდიელებმა დიდი თანხის სანაცვლოდ დაუბრუნეს ინგლისის პარლამენტს. 1646 წლის ივნისში სამოქალაქო ომი დასრულდა პარლამენტის გამარჯვებით.

## კითხვები და დავალებები

1. გაიხსენეთ რა სახის სოციალური და ეხონომიკური შედეგები მოყვა შემოღობვებს ინგლისში? 2. ამჩნევთ თუ არა რაიმე კანონზომიერებას პურიტანული სექტის სწავლების ხალხში ახალ თავადებში და ბურჟუაზიაში? 3. გაანალიზეთ მანუფაქტურის შექმნის მიზეზები ინგლისში. 4. რატომ ითვლებოდა ფეოდალურ ურთიერთობები მთავარ დაბრკოლებად კაპიტალიზმის განვითარებაში? 5. როდის შეიქმნა პირველი პარლამენტი? 6. დაახასიათედ ძალები რომლებიც იცავდნენ მეფეს და პარლამენტს. 7. დაწერეთ ესსე ძირითადი სიტყვების გამოყენებით– პურიტანული ეკლესია, კავალერები, მრგვალთავიანები, ბურჟუაზიული რევოლუცია.

## ქრონოლოგია

| 1640 წელი | 1642 წელი | 1645 წელი | 1646 წელი |
|---|---|---|---|
| | | | |

* **კავალერი** – *(ინგ.) ნიშნავს რაინდს*
***მრგვალთავიანი** – *ესე უწოდებდნენ, რადგანაც ისინი იჭრიდნენ თმებს მომრგვალებული ფორმით*
***ახალი ტიპის ჯარი** – *თანამდებობეს იზლეოდნენ არა წარმოსობით, არამედ პირადი დამსახურებებისათვის(მაგალითად პრადი ადრე იყო მეეტლე)*

LAYIHƏ

## 13.2. როგორ შეიქმნა დიდი ბრიტანეთის სამეფო?

**ძირითადი სიტყვები:** *ახალი ტიპის ჯარი, კავალერი, მრგვალთავიანები, ოლივერ კრომველი*

**ხანგრძლივი პარლამენტის რეფორმები.** პარლამენტში მსხვილი ფეოდალები შეადგენდნენ უმრავლესობას. ისინი იყვნენ მეფის ხელისუფლების სენარჩუნების მომხრენი. სამოქალაქო ომის შემდეგ ძალაუფლება გადავიდა ახალი თავადებისა და ბურჟუაზიის ხელში. მიწის გამოყენებისათვის უკვე აღარ უხდიდნენ გადასახადებს მეფეს. ეკლესია დაექვემდებარა პარლამენტს. გლეხების დამოკიდებულება ფეოდალებზე არ იქნა გაუქმებული. გლეხები იხდიდნენ მეათედს ფეოდალის სასარგებლოდ და ასევე ასრულებდნენ გარკვეულ სამუშაოებს მათთვის. ამიტომაც მოსახლეობის ყველა ფენა არ იყო კმაყოფილი პარლამენტით. პარლამენტის გადაწყვეტილებამ რევოლუციური ჯარის დასლაზე ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია.

***რა შედიოდა ფეოდალურ დამოკიდებულებაში?***

რევოლუციის დროს უბრალო ხალხში და ჯარისკაცებში ფართოდ იყო გავრცელებული პუბლიცისტ ჯონ ლილბერნის აზრები. მის მომხრეებს ლეველერებს* უწოდებდნენ. ლეველერები გამოდიოდნენ მეფის, არისტოკრატიის, ლორდთა პალატის წინააღმდეგ. ლეველერები გამოთქვამდნენ ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა რესპუბლიკის შექმნა, არჩევნებში ცვლილებების შეტანას, აღმსარებლობის თავისუფლებას და თანასწორობას. ლეველერების აჯანყება ჩახშული იყო. ხელმძღვანელი სიკვდილით დასაჯეს. ამის შემდეგ ლეველერებმა ბრძოლა განაგრძეს პუბლიკაციების საშუალებით. მოძრაობა დასუსტდა და დაკარგა თავისი ძალა.



*ჯონ ლილბერნი*




*დასჯილი ლეველერების საპატივსაცემოდ მემორიალური დაფა*

* **ლეველერი** – *ინგლისურიდან, ნიშნავს „თანასწორობის მომხრეს“*

LAYİHƏ



*პოლკოვნიკი პრაიდი არ უშვებს პარლამენტში დეპუტატებს*



A Manifestation
FROM
Lieutenant Col. John Lilburn, Mr. William Walwyn, Mr. Thomas Prince, and Mr. Richard Overton,
(Now Prisoners in the Tower of London)
And others, commonly (though unjustly)
STYLED
LEVELLERS.
Intended for their
FVLL VINDICATION
FROM
The many aspersions cast upon them, to render them odious to the World, and unserviceable to the Common-wealth.
And to satisfie and ascertain all Men whereunto all their Motions and Endeavours tend, and what is the ultimate Scope of their Engagement in the
PVBLICK AFFAIRES.



*დიგერები*

1648 წელს პოლკოვნიკმა პრაიდმა არ შეუსვა პარლამენტში მეფის მომხრე დეპუტატები. ინგლისის ისტორიასი ეს შევიდა როგორც „პრაიდის წმენდა“. ამის სედეგად მეფის მოწინააღმდეგეებმა მიიღეს უმრავლესობა.

1649 წელს გლეხებში გავრცელდა „***დიგერების****“ მოძრაობა. დიგერები თავიანთ თავს „ნამდვილ ლეველერებს“ უწოდებდნენ. მათი იდეოლოგი ჯერალდ უინსტენლი იყო. დიგერები კერძო საკუთრების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ისინი ეწეოდნენ მშვიდობიან ბრძოლას მიწაზე საკუთრების უფლების წინააღმდეგ. ისინი თხრიდნენ თემის მიწებს და მოუწოდებდნენ ხალხს შემოერთებაზე. ამით დიგერები ცდილობდნენ უმრავლესობის სეგროვებას და საკუთრების უფლების გაუქმსბას. დიგერებმა თავიანთ მიზანს ვერ მიაღწიეს.

ჩარლზ I სტიუარტი სიკვდილით იყო დასჯილი. 1649 წელს პარლამენტმა გააუქმა მეფის ტიტული და გააუქმა ლორდთა პალატა. მაისში ინგლისი რესპუბლიკად გამოცხადდა. ხელისუფლება გადაეცა პარლამენტს ოლივერ კრომველის მეთაურობით.

აღმოსავლეთ ირლანდია უკვე დიდი ხანი იყო ინგლისის მიერ ოკუპირებული. ტახტის მემკვიდრემ ჩარლზ II სტიუარტი თავისი მომხრეებით ირლანდიაში შეიკრიბნენ. პარლამენტმა ოლივერ კრომველი დანიშნა ირლანდიის მეფისნაცვლად. აქ შემდგარი აჯანყება ჩახშობილი იქნა ოლივერ კრომველის მიერ. მოსახლეობა გადაასახლეს ამერიკაში. ირლანდიის პარლამენტი დაშლილად გამოცხადდა. ირლანდია შემოერთებული იქნა ინგლისისადმი. ამის შემდეგ ჩარლზ II სტიუარტი შოტლანდიასი დაიმალა.

მან აქაც დაიწყო თავისი მომხრეების შეგროვება. შოტლანდიის პარლამენტმა – „კონვენატმა“ იგი გამოაცხადა თავის მეფედ. ამის საპასუხოდ

* **დიგერები** – *ინგლისურიდან ნიშნავს მიწის მთხრელებს*

LAYİHƏ

ოლივერ კრომველი შეიჭრა შოტლანდიაში და დაამარცხა შოტლანდიის ჯარი. შოტლანდია ასევე სმოერთებული იქნა ინგლისის რესპუბლიკას.

ამ დაპყრობების სმდგომ პარლამენტმა დაამტკიცა ჯარის შემცირების კანონი. ამან გამოიწვია დაპირისპირება ჯარსა და პარლამენტს შორის. 1653 წელს ოლივერ კრომველმა დაშალა „ხანგრძლივი პარლამენტი“ და ამის შემდეგ „სახელმწიფო საბჭო“. მთლიანი ხელისუფლების გაერთიანეის შემდეგ მან საკუთარი თავი ლორდ– ***პროტექტორად**** გამოაცხადა. ლორდ– პროტექტორმა დაიწყო სახელმწიფოს მმართვა ერთპიროვნულად. რევოლუციის ისტორიაში კრომველმა ორმაგი როლი ითამაშა– ჯერ სათავეში ჩაუდგა რევოლუციას, ხოლო სემდეგ კი თვითონ გაანადგურა.



*ოლივერ კრომველი*

***რატომ განიხილავენ ოლივერ კრომველის ამ გადაწყვეტილებას, როგორც კონტრრევოლუციურს?***

1658 წელს ოლივერ კრომველი გარდაიცვალა. მისი ტიტული შვილს– რიჩარდს გადაეცა. ერთი წლის შემდეგ მან უარი განაცხადა ძალაუფლებაზე. სახელმწიფოსი არეულობით ისარგებლეს შოტლანდიელებმა და 1660 წელს დაიპყრეს ლონდონი. ინგლისის პარლამენტი დაითხოვეს. პარლამენტის შემადგენლობა შეიცვალა. მოკლული ჩარლზ I სტიუარტის შვილი მოწვეულ იქნა სახელმწიფოს სამართავად. ეს ნიშნავდა სტიუარტთა დინასტიის აღდგენას. ***რესტავრაცია****– ნიშნავდა შეზღუდული მონარქიის აღდგენას. თავის დოზე ოლივერ კრომველის მიერც დათხოვნილი პარლამენტი კვლავ ამუშავდა. ჯარის ხელისუფლება დამთავრდა. პარლამენტმა გააუქმა მეფის საწინააღმდეგოდ გამოტანილი ყველა გადაწყვეტილება და გამოაცხადა თვითდაშლის შესახებ. 25 აპრილს არჩეულმა პარლამენტმა ჩაატარა მოლაპარაკებები მეფესთან და გადაწყვიტა შემდეგი:

– მეფე არ დასჯის რევოლუციასი მონაწილე პირებს;

– არ წაართმევს მიწებს ახალ მიწადმფლობელებს;

– არ მიიღება გადასახადები პარლამენტის თანხმობის გარეშე.

ამის გარდა მეფისგან მიღებული იქნა კიდევ რამოდენიმე პირობა: აღმსარებლობის თავისუფლება, საყოველთაო ამნისტია. შემდგომ პარლამენტმა გამოაცხადა ჩარლზ II სტიუარტი სამი სამეფოს მეფედ–

---

* **ლორდ** – *პროტექტორი– ლათინურიდან ნიშნავს „დამცველი, მფარველი“*
* **რესტავრაცია** – *ლათინურიდან ნიშნავს „აღდგენას“*

LAYIHƏ

ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის მეფედ. მეფე ჩამოვიდა დედაქალაქში– ქალაქ ლონდონში. მეფემ დაარღვია დანაპირები. ხელისუფლებაში მოსულმა ჩარლზ II დაიწყო კკური ეკლესიის გავლენის აღდგენა. წარმოიშვა უნდობლობა სტიუარტებისადმი. 1688 წელს სასახლის შეთქმულების გზით ხელისუფლებაში მოვიდა მეფის სიძე უილიამ III– ორანელი.უილიამი მიეკუთვნებოდა ჰოლანდიაში ცნობილ ორანელთა გვარს.

პარლამენტმა გვირგვინი პრინცესა მარიას გადასცა. მათ უნდა ერთად ემართად. ამის გარდა უილიამმა ხელი მოაწერა „უფლებათა ***ბილს****“ 1689 წელს.

**სახელმწიფო წყობა.** ამ კანონით სამუდამოდ გაუქმდა აბსოლიუტიზმის აღდგენის მცდელობები. მეფეს უკვე არარ შეეძლო პარლამენტის მიერ მიღებული კანონების გაუქმება. მეფეს აეკრძალა გადასახადების დაკისრება, ასევე მათი ოდენობისა და დროის განსაზღვრა. პარლამენტის ტანხმობის გარეშე მეფეს ეკრძალებოდა ჯარის შენახვა ან რაიმე საჯარისო ფორმირებისა. მაგრამ კანონები შედიოდნენ კანონიერ ძალასი მხოლოდ მეფის ხ მიერ ხელის მოწერის შემდგომ. „ბილის“ მიხედვით მსაჯულთა ინსტიტუტის სისტემა გაძლიერდა, სამთავრობო ცვლილებები უნდა მომხდარიყო მხოლოდ პარლამენტის თანხმობით.

რელიგიური აქტის მიხედვით, სახელმწიფოში მოქმედი რელიგიური მიმდინარეობები და სექტების მუშაობა რეგულირდებოდა ამ აქტის საფუძველზე.

ასე რომ, ინგლისში, მსოფლიოში პირველად, განისაზღვრა შეზღუდული მონარქიის ძირითადი პრინციპები. მეფის ხელისუფლება გადაეცა



*უილიამ III*



*დედოფალი მარია*

* **ბილი** – *ინგლისურიდა ნიშნავს „კანონს“, „კანონპროექტს“*

LAYIHƏ

ორ პალატიან პარლამენტს. პარლამენტის მიერ მიღებული კანონები გახდა ყველასათვის სავალდებულო. მთავრობა ფორმირდებოდა გამარჯვებული პარტიიდან (***კონსერვატორებისაგან**** და ***ლიბერალებისაგან****). პარლამენტი აყალიბებდა მთავრობას.

სახელმწიფოში გამოჩნდა სამართლებრივი ***სახელმწიფოს**** ჩანასახები, სამოქალაქო საზოგადოების.

***რა ცვლილებები მოხდა სახელმწიფოს წყობილებაში?***

XVIII საუკუნის დასაწყისში ინგლისის და შოტლანდიის პარლამენტები გაერთიანდნენ და შექმნეს დიდი ბრიტანეთის სამეფო. ეს მოხდა დედოფალ ანას მმართველობის დროს 1707 წლის 1 მისს.

## კითხვები და დავალებები

1. ახსენით ლეველერების დამარცხების მიზეზები. 2. გაანალიზე ოლივერ კრომველის მიერ თავისი თავის ლორდ–პროტექტორად გამოცხადების ფაქტი. 3. დასწერეთ ესსე XVII საუკუნის ინგლისის სახელმწიფო წყობაზე. 4. აღნიშნეთ 1688 წლის სახელმწიფო გადატრიალების განსხვავებული ფუნქცია. 5. დასწერეთ მოთხრობა ინგლისისა და XVII საუკუნის ინგილისის შედარების ანალიზზე. 6. მოამზადეთ პრეზენტაცია ზირითადი სიტყვების: დიგერი, ლეველერი, პროტექტორი, სამოქალაქო საზოგადოება. 7. გადმოხაზეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ ის ლეველერებისა და დიგერების შეხედულებების მიხედვით.

| ***ლეველლერები*** | ***დიგერები*** |
| --- | --- |
| | |

## ქრონოლოგია

| 1648 წელი | 1649 წელი | 1653 წელი | 1660 წელი | 1688 წელი |
| --- | --- | --- | --- | --- |
| | | | | |



* **კონსერვატორი** – *ძველი წესების მომხრე*
* **ლიბერალი** – *თავისუფლების მოყვარული*
* **სამართლებრივი სახელმწიფო** – *სახელმწიფო, რომელშიც გარანტირებულია მოქალაქეების თავისუფლებები და უფლებები*

LAYİHƏ

## 13.3. მსოფლიოში პირველი ინდუსტრიული ქვეყანა

**ძირითადი სიტყვები:** *ფაქტორია, მანუფაქტურა, ჯონ კეი, საქსოვი დაზგა „ჯენი“, ჯეიმს უატი, ლენდლორდები*

სახელმწიფოს პოლიტიკური ცვლილებები იქცა ბიძგად აზიასი, ინდოეთსა და ამერიკაში კოლონიალური პოლიტიკისათვის. სახელმწიფოში სტაბილურობის დადგომით, ფეოდალური ურთიერთობების მოშლით შეიქმნა საფუძველი ეკონომიკური გაძლიერებისათვის.

რევოლუციის შემდგომ დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ფაქტორად იქცა: ახალი ტერიტორიების შემოერთება და სხვა სახელმწიფოებისათვის ხელის შეშლა გაძლიერებაში. ამ მიზნით XVII საუკუნეში შემოერთდა იამაიკა, პორტუგალია მოექცა დამოკიდებულ მდგომარეობაში.

XVIII საუკუნეში ინგლისი ომობდა საფრანგეთთან კოლონიებისათვის, ამ ომებს „მეოორე საუკუნის ომებს“ უწოდებდნენ. დიდმა ბრიტანეთმა, რომელსაც გააჩნდა უძლიერესი ფლოტი წაართვა საფრანგეთს ბენგალია და კანადა. ინგლისმა დაიპყრო კარიბის ზღვის კუნძულები, კოლონიები ჩრდილო ამერიკაში, ***ფაქტორიები**** აფრიკაში, ითვლებოდა „ზღვების მფლობელად“.

**აგრარული გადატრიალება.** ინგლისის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ შემოიტანა სიახლეები ეკონომიკურ მდგომარეობაში. XVIII საუკუნის ბოლოს გლეხები, როგორც სოციალური ფენა დაიკარგნენ, ვინაიდან დაკარგეს მიწები.

ამ სიახლეში დიდი წვლილი შეიტანა უმიწებო გლეხების მიგრაციამ კოლონიალურ მიწებზე, განსაკუთრებით ამერიკაში. უმიწო გლეხების გამო გაიზარდა მუშა ხელის რაოდენობა. სოფლებში მიმდინარეობდა ახალი სოციალური ფენის შექმნა. მიწების ნაწილი გადავიდა ახალი ბურჟუაზიის ხელში. ეს ფენა, რომელსაც ლენდლორდებს უწოდებდნენ იჯარით გადასცემდა მიწის ნაკვეთებს არენდატორებს. იჯარით აღებული მიწები ძირითადად დაქირავებული მუშა ხელით მუშავდებოდა. იმავდროულად სოფლებში იზრდებოდა ფერმერული წარმოებათა რიცხვი.

სოფლებში, რომელნიც ქალაქებთან ახლოს მდებარეობდნენ, იქმნებოდნენ ფერმერული საწარმოები, რათა უზრუნველჰყოთ ქალაქის მოსახლეობა საჭმელი პროდუქტებით. მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, გაიზარდა პურის წარმოება. ქვეყანაში ხორბლის წარმოება სრულად აკმაყოფილებდა მესაქონლეობის მოთხოვნებს

* **ფაქტორია** – *სავაჭრო კანტორა და ევროპელი ვაჭრების დასახლებაკოლონიების ტერიტორიებზე*



LAYİHƏ

პირუტყვის გამოსაკვებად. ახალი ხორბლისა და პირუტყვის ჯიშების გამოყვანამ უზრუნველჰყო პროდუქციის მატება. ქვეყნის მოთხოვნა სრულად იყო დაკმაყოფილებული.

ინგლისურმა დასახლებებმა დაამყარეს კავშირები ეროვნულ ბაზართან. მძიმე მრეწველობა ასევე სრულად აკმაყოფილებდა მოთხოვნებს საჭირო ტექნიკაზე და ინსტრუმენტებზე.

ბურჟუაზიის ხელში მიწის ნაკვეთების მოხვედრა, ფერმერული საწარმოების გახსნა, მიწების დამუშავება ძირითადად დაქირავებული სამუშაო ხელით– ყველაფერს ამას აგრარული გადატრიალება ეწოდება. XVIII საუკუნის აგრარულმა გადატრიალებამ ინგლისში ბიძგი მისცა წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას.

**საწარმოო გადატრიალებისაკენ სვლა.** XVIII საუკუნის შუაში ბრიტანეტში სეიქმნა საწარმოო გადატრიალების წინაპირობები. სახელმწიფოში მიმდინარე ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ხელი შეუწყო სარმოო გადატრიალებას. გაიზარდა თავისუფალი მუშა ხელის რაოდენობა, გაიზარდა კაპიტალი. შიდა ბაზარში გაიზარდა მოთხოვნა ნაწარმზე. მოხდა მანუფაქტურიდან გადასვლა სამანქანო წარმოებაზე.

*რა არის მანუფაქტურა?*

ინგლისის ისტორიული ტრადიცილი წარმოება იყო ქსოვა და გემშენებლობა. სამანქანო წარმოებაზე გადასვლა დაიწყო საქსოვი დანადგარების დამკვიდრებით.

ეს იყო დაკავშირებული იმასთან რომ, სახელმწიფო სავსე იყო ინდოეთიდან ჩამოტანილი იაფი ქსოვილებით. საქმე იმამდე მივიდა რომ, სახელმწიფოში აიკრძალა ინდური ნაწარმის შემოტანა. ინინერ– გამომგონებლები იძულებულნი გახდნენ გამოეგონებინათ საქარმოო პროდუქციის რაიმე იაფი პროდუქციის შექმნის საშუალება.

პირველად მექანიკოს ჯონ ქეიმ გამოიგონა ***მაღალი სიჩქარის საქსოვი დანადგარი****. ეს ვიძლეოდა საშუალებას ქსოვილის უფრო ფართო და სწრაფი წარმოების საშუალებას.

ჯეიმს ჰარგრივსმა გამოიგონა საქსოვი მექანიზმი, რომელსაც თავისი ქალიშვილის სახელი უწოდა „ჯენი“. ამ გამოგონების საშუალებით 20-ჯერ გაიზარდა წარმოების მოცულობა.



*«ჯენის» ხელსაწყო*

* **მაღალი სიჩქარის საქსოვი დანადგარი** – *ანადგარი, რომელიც ადამიანზე რამდენჯერმე სწრაფად ასრულებს მოქმედებას*

LAYİHƏ



*ორთქლის ძრავი*

ედმუნდ კართრაითმა გამოგონა საქსოვი მანქანა, რომელმაც ორჯერ გაზარდა „ჯენის“ მიერ გამომუშავებული ნაწარმი.

ამ გამოგონებებმა დაუდეს საფუძველი საწარმოო გადატრიალებას. იძებნებოდა სხვადასხვა საშუალებები ადამიანის შრომის ჩანაცვლებაზე და შრომის სედეგების გაზრდაზე. 1771 წელს რიჩარდ არკრაითმა, საქსოვი „ჯენი“ წყლის ბორბლის მეშვეობით აამუშავა. თავისი გამოგონების მიხედვით მან ააშენა საწარმო. ეს იყო პირველი საქსოვი ფაბრიკა. იმის გამო რომ, დანადგარები მუშაობდა წყლის მეშვეობით ეს ფაბრიკები წყლის პირას მუშაობდნენ.

ორთლის ძრავის გამოგონების შემდეგ, ფაბრიკებმა შეცვალეს მანუფაქტურები.

1784 წელს მექანიკოსმა ჯეიმს უატმა შექმნა ორთქლის მანქანა. მატი გამოყენება შესაძლებელი იყო ყველგან და ყოველთვის.

მანქანადწარმოებაზე გადასვლამ გაზარდა მეტალის მოთხოვნა. გამომგონებელმა კორტმა თუჯში დაუმატა კოქსი და მიიღო რკინის მოპოვების საშუალება. ამისგამოგაიზარდა ქვანახშირის მოთხოვნაც, რომელიც უკვე არა მხოლოდ გასათბობი საშუალება იყო, არამედ საწარმოოც გახდა. ქვანახშირის წარმოება გახდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმოება.

საწარმოო გადატრიალების ძირითადი შეედეგები. მანუფაქტურიდან საწარმოო მრეწველობაზე გადასვლა იყო საწარმოო გადატრიალების ძირითადი შედეგი. ამგადატრიალებას ახასიათებდა ორი ძირითადი რამ– ტექნიკური და სოციალური. ტექნიკური მხარე– გამოიხატებოდა ხელით მუშაობის სამანქანოთი შეცვლაში. საზოგადოებაში ბურჟუაზიული და მუშათა ფენების წარმოშობა– კი საწარმოო გადატრიალების სოციალურ მხარეთ ითვლება.

XVIII საუკუნის 70– ან წლებში ფაბრიკა– ქარხნები დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის ძირითად როლს წარმოადგენდა. მანუფაქტურიდან ფაბრიკა– ქარხნებზე გადასვლამ წარმოშვა მუშა ხელის შემცირება წარმოებაში. იმის და მიუხედავად რომ, მუშები წარმოადგენდნენ საზოგადოების ძირითად მასას, მათი სოციალური კეთილდღეობა არ იცვლებოდა.

მანქანადწარმოების ზრდამ შეამცირა მუშათა მოთხოვნილება. ამის გამო მუშები მასობრივად უმუშევრები დარჩნენ. მცირე ხელფასის გამო მუშები იძულებულნი იყვნენ თავიანთი მცირეწლოვანი ბავშვების სამუშაოზე მოეწყოთ. ყოველდღიური სამუშაო დღე სეადგენდა 12–15

LAYİHƏ

საათს. მუშები ხშირად იფიცებოდნენ, სამუშაო საათების შემცირების მიზნით და ხელფასის მომატების მოთხოვნით.

საუკუნის ბოლოს პარლამენტმა მიიღო კანონი გაფიცვების აკრძალვაზე და მუშათა პროფკავშირების აკრძალვასთან დაკავშირებით.

დიდ ბრიტანეთში, ხალხი, რომელნიც დაკავებულნი იყვნენ გონებრივი მუშაობით,– მეცნიერები, მასწავლებლები, ექიმები, ხელოვნების მუშაკები, ადვოკატები– ინტელიგენციის ფენას წარმოადგენდნენ.

საწარმოო გადატრიალების შედეგად ვაჭრობაში რევოლუციური ნახტომი მოხდა. XVIII საუკუნეში სახელმწიფოს შიდა ბაზარზე ვაჭრობა გაიზარდა 50 %, ხოლო საგარეო ვაჭრობა გაიზარდა 5 ჯერ. ინგლისი იყო სახელმწიფო, რომელსაც გააჩნდა ყველაზე დიდი სავაჭრო ფლოტი. საერთაშორისო ვაჭრობას საზღვაო ფლოტი აწარმოებდა.

XVIII საუკუნის ბოლოს მანუფაქტურიდან ფაბრიკა -ქარხნებზე გადასვლით ინგლისი გახდა მსოფლიოში პირველი ინდუსტრიული სახელმწიფო.

## კითხვები და დავალებები

1. რა არის აგრარული გადატრიალება? 2. მოაგროვეთ XVIII საუკუნის გამოგონებებზე ინფორმაცია და მოამზადეთ 5 წუტიანი სლაიდ– პრეზენტაცია. 3. როგორი იყო სოციალური სედეგები მანუფაქტურიდან ფაბრიკა-ქარხნებზე გადასვლისას? 4.გვჩვენეტ რუკაზე ინგლისის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები. 5. გადაწერეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ.

| | ტიუდორთა დინასტია | სტიუარტთა დინასტია | დიდი ბრიტანეთის სამეფო |
|---|---|---|---|
| მმართველობის წლები | | | |
| სახელმწიფოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენები | | | |

## ქრონოლოგია

| XVIII საუკუნის ბოლო | 1771 წელი | 1784 წელი |
|---|---|---|
| | | |

LAYİHƏ

# 14. „ახალი ანგლია“ ჩრდილო ამერიკაში



*გასული ასწლეულის განმავლობაში, ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, აქ ჩამოვიდა უამრავი ხალხი განძის ძებნაში. 1619 წელს ჰოლანდიურმა გემმა ამერიკასი პირველად ჩამოიყვანა შავკანანი აფრიკელები. ჩამოსულები ყიდულობდნენ შავკანიანებს და აქცევდნენ მონებად. მიწების მითვისების წყურვილმა მიიყვანა ადგილობრივ ინდიელებთან ომამდე. პირველად ჩამოსულებს შორის ყველაზე მეტნი ინგლისელები იყვნენ. სემდგომ კი ლტოლვილთა რიცხვმა იმატა სხვა ევროპული ქვეყნებიდან ჩამომსვლელების წყალობით. მათმა ჩამოსვლამ არაფერი სასიკეთო არ მოუტანა ადგილობრივ მკვიდრებს. ინდიელთა ძირითადი მოსახლეობა გაჟლიტეს ჩამოსულებმა, ხოლო ვინც გადარჩა მაღლა მთებში მიიმალნენ. სამაგიეროდ, აქ ჩამოსულმა ემიგრანტებმა საფუძველი ჩაუყარეს ძლიერ სახელმწიფოს.*

## 14.1. ახალი ცხოვრება ჩრდილო ამერიკაში



რითი დამთავრდა ომი ადგილობრივ და ჩამოსახლებულ მოსახლეობას შორის? როგორ დაიწყო ახალი ცხოვრება ჩრდილო ამერიკასი?

**ძირითადი სიტყვები:** *კოლონია, ინდიელი, ახალი ანგლია, ფილადელფია*

**პირველი ინგლისური დასახლებები დასახლებები ჩრდილო ამერიკაში.** 1607 წელს ჩრდილო ამერიკაში საფუძველი ჩაეყარა ახალ ინგლისურ კოლონიებს. ამის მიზეზი იყო უმუშევარი და რელიგიური მწამსისათვის დევნილი ხალხის ჩასვლა ამერიკაში. ქვეყნის ჩრდილოეთში მათ რამოდენიმე კოლონია დაარსეს. ამ კოლონიებს „ახალი ანგლია“ უწოდეს.



*ერთ-ერთი პირველი კილონია ჩრდილო ამერიკაში*

კოლონიებს გუბერნატორები მმართავდნენ, რომლებსაც ინგლისის მეფე ნიშნავდა. ყოველ კოლონიას ყავდა თავისი საკანონმდებლო საბჭო, რომელსაც თვითონ კოლონისტები ირჩევდნენ. კოლონისტები ჯერ მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ინდიელებთან ფვერდი-გვერდ. ინდიელები ცხოვრობდნენ თემურ წყობილებაში.

ინდიელების ძირითადი საქმიანობა იყო ნადირობა და მიწადმოქმედება. ახლად ჩამოსახლებულებმა მათგან ისწავლეს თამბაქოს და სიმინდის მოყვანა.

LAYİHƏ

***რატომ ცხოვრობდნენ ინდიელები თავიანთი სახელმწიფოს მდიდარი რესურსების მიუხედავად თემურ წყობილებაში?***

ამ ურთიერთობების მიუხედავად მალე დაიწყო ინდიელების მიწების მითვისება. ჩამოსახლებულმა ევროპელებმა კონტინენტის შიგნით დაიწყეს შეჭრა. ისინი დაუნდობლად ექცეოდნენ ინდიელებს. იმის მიუხედავათ რომ, ინდიელები თავისი რიცხვობრივი მაჩვენებლით რამდენჯერმე არემატებოდნენ კოლონისტებს, ისინი ცუდთ იყვნენ შეიარაღებულნი. ყველაზე მთავარი სისუსტე კი იმასი იყო რომ, ისინი ვერ ერტიანდებოდნენ შიდა დაპირისპირებების გამო.



*ინგლისის კოლონიები ატლანტის ოკეანეს სანაპიროზე*

***როგორ შეიძლება დაახასიათოთ ის კოლონისტები, რომელნიც პირველნი ჩავიდნენ ჩრდილო ამერიკაში?***

ჩრდილო ამერიკაში, ძირითადი ვირჯინიის კოლონიის გარდა, ასევე შეიქმნა მერილენდის კოლონია, ჩრდილო და სამხრეთი კაროლინა, ჯორჯია. ინდიელებზე წართმეული მიწების ხარჯზე მათ ატლანტის ოკეანეს სანაპიროზე 13 კოლონია შექმნეს.

XVII საუკუნის მანძილზე ინდიელთა უდიდესი ნაწილი ფიზიკურად განადგურდა, დარჩენილები კი დასავლეთსი გადაიხიზნენ. XVII საუკუნის ბლოდან XVIII საუკუნის დასაწყისში ტერიტორიებზე ატლანტის ოკეანედან ალეგანის მთებამდე ოფიციალურად გაანადგურეს ყველა ინდიელი ტომი.

ეს არის ისტორიაში ყველაზე საშინელი გენოციდის ფაქტი, რომელიც ევროპელებმა ჩაიდინეს.



*ინდიელებს დაუნდობლად ხოცავდნენ*

LAYIHƏ

XVII საუკუნესი ამერიკაში ჩამოსულთა უმრავლესობას ინგლისელები წარმოადგენდნენ. ამის მიუხედავად ცენტრალურ ზონაში ასევე ჰოლანდიელებით, შვედებითა და გერმანელებით იყო დასახლებული. სამხრეთ კაროლინასი დასახლდნენ ფრანგები. სამხრეთ მხარეს კიმონები აფრიკიდან, ესპანელები, პორტუგალიელები. XVII საუკუნის 30 წლებში ინგლისის მთავრობამ აკრძალა თვითნებურად დასახლება და მიწების მითვისება. 1763 წლიდან ასევე აიკრძალა დასავლეთით ალეგანის მთებიდან მიწებზე გადასვლა. ამ აკრძალვის მიუხედავად კოლონისტები მაინც გადადიოდნენ დასავლეთით და ითვისებდნენ მიწებს, თან ინდიელებს ანადგურებდნენ. კოლონიებში იზრდებოდა მოსახლეობის რაოდენობა. ახალი ანგლიის მიწები არ იყვნენ უხვმოსავლიანები და თან კლიმატიც არც ისე თბილი იყო.

ქალაქი ბოსტონი გადაიქცა ყველაზე დიდ კოლონიალურ პორტად ამერიკაში. სწრაფად ვითარდებოდა ვაჭრობა. ქვეყნიდან ექსპორტზე გადიოდა ხე– ტყის მასალა, თევზი, სპირტი, გემების მოწყობილობები და სხვა. ცენტრალურ კოლონიებში პენსილვანიაში, ფილადელფიაში და ნიუ– იორკში ვაჭრობა უფრო ფართო იყო.

| XVII საუკუნის ბოლოს XVIII საუკუნის სუამდე დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა აკრძალა | | |
|---|---|---|
| | მანუფაქტურების გახსნაზე | ჩრდილო ამერიკაში |
| | რკინის ნაწარმის გამოშვებაზე | |
| | ქსოვილების, განსაკუთრებით შალის ნაწარმის | |

ეს იყო დაკავშირებული იმასთან რომ, რკინის ნაწარმი და ქსოვილები ინგლისიდან უნდა შესულიყვნენ.

მთლიანობაში ინგლისის პარლამენტმა მიიღო კოლონიების საწინააღმდეგოდ რიგი კანონებისა:

1. კოლონიაში გამოშვებული ქაღალდის ფულები არ ითვლებოდა ნამდვილად;
2. დაეკისრათ ვალდებულება მეფის ჯარის საცხოვრებლითა და საჭმელით უზრუნველჰყოფა;
3. ბეჭდვით პროდუქციაზე დაედო გადასახადები.

***რატომ არ სურდა ინგლისის პარლამენტს კოლონიების განვითარება?***

ყველა ამ შეზღუდვასთან დაკავშირებით ჩრდილო ამერიკაში შექმნილი იქნა ორგანიზაცია „თავისუფლების შვილები“ 1765 წელს კოლონიებმა გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები ფილადელფიაში ყრილობაზე (კონგრესზე).

LAYIHƏ

კონგრესმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის შედეგადაც გადაწყდა რომ, ინგლისს აღარ ჰქონდა უფლება გადასახადების შემოღების უფლება კოლონიების თანხმობის გარეშე.

1773 წელს ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის რამოდენიმე გემი, რომელნიც ჩაით იყვნენ დატვირთულნი ბოსტონის პორტში შემოვიდნენ. ჩაი იყო მოსახლეობისათვის გათვალისწინებული და ნაკლებ ფასად. მაგრამ, ბოსტონის „თავისუფლების შვილების“ წევრებმა თავზე ნიღადები გაიკეთეს და ავიდნენ გემზე. მათ ეს ჩაი წყალში გადაყარეს. ამ პროტესტს „ბოსტონის ჩაის სმა“ დაერქვა ამერიკის ისტორიაში. ამაზე გამრისხებულმა ინგლისელებმა ბოსტონის პორტი დახურეს და აუკრძალეს ბოსტონელებს ვაჭრობა.

1775 წელს ამერიკის ყველა კოლონიაში დაიწყო აჯანყება. სეიქმნა შეიარაღებული რაზმები. დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

### კითხვები და დავალებები

1. როდის შეიქმნა პირველი კოლონია ჩრდილო ამერიკაში? 2. ახსენით მოსახლეობის სწრაფი ზრდა XVII საუკუნის კოლონიებში. 3. რა ღონისძიებები მიიღო ინგლისის პარლამენტმა კოლონიების წინააღმდეგ? 4. როგორი იყო პირველად ურთიერთობები კოლონისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის? 5. ახსენით ტერმინები– კოლონია, „თავისუფლენის შვილები“, კონგრესი

## ქრონოლოგია

1607 წელი | 1763 წელი | 1765 წელი | 1773 წელი | 1775 წელი

LAYİHƏ

## 14.2. ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა

ვის მიერ იქნა შექმნილი ახალი სახელმწიფო? რა პრინციპებს ეყრდნობოდა ეს სახელმწიფო?

**ძირითადი სიტყვები:** *კონგრესი, დამოუკიდებლობის დეკლარაცია, კონსტიტუცია*



*ჯორჯ ვაშინგტონი (1732–1799)*



*თომას ჯეფერსონი ( 1743–1826)*

**ომი ჩრდილო ამერიკის დამოუკიდებლობისათვის.** 1775 წლის 19 აპრილს მოხდა სეიარაჭებული დაპირისპირება კოლონიზატორებსა და ინგლისის ჯარს შორის. მაისში ფილადელფიაში შეიკრიბა კონგრესი, რომელზეც პლანტატორი სახელად ჯორჯ ვაშინგტონი არჩეულ იქნა უფროსად ინგლისთან ომის საწარმოებლად და დამოუკიდებლობის მისაღწევად. იგი ასევე მხედართმთავრადაც იქნბა არჩეული.

1776 წლის 4 ივლისს ამერიკელებმა მიიღეს „დამოუკიდებლობის დეკლარაცია", რომლის ავტორიც იყო ვირჯინიელი იურისტი და ადვოკატი– თომას ჯეფერსონი.

დეკლარაციაში აღინიშნა რომ, ინგლისელების ქცევა ეწინააღმდეგება საყოველთაო სიკეთეებს, როგორიცაა „თავისუფლება, სიცოცხლე და ბედნიერებისაკენ სწრაფვა".

დეკლარაციის გამოქვეყნების დღე– 4 ივლისი ყოველწლიურად ოფიციალურად აღინიშნება ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღე.

***რითი განსხვავდება „დამოუკიდებლობის დეკლარაცია" სხვა ადრე მიღებული დეკლარაციებისაგან?***

**ომის მსვლელობა.** ჯარს ხელმძღვანელობდა ჯორჯ ვაშინგტონი.

1777 წელს ინგლისის მრავალრიცხოვანმა ჯარმა ფილადელფია დაიპყრო. ამერიკის დამოუკიდებლობისატვის უამრავი ევროპელი და შავკანიანი იბრძოდა, მათ სორის ზანგი მონებიც.

LAYİHƏ



*დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ჩრდილო ამერიკაში*

***როგორ ახსნით ტოლერანტულ დამოკიდებულებას ზანგებისადმი?***

1777 წელს ჯორჯ ვაშინგტონის ჯარმა დაამარცხა ინგლისელების ჯარი. კონგრესმა დაიწყო მოკავშირეების ძებნა. ამ მისიით კონგრესმა ევროპაში გააგზავნა ბენჯამენ ფრანკლინი. ბენჯამენ ფრანკლინი იყო გამოცდილი დიპლომატი. მან შესძლო ამ ომში საფრანგეთისა და ესპანეთის ჩაბმა ინგლისელების წინააღმდეგ. ესპანეთს, საფრანგეთსა და ინგლისს შორის მიმდინარეობდა დრძოლა კოლონიებისათვის.

***თქვენის აზრით რა მიზნებს ისახავდნენ ესპანეთი და საფრანგეთი ინგლისთან ომში, როდესაც ბენჯამენ ფრანკლინის წინადადებაზე დათანხმდნენ?***

1781 წელს იორქტაუნთან ინგლისის ჯარი ალყასი მოექცა და იძულებული გახდა დანებებულიყო. 1783 წელს პარიზში (ვერსალში) ხელი მოეწერა მშვიდობიან ხელშეკრულებას. ინგლისმა სცნოამერიკის დამოუკიდებლობა და მიაკუთვნა მიწები მისისიპიდან ალეგანის მთებამდე. კანადა ინგლისელებს დარჩათ.

**კონსტიტუციის მიღება.** 1787 წელს მოწვეული იქნა დამფუძნებელთა სხდომა. სხდომაზე მიღებული იქნა კონსტიტუცია. კონსტიტუციამ განსაზღვრა სახელმწიფო წყობა და მმართველობის სისტემა.

თავისი ფორმით სახელმწიფო აღიარეს როგორც რესპუბლიკა, ხოლო სახწყობით– ფედერაცია. დასაწისში ყოველ შტატი დამოუკიდებელი იყო. მაგრამ ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისათვის ისინი გაერთაინდნენ და უწოდეს თავს ამერიკის შეერთებული შტატები. ასე შეიქმნა– ამერიკის შეერთებული შტათების სახელმწიფო.

ა.შ.შ. კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფოს მმართავდა კონგრესი, რომელსაც საკანონმდებლო უფლებამოსილება მიენიჭა. კონგრესი იყოფ-

LAYİHƏ

ოდა ორ პალატად. კონგრესმენთა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ორ-ორი წევრი თვითოეული შტატიდან და ქვედა პალატა– ანუ წარმომადგენელთა პალატა, რომელშიც შედიოდნენ სტატების წარმომადგენლები მოსახლეობის რაოდენობოდან გამომდინარე.

აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო პრეზიდენტი, რომელიცოთხი წლით ირჩეოდა. პრეზიდენტს გააჩნდა ფარტო უფლებები, მათ შორის ***ვეტოს**** უფლებაც.

***სახელმწიფო ხელისუფლება ა.შ.შ.-ში***

**სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები**

| საკანონმდებლო ორგანო (კონგრესი) | აღმასრულებელი ხელისუფლება (პრეზიდენტი, მთავრობა) ჯორჯ ვაშინგტონი | სასამართლო (უზენაესი სასამართლო) |
|---|---|---|

სასამართლო სისტემას ხელმძღვანელობდა ა.შ.შ. უზენაესი სასამართლო, მათ ნიშნავდა პრეზიდენტი სამუდამოდ– სიკვდილამდე. მაგრამ ამ პირების დანიშვნისას სენატს თანხმობა უნდა მიეცა. უზენაესი სასამართლო აკონტროლებდა კონსტიტუციის შესრულებას, მასდამი კანონების შესაბამისობას, კნონების შესრულებას.

***რითი განსხვავდებოდა ა.შ.ს. სახელმწიფო წყობილება სხვა სხელმწიფოებისაგან?***

პირველი არჩევნები კონგრესში ჩატარდა 1789 წელს.ჯორჯ ვაშინგტონი არჩეულ იქნა პრეზიდენტად.

1787 წელს მიღებული კონსტიტუცია არ იყო სრულყოფილი. მასში არ იყო გათვალისწინებული სიტყვის, ბეჭდნვითი თავისუფლება, დასვებული იყო მონადმფლობელობა და ა.შ.

ამას დემოკრატიული ძალების უკმაყოფილება მოსდევდა. შეტანილიიქნა სესწორებები კონსტიტუციაში. ამ ცვლილებებს, რომელნიც მიღებულნი იყვნენ 1791 წელს უწოდებენ „უფლებათა ბილს“. ხალხის დაპატიმრება შესაძლებელი იყო მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით.

***რა გახდა „უფლებათა ბილის“ მიღების მიზეზი?***

---

* **ვეტო** – *აკრძალვა, გაუქმება*



LAYİHƏ

**დამოუკიდებლობისათვის ომის მნიშვნელობა.** ა.შ.შ. ომი დამოუკიდებლობისათვის გახდა მნიშვნელოვან მოვლენად არა მხოლოდ ამერიკისათვის. ამ ომის შედეგად ა.შ.შ. გახდა დემოკრატიის მაგალითი მაშინდელი მსოფლიოსათვის. საქმით დამტკიცდა რომ, ხალხი არის ხელისუფლების მატარებელი. პირველად იქნა გამოყენებული ხელისუფლების განაწილების პრინციპი. მაგრამ „უფლებათა დეკლარაცია“ არ იყო სრულყოფილი. მასში დარჩა მომობა, ინდიელებზე არაფერი არ იყო ნათქვამი შენარჩუნდ ქონებრივი ცენზი.

## კითხვები და დავალებები

1. რატომ ითვლება დამოუკიდებლობის დღეთ 4 ივლისი? 2. გადაწერეთ „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ცხრილი რვეულში და შეავსეთ:

| *დდებითი მხარეები* | *უარყოფითი მხარეები* |
|---|---|
| | |

3. დაამტკიცეთ ა.შ.შ. არსებობის აუცილებლობა, როგორც ფედერატიული სახელმწიფოსი. 4. არსებობს თუ არა კავშირი ხელისუფლებასა და დემოკრატიას შორის? 5. დაწერეთ ესსე „დამოუკიდებლობისათვის ომის მნიშვნელობა.“

## ქრონოლოგია

| 1776 წლის 4 ივნისი | 1781 წელი | 1783 წელი | 1787 წელი | 1791 წელი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |



LAYİHƏ

## 15. „მშვიდობა ქოხებს– ომი სასახლეებს“



*XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთში ბატონობდა აბსოლუტურ-ფეოდალური წყობა. სახელმწიფო იმართებოდა ძველი ფეოდალური წესებით. ინგლისისა და ამერიკის დემოკრატიული მოძრაობების შედეგებმა საფრანგეთშიც ნახა გამოხმაურება და ხალხის აზროვნება შეიცვალა. საფრანგეთში მოხდა დიდი რევოლუცია. ხალხი აჯანყდა „თავისუფლება, ძმობა, თანასწორობის “ ლოზუნგებით და დაამხო აბსოლუტიზმი.*



როგორ დაიწყო ეს მოძრაობა საფრანგეთში? ვინ იყვნენ აქტივისტები? რა შედეგები მოიტანა ამ მოძრაობამ?

### 15.1. ფრანგული რევოლუციის მაცნე

**ძირითადი სიტყვები:** *მონტესკიე, ვოლტერი, რუსო, მელიე, დიდრო, საკონსტიტუციო მონარქია, განმანათლებლობა, ენციკლოპედია*

XVIII საუკუნის დასაწყისიდან ინტელიგენციის წარმომადგენლები გამოდიოდნენ აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის კრიტიკით. ამ საზოგადოებრივი მოძრაობას განმანათლებლურს უწოდებდნენ. ამ მოძრაობის ლიდერები შევიდნენ ისტორიაში, როგორც „საფრანგეთის XVIII საუკუნის განმანათლებლები“.



*მონტესკიე*

ფრანგი განმანათლებლები იყენებდნენ ინგლისის და ამერიკის გამოცდილებას და აღრმავებდნენ მათ იდეებს. ესენი იყვნენ–მონტესკიე, ვოლტერი, რუსო, მელიე, დიდრო.

მონტესკიეს იდეები ფართოდ იყო გავრცელებული ამერიკასა და ევროპაში. იგი აკრიტიკებდა ომებს, აბსოლუტიზმს, არასამართლიანობას და უთანასწორობას. მონტესკიეს მიაჩნდა შეზღუდული მონარქია ყველაზე მისაღებ მმართველობის ფორმად.

იგი აფასებდა ადამიანის პიროვნების ხელშეუხებლობას და კერძო საკუთრებას.

LAYİHƏ

ამით იგი იყო ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის აზრებისა და განწყობის გამომხატველი.

*რა გავლენას ახდენდა ამ ხალხის აზრები საზოგადოებაზე და ინტელიგენციაზე?*

ვოლტერი აკრიტიკებდა რელიგიურ ფანატიზმს, არისტოკრატიისა და რელიგიური მსახურების უპირატესობებს, მოუწოდებდა აბსოლუტური მონარქიისა და რელიგიური მსახურების ძალაუფლების შეზღუდვისკენ. ის ითხოვდა პრივილეგიების გაიქმებას და თანასწორობისკენ მოუწოდებდა.

*რატომ არ იყვნენ ვოლტერი და მონტესკიე რევოლუციის მომხრენი?*

იმის მიუხედავად რომ, არც ვოლტერი და არც მონტესკიე არ იყვნენ რევოლუციის მომხრენი, მათი იდეები სულ უფრო მეტად ამბოხებდნენ ხალხს, რომელთაც რევოლუცია წყუროდათ.

ჟან ჟაკ რუსო დაიბადა და გაიზარდა ხელოსნის ოჯახში. იგი სთვლიდა რომ, ხალხმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს თავისი ბედი. რუსო, რომელიც იცავდა გლეხების ინტერესებს, ამტკიცებდა რომ, წვრილი საკუთრება უნდა არსებობდეს და მას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. მისი აზრები იცავდნენწვრილი ბუჟუაზიის პოზიციებსა და ინტერესებს.

*რითი განსხვავდება ჟან ჟაკ რუსო მონტესკიესა და ვოლტერისაგან?*

ჟან მელიე იყო სოფლის ღარიბმღდვილ შვილი. მელიე კარგად იცნობდა გლეხების გაჭირვებას და გამოდიოდა მათი რევოლუციური განწყობების გამხმოვანებლად. იგი იყო კერძო საკუთრების და პრივილეგიების გაუქმების მომხრე.

*რითი განსხვავდება მელიესი და რუსოს აზრები?*



*ვოლტერი*



*ჟან ჟაკ რუსო*



*ჟან მელიე*

LAYIHƏ



*დენი დიდრო*

დენი დიდრო იყო მწერალი და ფილოსოფოსი. დიდროს აზრით ქრისტიანობა მორალურად ზიანს აყენებს თავის მიმდევრებს და წარმოადგენს საფრთხეს მათთვის, ვინც მას ჯერ არ იცნობს.დიდროს სწამდა, რომ კაცობრიობის მორალური გამარჯვებაპირდაპირ აისახება ცივილიზაციის პროგრესში. 1751 წელს მისი ხელმძღვანელობით გამოიცა „მეცნიერებათა, ხელოვნებისა და ხელოსნობის ენციკლოპედია“. ამ გამომცემლობის ავტორები იყვნენ ვოლტერი, რუსო და რიგი ცნობილი მეცნიერი. მათ მიზანს წარმოადგენდა ცოდნის სისტემატიზაცია და მომავალი თაობებისათვის ცოდნის გადაცემა. ასევე თავიანთი მოწინავე იდეების არსის ახსნა ხალხისათვის.



ENCYCLOPÉDIE,
OU
DICTIONNAIRE RAISONNÉ
DES SCIENCES,
DES ARTS ET DES MÉTIERS,
PAR UNE SOCIÉTÉ DE GENS DE LETTRES.
Mis en ordre & publié par M. DIDEROT, de l'Académie Royale des Sciences & des Belles-Lettres de Prusse; & quant à la PARTIE MATHÉMATIQUE, par M. D'ALEMBERT, de l'Académie Royale des Sciences de Paris, de celle de Prusse, & de la Société Royale de Londres.
Tantum series juncturaque pollet,
Tantum de medio sumptis accedit honoris! HORAT.
TROISIÉME ÉDITION ENRICHIE DE PLUSIEURS NOTES,
DÉDIÉE
À SON ALTESSE ROYALE
L' ARCHIDUC
PIERRE LÉOPOLD
PRINCE ROYAL DE HONGRIE ET DE BOHEME, ARCHIDUC D'AUTRICHE,
GRAND-DUC DE TOSCANE &c. &c. &c.
TOME PREMIER.
À LIVOURNE
DE L'IMPRIMERIE DES ÉDITEURS
M. DCC. LXX
AVEC APPROBATION

*ტიტულის ფურცელი „მეცნიერებათა, ხელოვნებისა და ხელოსნობის ენციკლოპედია“*

***რატომ ითვლებოდა იმ დროს ეს იდეები მოწინავეებად?***

ესეთი ენციკლოპედიის გამოცემამ აღაშფოთა საფრანგეთის მთავრობა. მართალია ხელისუფლება დაწვა პირველი ტომები, მაგრამ მათ ვერ შესძლეს ამ გამოცემის შეჩერება. ენციკლოპედიამ გააგრძელა მოწინავე მეცნიერებებისა და მოაზროვნეების ცოდნისა და იდეების გავრცელება. ეს ფასიანი წიგნი გადიქცა ტრიბუნად საზოგადოებრივი აზრის შესაცვლელად. ენციკლოპედიის ავტორები აკრიტიკებდნენ ეკლესიას, მეფის აბსოლუტურ ხელისუფლებას.

ისინიაცვადებდნენ, რომ საზოგადოება უნდა შედგებოდეს თანაბარ უფლებიანი მოქალაქეებისაგან და არ უნდა იყოს დაყოფილი პრივილიგირებულ და უუფლებო მოსახლეობისაგან.

LAYİHƏ

ასე რომ, საფრანგეთის განმანათლებლების იდეები გახდნენ საფრანგეთის რევოლუციის იდეოლოგიათ და სულის ჩამდგმელებად. მათ უდიდესი როლი ითამაშეს საფრანგეთის რევოლუციაში.

### კითხვები და დავალებები

1. რატომ იდევნებოდნენ საფრანგეთში ინტელიგენციის ის წარმომადგენლები, რომელნიც გამოთქვამდნენ აბსოლუტიზმის საწინააღმდეგო აზრებს? 2. რითი შეეძლოთ განმანათლებლების აზრებს მოემწიფებინად საფრანგეტის რევოლუცია? 3. რატომ არ გააჩნდათ ფრანგ განმანათლებლებს ერთიანი აზრი და რატომ იყვნენ ზოგი მათგანი რევოლუციის წინააღმდეგნი? 4. დაწერეთ ესსე „საფრანგეტის განმანათლებლები–რევოლუციის იდეოლოგები“. 5. გადაწერეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ იგი.

| შეხედულებები | მონტესკიე | რუსო | ვოლტერი | მელიე |
|---|---|---|---|---|
| აბსოლუტიზმზე | | | | |
| ეკლესიაზე | | | | |

## ქრონოლოგია

1751 წელი



LAYİHƏ

## 15.2. ჟირონდისტები და იაკობინელები

**ძირითადი სიტყვები:** *გენერალური შტატები, ციხე ბასტილია, „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, მარსელიეზა, იაკობინთა დიქტატურა*

**საფრანგეთი რევოლუციის წინ.** XVIII საუკუნის ბოლოს საფრანგეთი დამარცხდა ინგლისთან კოლონიალურ ომში. შვიდწლიანი ომის (1756–1763) შედეგად მან კანადა და ბენგალია დაკარგა.

ხელისუფლებასი მოსულმა ლუდოვიკო XVI (1774–1792) ჰქონდა სუსტი ხასიათი და არ გააჩნდა ნებისყოფა. ამიტომაც სახელმწიფო საქმეებს განაგებდა მისი ცოლი მარია ანტუანეტა.

საფრანგეთში მოქმედებდა აბსოლუტური რეჟიმი. სახელმწიფოს მეურნეობა იმართებოდა შუასაუკუნოვანი მეთოდებით. გლეხები იხდიდნენ მოსაკრებელს, სასულო მოსაკრებელს, სახელმწიფო გადასახადს, რომელსაც ეწოდებოდა ***ტალია***. სოფლად მოქმედებდა ***გამოყენებადობის*** სისტემა, ანუ მიწის მოხმარებისათვის გლეხი უხდიდა მიწის მესაკუთრეს მოსავლის ნახევარს. უმიწო გლეხები კი მუშაობდნენ საყოველდღეო გასამსჯელოსათვის. სოფლად ასევე ფერმერული მეურნეობებიც იქმნებოდა. გლეხების მაღალი ფენა მდიდრდებოდა. გაჩნდა წვრილი ბურჟუაზია.

XVIII საუკუნეში გამოცოცხლდა ვაჭრობა და წარმოებები. ქალაქებში დაინერგა მანუფაქტურა. პარიზი, მარსელი, ლიონი გადაიქცნენ სამრეწველო ცენტტრებად. გაიზარდა ვაჭრობა, განსაკუთრებით საგარეო. სახელმწიფოში არსებული საბაჟო და საგადასახადო სისტემა ხელს უშლიდა მრეწველობის განვითარებას. სახელმწიფოს განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორი იყო საზოგადოების ფენებად დაყოფა.

***რომელ ფენებად იყო დაყოფილი საფრანგეთი?***

სასულიერო პირები და თავადები განთავისუფლებულები იყვნენ გადასახადებისაგან. მაღალ თანამდებობებს მხოლოდ თავადები იკავებდნენ. სახელმწიფოს ყველა გადასახადს იხდიდნბენ გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები და ბურჟუაზია. მატ არ გააჩნდათ პოლიტიკური უფლებები.

აბსოლუტიზმის წინააღმდეგ გამოსული ვაჭრები, ბანკირები, მანუფაქტურის მფლობელნი, ბურჯუაზია ემზადებოდნენ რევოლუციისათვის. ამ ბრძოლასი გლეხები ბურჟუაზიას უჭერდნენ მხარს, ვინაიდან იძულებულნი იყვნენ მათზე მუშაობას. თავადებისა და სასულიერო პირების ნაწილიც უკმაყოფილონი იყვნენ ითხოვდნენ რეფორმებს. მესამე ფენის წარმომადგენლები ითხოვდნენ თანასწორობას.

***რაში არის ფენებისა და კასტების მსგავსება?***

LAYIHƏ

**რევოლუციის საწყისი.** 1789 წელს სახელმწიფოში არსებულმა კრიზისმა კიდევ უფრო დაძაბა რევოლუციური მდგომარეობა. ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად მეფემ გადაწყვიტა გენერალური შტატების მოწვევა, რომელიც უკვე დიდი ხანია არ მოუწვევია.

***რა არის გენერალური შტატები და როდის მოიწვიეს ის პირველად?***

5 მაისს ერთ-ერთ ვერსალის სასახლეში მოწვეულ იქნა გენერალური შტატები. მეფემ მოითხოვა ახალი გადასახადების დაწესება. მესამე ფენის წარმომადგენლებმა არ დაუჭირეს მხარი მეფეს და ორ ფენას. ისინი გამოვიდნენ გენერალური შტატებიდან და გამოაცხადეს ეროვნული საჭოს შექმნის შესახებ, რომლის ფუნქციაც იყო კონსტიტუციის მიღებაში. მეფემ დაიწყო ჯარის შეკრება პარიზსა და ვერსალში.

***ვინ მიეკუთვნებოდა მესამე ფენას და რასთან იყო დაკავშირებული მათი ესეთი გააქტიურება?***

ამის საპასუხოდ აჯანყებულებმა შექმნეს ეროვნული გვარდია. 14 ივლისს ხალხმა შტურმით აიღო ბასტილია, რომელიც აბსოლუტიზმის კერა იყო. ბასტილიის აღება ითვლება რევოლუციის დასაწყისად. დღესაც საფრანგეტი ოფიციალურად აღნიშნავს ამ დღეს. ბასტილიის აღების შემდეგ დაიწყო გლეხების აჯანყება ფეოდალების წინააღმდეგ. ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა პრივილეგიების გაუქმება, საეკლესიო მოსდა გადასახადის გაუწმება. ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“. დეკლარაცია სედგენილი იყო ა.შ.შ. დეკლარაციის მიხედვით. დეკლარაციის პირველ მუხლში აღინიშნა, რომ ადამიანი იბადება „თავისუფალი და თანასწორი“. ხელისუფლების ერთადერთ წყაროთ გამოცხადდა ხალხი. მოქალაქეებს ეძლეოდათ სიტყვის, რელიგიური მწამსის, ბრძოლის უფლება ნებისმიერ უსამართლო ჩაგვრასთან. დეკლარაციამ მოსპო ყველანაირი ფენები და პრივილეგიები. საკუთრება გამოცხადდა ხელშეუხებლად.

**მეფე ჯერ კიდევ ხელისუფლებშია.** 1791 წლის სექტემბერში მიღებული იყო სახელმწიფოს პირველი კონსტიტუცია. საფრანგეთი გამოცხადდა კონსტიტუციურ მონარქია. მეფე ჩებოდა სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების უფროსად. მეფის მიერ დანიშნული მინისტრები პასუხს აგებდნენ მხოლოდ



*ბასტილიის აღება*

LAYİHƏ

მეფის წინაშე. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა მხოლოდ იმათ ვისაც გააჩნდა საკუთრება. შეიქმნა სასამართლოო ნაფიცთა ინსტიტუტი, რომელთაც ირჩევდა მოსახლეობა. შიდა საბაჟოები გაუქმდა. შეიქმნა ერთიანი მეტრული სისტემა. სახელმწიფო დაიყო დეპარტამენტებად.

კონსტიტუციის მიხედვით აირჩიეს საკანონმდებლო საბჭო. მსხვილი ფეოდალები საბჭოში უმრავლესობით იყვნენ წარმოდგენილნი. იმის გამო, რომ ჟირონდის დეპარტამენტის წარმომადგენლები უმრავლესობას წარმოადგენდნენ, მათ ჯირონდისტებს უწოდებდნენ.

**მეფე ჩამოგდებულია ტახტიდან.** 1792 წლის თებერვალში ავსტრიამ და პრუსიამ შექმნეს ***კოალიცია**** საფრანგეთის წინააღმდეგ. დაიწყო სამხედრო შემოჭრა საფრანგეთში. საბჭომ მიმართა მოსახლეობას ლოზუნგით: "სამშობლო საშიშროების წინაშეა". მოწოდების შედეგად ათასობით მოხალისე შეიკრიფა პარიზში. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა სიმღერამ, რომელსაც მღეოდნენ მარსელში. მოგვიანებით ამ სიმრერას „მარსელიეზა" ეწოდა და საფრანგეთის ჰიმნად იქცა.

დედაქალაქში შეკრებილნი მოითხოვდნენ მეფის ჩამოგდებას.




*საფრანგეთი XVIII საუკუნეში*

1792 წლის 10 აგვისტოს რევოლუციურმა ჯარმა შტურმით აიღო მეფის სასახლე. საკანონმდებლო საბჭომ დააპატიმრა მეფე და ჩამოართვა ხელისუფლება. საკუთრების ცენზი გაუქმდა. დაინიშნა არჩევნები ეროვნულ საბჭოში–კონვენტში.

**მეფის ხელისუფლების ლიკვიდაცია.** 1792 წლის 29 სექტემბერს პარიზში გაიხსნა კონვენტი. კონვენტმა მიიღო გადაწყვეტილება მეფის ინსტიტუტის გაუქმებაზე. საფრანგეთში მონარქია გაუქმდა. საფრანგეთი გამოცხადდა რესპუბლიკად. ეროვნულ საბჭოში ჟირონდისტები

---

* **კოალიცია** - *კავშირი, გაერთიანება*

LAYİHƏ

ისევ უმრავლესობას წარმოადგენდნენ. ისინი აღიქვამდნენ რესპუბლიკას, როგორც დროებით მოვლენას და სურდათ სამეფო ინსტიტუტის აღდგენა. ჟირონდისტებისაგან განსხვავებით იაკობინელები დემოკრატიის მომხრენი იყვნენ. რობესპიერი, მარატი, დანტონი ამ ჯგუფის აქტივისტები იყვნენ.

იაკობელებმა გადასცეს მეფე კონვენტის სასამართლოს. 1783 წელს კონვენტის გადაწყვეტილებით მეფე სიკვდილით დასაჯეს.

**იაკობინელთა დიქტატურა.** ძირითადი ბრძოლა იაკობინელებსა და ჟირონდისტებს შორის იაკობინელების გამარჯვებით დასრულდა.

***რაში იყო ჯირონდისტებისა და იაკობინელებს შორის განსხვავება და როგორ შესძლეს იაკობელებმა უმრავლესობის მქონე ჟირონდისტებზე გამარჯვება?***

იაკობინელთა ხელისუფლების დროს (1793–1794) კონვენტმა ახალი კონსტიტუცია მიიღო.

იაკობინთა მთავრობამ გამოსცა დეკრეტი სამუდამოდ ფეოდალური გადასახადების გაუქმების შესახებ. გლეხები გახდნენ მიწის მესაკუთრეები. გლეხების მიერ წართმეული მიწები უკან დაუბრუნდათ მფლობელებს.

კონვენტმა შექმნა სამხედრო ტრიბუნალი. კონტრევოლუციონერების წინააღმდეგ იყენებდნენ მკაცრ ზომებს. სიკვდილით დასჯები, განსაკუთრებით ოფიცერთა მიმართ, რომლებმაც სამშობლოს უღალატეს ხდებოდა მანქანა– **გილიოტინით.***

***რა ფაქტები ამტკიცებენ, რომ იაკობინელებმა დიქტატურა დაამყარეს?***

ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუციის მნიშვნელობა. 1789–1794 წლის დიდი ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუცია სხვა რევოლუციე-



რობესპიერი



დანტონი



მარატი

* **გილიოტინა** – მანქანა, რომლის მეშვეობითაც თავს აჭრიან სიკვდილმისჯილს. *ფრანგები მას „ეროვნულ ბრიტვას“ უწოდებდნენ*

LAYİHƏ

ბისგან განსხვავებით იყო ერთადაერთი, რომელმაც ბოლომდე გაანადგურა ფეოდალური ურთიერთობები.

საფრანგეთის რევოლუციამ დააჩქარა კაპიტალისტურ წყობაზე გადასვლა დაფართო გავლენა მოახდინა მსოფლიოზე.

### კითხვები და დავალებები

1. რა იყო დიდი ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუციის ძირითადი მიზანი? 2. რა გადაწყვეტილებები მიიღო დამფუძნებელმა საბჭომ? 3. ჩამოთვალეთ „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის "ძირითადი თეზისეები. 4. რა არის რევოლუცია და რამდენი კონსტიტუცია იყო მიღებული დიდი ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუციის დროს? 5. რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ეროვნულმა კონვენტმა მიიღო? 6. შეადარეთ ჟირონდისტები იაკობინელებს. 7. რაში მდგომარეობს დიდი ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუციის არსი? 8. დაყავით დიდი ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუცია ეტაპებზე და შეადგინეთ ცხრილი. აღნიშნეთ ყოველი ეტაპი და საფასეთ.

## ქრონოლოგია

| 1789 წლის 14 ივლისი | 1791 წელი | 1792 წლის 10 აგვისტო | 1793–1794 წლები | 1789–1794 წლები |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

LAYİHƏ

## 15.3. ტერმიდორელები და ნაპოლეონ ბონაპარტე

**ძირითადი სიტყვები:** *ტერმიდორი, კონვენტი, დირექტორია, საკონსულო, ნაპოლეონ ბონაპარტე*

**9 ტერმიდორის (27 ივლისის) გადატრიალება.** შიდა განხეთქილებბებმა შეარყიეს იკობინელთა დიქტატურა. დანტონის ხელმძღვანელობით შეიქმნა ჯგუფი. ისინი გამოთქვამდნენ თავის პოზიციას იმის შესახებ, რომ დრო იყო რევოლუციურ დიქტატურაზე უარის თქმისა. უკიდურესად მემარცხენე ოპოზიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა შომეტი და ებერი ასევე წინააღმდეგები იყვნენ რობესპიერის დიქტატურისა. ეს ჯგუფი ცდილობდა კიდევ უფრო მკაცრი ზომების დაწესებას.



*შომეტი*

ორივე დაჯგუფების ხელმძღვანელი სიკვდილით იქნა დასჯილი იმის გამო, რომ წინააღმდეგობას უწევდნენ რობესპიერს და მის ხელისუფლებას. ამ მოვლენებმა კიდევ უფრო შეარყია იაკობელთა ბლოკი. ბლოკი დაიშალა. კონვენტის გადაწყვეტილებამ ბურჟუაზიისათვის მოსავლის კომფისკაციის შესახებ კიდევ უფრო გაამძაფრა სიტუაცია. რობესპიერის წინააღმდეგ შეიქმნა კონტრრევოლუციური შეთქმულება.



*ებერი*

1794 წლის 27 ივლისს – 9 ტერმიდორს მათ მიაღწიეს კონნელების დაპატიმრებას რობესპიერის მეთაურობით. მეორე დღეს მათ თავები მოაჭრეს. ესე დაიმსხვრა იაკობინელთა პოლიტიკური დიქტატურა.

***რატომ მოხდა ტერმიდორის შეთქმულება-გადატრიალება?***

გადატრიალების წყალობით ხელისუფლებაში მოსული ტერმიდორელებმა შეინჩუნეს რესპუბლიკა. ხელისუფლება კვლავ ბურჯუაზიამ ჩაიგდო ხელში. ჟირონდელი დეპუტატები დაბრუნებულნი იყვნენ კონვენტში. იაკობინელთა კლუბი დაიხურა, მხოლოდ წევრებს თავები მოაჭრეს. ეროვნული გვარდია გასუფთავდა იაკობინელებისაგან.

---

* **ტერმიდორი** – *ფრანგულად ცხელს ნიშნავს. მე-11 თვის დასახელება ფრანგულ კალენდარში, რომლსაც ხმარობდნენ საფრანგეთში 1793 წლიდან 1806 წლამდე.*

LAYTHƏ

მონარქიის მომხრეების წინააღმდეგ აკრძალვები მოხსნილი იყო. სტაბილური ფასების მოხსნამ საქონლის გაძვირება გამოიწვია. საჭმლის უკმარისობის გამო სახელმწიფოში სიმშილი დაიწყო.



ბარასი

1795 წელს მოსახლეობა პურისა და კონსტიტუციის აღდგენის მოთხოვნით აჯანყდა. აჯანყება სისხლში ჩაახრჩეს.

**დირექტორია.** 1795 წელს ტერმიდორთა კონვენტმა ახლი კონსტიტუცია მიიღო. რევოლუციური კალენდრიდან გამომდინარე ამ კონსტიტუციას მესამე წლის კონსტიტუციას უწოდებენ. ამ კონსტიტუციის მიხედვით აღდგა დ ადაწესდა ქონებრივი ცენხი, ასევე ასაკობრივი ცენზი და ცენზი ადგილმდებარეობისა. გაუქმდა საერთო არჩევნების უფლება.



ბაბიოფი

ახალმა კონსტიტუციამ გადასცა საკანონმდებლო ხელისუფლება კორპუსს, რომელიც ორი პალატისაგან შესდგებოდა. აღმასრულებელი ხელისუფლება გადავიდა დირექტორიის ხელში, რომლის შემადგენლობასიც ხუთი დირექტორი შედიოდა.

დირრქტოტრიაში მთავარ როლს თავადი ბარასი ასრულებდა. დირექტორიის მიე გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ვერ შესძლო ფასებისა და ეკონომიკის გამოსწორება. ღარიბი მოსახლეობის უკმაყოფილება კიდევ უფრო გაიზარდა. ამ უკმაყოფილებამ გამოიწვია, რომ 1795-1796 წლებში შეიქმნა „მოძრაობა თანასწორობისათვის“, რომლის სათავეშიც ფრანსუა ნოელ ბაბიოფი ჩადგა. ამ საზოგადოების ძირითად მიზანს წარმოადგენდა დიქტატურის ჩამოდება და ღარიბების დიქტატურის დამყარება.



ნაპოლეონი

1796 წლის მაისში დირექტორიამ დააპატიმრა და სიკვდილით დასაჯა ბაბიოფი.

LAYİHƏ

საფრანგეტის სამხედრო გამარჯვებებმა კიდევ უფრო გააძლიერა ბურჟუაზიის ხელისუფლება.

1796–1797 წლებში ფრანგულმა ჯარმა ახალგაზრდა გენერლის ნაპოლეონის მეთაურობით დალაშქრა იტალია. ლოდიში ავსტრიული ჯარები განადგურებული იყვნენ ნაპოლეონის მიერ. ზავის მიხედვით ბელგია საფრანგეთს მიეკუთვნა. ნაპოლეონ ბონაპარტეს სამხედრო ტალანტის წყალობით იტალიაც საფრანგეთის შემადგენლობაში შემოვიდა.

1798 წელს ნაპოლეონმა დალაშქრა ეგვიფტე. დირექტორია გეგმავდა ეგვიფტეს, რომელიც ოსმალეთის იმპერიას ეკუთვნოდა, თავის კოლონიად გადაქცევად. ნაპოლეონმა ეგვიფტეს ძირითადი ქალაქები– ალექსანდრია და კაირო დაიპყრო.



*ნაპოლეონი ეგვიფტეში*

ინგლისი აგრძელებდა ომს ზღვაზე. ინგლისელმა ადმირალმა ნელსონმა აბუკირის მახლობლად გაანადგურა საფრანგეთის ფლოტი. ამ დროს ნაპოლეონი სირიაში იმყოფებოდა, მაგრამ იქ ვერ მიაღწია სასურველ შედეგს და ეგვიფტეში დაბრუნდა. იქიდან კი საფრანგეთში.

**მსხვილი ბუჟუაზიის დიქტატურა.** საკონსულო. დემოკრატიის ხანაში საფრანგეთის შიგნით პოლიტიკური სიმშვიდე სუფევდა. მსხვილ ბურჟუაზიას ძალიან აშინებდა დემოკრატიული დაჯგუფებების გაძლიერება. შეიქმნა იაკობინელთა ახალი კლუბი. სხვა მხრიდან გააქტიურდნენ როიალისტები– მონარქიის მხარდამჭერები. მონარქისტებისაგან თავის დასაცავად მსხვილმა ბჟუაზიამ ჩამოაყალიბა ძლიერი მთავრობა. ყველაზე სასურველ კანდიდატი შეთქმულების მსურველთათვის ნაპოლეონი იყო. მან განდევნა მტრები სახელმწიფოდან, დაიპყრო ქვეყნები, შემოიერთა ახალი კოლონიები -ყველაფერმა ამან ასახელა ნაპოლეონი. შეთქმულების უფროსებმა შესძლეს მისი დანიშვნა პარიზის გარნიზონის უფროსად.

**18 ბრუმერის* გადატრიალება.** 1799 წლის 9 ნოემბერს ნაპოლეონი თავისი გარნიზონით შევიდა საკანონმდებლო კორპუსში. მისი ბრძანებით ხელისუფლება გადაეცა სამ კონსულს. დირექტორია დაშლილად

LAYTHE

გამოცხადდა. ხელისუფლება სამხედრო დიქტატურამ ჩაიგდო ხელში. ამით დამყარდა მსხვილი ბურჟუაზიის დიქტატურა. ძალაუფლება სამ კონსულს გადაეცა. სინამდვილეში კი ნაპოლეონ ბონაპარტეს.

***რომელ სახელმწიფოში სეიქმნა პირველად კონსულის თანამდებობა?***

1799 წლის 24 დეკემბერს, პლებისციტის (სახალხო გამოკითხვის) შედეგად სახელმწიფოში ამოქმედდა ახალი კონსტიტუცია. კონსტიტუციის თანახმად საფრანგეთში ასევე შენარჩუნდა რესპუბლიკა. მაგრამ ხელეცემოდა სამ კონსულს, რომელსაც ირჩევდნენ ათწლიანი ვადით. ნაპოლეონს, როგორც პირველ კონსულს გადაეცა დიდი უფლებამოსილება. პირველ კონსულს გააჩნდა საკანონმდებლო ინიციატივა, მეორე და მესამე კონსულს გააჩნდა ხმის უფლება.

***რა უფლებებს ფლობდნენ მეორე და მესამე კონსულები?***

ნაპოლეონ ბონაპარტე ასევე მთავარსარდალიც იყო. მან რომის პაპთან პიუს VII დადო შეთანხმება. შეთანხმების მიხედვით, ფრანგების უმრავლესობის რელიგად აღიარეს კათოლიციზმი. ამის შედეგად კათოლიციზმი გახდა ნაპოლეონის ძალაუფლების გამაძლიერებელი ფაქტორი.

მანამდე მიღებული თავისუფლებები შეიზღუდა, მათ შორის პუბლიკაციების უფლებები.საფრანგეთში იქმნებოდა ახალი მონარქიული მმართველობის სისტემა. ეს მონარქია წინისგან განსხვავებით უნდა ყოფილიყო მსხვილი ბურჟუების ინტერესების დამცველი. ნაპოლეონის მიერ თავისი თავის სამუდამო კონსულად გამოცხადებით მან ნაბიჯი უკან გადადგა მონარქიისაკენ.

**ნაპოლეონ ბონაპარტე.** ნაპოლეონი არი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა არა მხოლოდ საფრანგეთის არამედ მთელი მსოფლოის ისტორიაში. იგი 1769 წელს კუნძულ კორსიკაზე, ადვოკატის ოჯახში დაიბადა. მცირეწლოვანი ნაპოლეონი წარჩინებით სწავლობდა სკოლაში. განსაკუთრებით უყვარდა ისტორია და მათემატიკა. თხუთმეტი წლის ასაკში მან პარიზის სამხედრო სასწავლებელში ჩააბარა.

მამამისის სიკვდილის შემდეგ მან მიატოვა სწავლა და ჯარში წავიდა. ნაპოლეონი დიდი ინტერესით კითხულობდა ფრანგ განმანათლებლებს, სხვა ლიტერატურას. მან რომის სამოქალაქო სამართალი ზეპირად იცოდა.

1793 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს მისი კარიერა სწრაფად წავიდა მაღლა. 1793 წელს ქალაქ ტულონის ინგლისელებისაგან განთავისუფლების დროს მის მიერ გაკეტებულმა საარტილერიო გეგმამ სახელი გაუთქვა. ოცდაოთხი წლის ასაკშიმას ბრიგადის

---

* **ბრიუმერი** – *ფრანგულიდან „ნისლს“ ნიშნავს. კალენდრის მეორე თვის დასახელება, რომლითაც მაშინ სარგებლობდნენ.*



LAYİHƏ

გენერლის წოდება მიენიჭა. იაკობინელებმა იგი დანიშნეს საფრანგეთის „შიდა ჯარების“ უფროსად. 9 ტერმიდორის ოვლენების სემდეგ ნაპოლეონი დააპატიმრეს. იაკობინელებტან სიახლოვის გამო იგი გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. სამხედრო წარმწტებების გამო მისი სიცოცხლე გადარჩა. ყველა ომები, რაც კი დირექტორიის დროს მიმდინარეობდა ნაპოლეონმა მოიგო.

## კითხვები და დავალებები

1. გამოარკვიე იაკობინელების მარცხის მიზეზები. 2. ახსენი დირექტორიის არსი. 3. რა მიზნით მოაწერა ნაპოლეონმა შეთანხმება რომის პაპთან? 4. რომელ პირად უნარებს აფასებთ ნაპოლეონში? 5. რომელი ძველი სახელმწიფოს მმართველობას ჰგავდა 18 ბრიუმერის გადატრიალების შედეგად შექმნილი მმართველობა?

## ქრონოლოგია

| 1769 წელი | 1794 წელი | 1795 წელი | 1798 წელი | 1799წელი | 1801 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |



LAYİHƏ

# 16. რუსეთი ახალი ხანის ზღვარზე



*XVII საუკუნის დასაწყისში რუსეთსი ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო ნატურალური მეურნეობა. ყოველი პომეჩიკის ქონება იყოფოდა ბატონისა და ყმის ქონებაზე. გლეხები მიმაგრებულნი იყვნენ მიწაზე ყმებად და არა ჰქოონდათ მიწის დატოვების უფლება, ისისნი ბატონების საკუთრებას წარმოადგენდნენ. სოფლის მეურნეობა იყო აგებული პრიმიტიულ იარაღებზე, მათი განვითარება ძლიან ნელა მიმდინარეობდა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში მოხდა გამოცოხლება. ხელისუფლებასი მოვიდა პეტრე I.*

## 16.1. რუსეთის პირველი იმპერატორი



**როგორ შეიცვალა რუსეთის ცხოვრება პეტრე I მოსვლის შემდეგ?**

**ძირითადი სიტყვები:** *პრიკაზული სისტემა, სისტემა, ბახჩისარაის ზავი, ნერჩინის შეთანხმება, პეტრე I, ნიშტადტის ზავი*

**პოლიტიკური მდგომარეობა.** XVII რუსეთსი სოციალურ– ეკონომიკურ ნახტომთან ერთად მოხდა პოლიტიკური სიტუაციის რუსეთისთვის სასიკეტოდ შეცვლაც. ეკლესია დაემორჩილა სახელმწიფოს. ავტოკრატიამ გააძლიერა მეფის ძალაუფლება. ამ პერიდში ტახტზე ავიდა ალექსი რომანოვი (1645–1676).

***რას ნიშნავს ავტოკრატია?***

1649 წლის „კანონთა კრებული“, რომელიც ალექსი რომანოვის მიერ იქნა შექმნილი კიდევ უფრო გააძლიერა ავტოკრატია. დამთავრდა გლეხების ყმებად გადაქცევის პროცესი. დამტკიცდა პომეშჩიკების უფლება მიწებზე.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში სახელმწიფო მმართვის ორგანო– პრიკაზული სისტემა დაიხვეწა და განვითარდა. იზრდებოდა კანონთა რაოდენობა, იზრდებოდა მათი უფლებამოსილებები. ისინი იყოფოდნენ: სასახლეს პრიკაზი, საფინანსო პრიკაზი, სასამართლო პრიკაზი, საოლქო პრიკაზი და სხვა. იმის გამო,რომ ყრთიერთობები ერთმანეთს შორის დარეგულირებული არ იყო ხშირად ერთმანეთის მუშაობას უშლიდნენ ხელს.

***რითი შეიძლება აიხსნა XVII საუკუნის რუსეთში ავტოკრატიის ჩამოყალიბება?***

ამ ხანაში რუსეთი უეზდებად იყო დაყოფილი. უეზდების სამართავად ინიშნებოდა ვოევოდა, რომელიც ბოიარების რიცხვიდან იყო. ტერიტო-



LAYTHƏ

რიებზე, რომელსაც უყურებდა ვოევოდა იგი ახორციელებდა სასამართლოს, აგროვებდა გადასახადს, და ომის დროს მხედართმთავრობდა ჯარს.

ჩატარდა სამხედრო რეფორმა. (ცხენოსან) ჯართან ერთად, რომელშიც მხოლოდ თავადები მსახურობდნენ, ასევე (ქვეითა) უბრალო გლეხებისაგან დაკომპლექტეული, რეტარიის პოლკები (ცხენოსნები), დრაგუნებს პოლკები (შერეული ).დაიწყო ფლოტის შექმნა კასპიის ზღვაზე.

რუსეთის ბაზრის შექმნა. XVII საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო სიახლეების ჩანერგვა ეკონომიკაში. ეს გამოვლინდა სასაქონლო მეურნეობის განვითარებაში. ამან ნატურალური მეურნეობის კრახი გამოიწვია. სოფლის მეურნეობის საქონლით ვაჭრობამ პომეჩიკებს დამატებითი შემოსავლის წყარო გაუჩინა. მაგრამ გლეხების ყმობა ხელს უშლიდა მათ საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლაში.

***რას გულისხმობს გამოთქმა სასაქონლო ქარმოება? შეეცადეთ გაარკვიოთ რუსეთში სასაქონლო ურთიერთობების განვითარების ხელის შემშლელი მიზეზები.***

XVII საუკუნიდან რუსეთში დაიწყო მანუფაქტურების განვითარება. დაიწყო რკინის, თუჯის, სპილენძის შემადნობელი მანუფაქტურების ჩასახვა. ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ათვის შეიქმნა სპეციალური მანუფაქტურა– მოსკოვის „ორუჟეინაია პალატა“ (იარაღის პალატა).

ამ დროს ჩაეყარა საფუძველი იზმაილოვსკოეს და ვოსკრესენსკოეს შუშის წარმოების მანუფაქტურას. ნიჟნი ნოვგოროდსა და ვოლოგდაში შეიქმნა საქსოვი მანუფაქტურები, მარილის წარმოება ჩრდილოეთსა და პოვოლჟიეში. საწარმოო პროდუქციას უშვებდნენ არა მხოლოდ ქალაქებში არამედ სოფლებშიც. პავლოვოს დასახლება ოკას სანაპიროზე სპეციალიზირდებოდა რკინის დამუშავებაში. ივანოვოს მკვიდრნი სპეციალიზირდებოდნენ სელის ქსოვილებზე მანუფაქტურების განვითარებამ ბიძგი მისცა ქალაქების განვითარებას. თანდათანობით ქალაქები იზრდებოდნენ და სამრეწველო-სავაჭრო ცენტრებად იქცეოდნენ. ძირითადად გამოირჩეოდნენ მოსკოვი, ნოვგოროდი, იაროსლავლი, ყაზანი, ნიჟნი ნოვგოროდი.



*XVII საუკუნის მეტალის დამამუშავებელი ქარხანა*

XVII საუკუნის ბოლოს უკვე 80 -მდე მანუფაქტურა ამოქმედდა რუსეტის ტერიტორიაზე. შიდა ვაჭრობა განვითარდა. ვაჭრები ყიდულობდნენ უამრავ საქო-

LAYIHƏ



*პავლოვის მანუფაქტურის ნაწარმი*

ნელს ქვეყანაში და ძვირად ყიდდნენ მას საზღვარგარეთ. წრილ ბაზრებთან, ბაზრობებთან ერთად ასევე ვითარდებოდა საერთო სახელმწიფო ბაზარიც. ყველაზე დიდი ბაზრობები მოქმედებდნენ მოსკოვში, არხანგელსკში, ნიჟნი ნოვგოროდში.

***რა ფაქტორები ქმნიდნენ საერთო რუსულ ბაზარს?***

შიდა ვაჭრობასთან ერთად ვითარდებოოდა ასევე გარე ვაჭრობაც. რუსეთი ვაჭრობდა ინგლისთან, ჰოლანდიასთან, რეჩ პოსპოლიტასთან, დასავლეთით აზერბაიჯანთან, ჩინეტთან, ინდოეთთან, ირანთან. XVII საუკუნის უსტავით შეიქმნა ერთიანი საბაჟო სისტემა. 1667 წელს მეფის რუსეთმა გაითვალისწინა ადგილობრივი ვაჭრების ინტერესები და აუკრძალა უცხოელ ვაჭრებს საცალო გაყიდვები რუსეთის ტერიტორიაზე. მათ შეეძლოტ ვაჭრობა მხოლოდ სასაზღვრო ტერიტორიებზე.

***რატომ აუკრძალა მეფის ხელისუფლებამ უცხოელ ვაჭრებს საცალო ვაჭრობა?***

ასე რომ პატარა მანუფაქტურების განვითარებამ, ერთიანმა საბაჟო სისტემამ, ხელისუფლების დახმარებამ ხელი შეუქყო მსხვილი მანუფაქტურების განვითარებას, ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებას და სასაქონლო– ფულადი ურთიერთობების განვითარებას რუსეთში.

**საგარეო პოლიტიკა**. XVII საუკუნის შუაში შიდა ხელისუფლების გაძლიერებამ საშუალება მისცა რუსეთს გადასულიყოპრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს საგარეო პოლიტიკაში რუსეთს სამი საკითხი აღელვებდა:

1. უკრანული და ბელორუსიული მიწების დაპყრობა;
2. ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მიღება;
3. შავ ზღვაზე გასასვლელის მიღება.

1667 წელს მარცხენა ნაპირის უკრაინა შეუერთდა კიევის რუსეთს. ამ პერიოდის რუსეთის უკრაინის შემოერთების მცდელობებმა მიიყვანა რუსეთი ოსმალეთის იმპერიასთან ომამდე. 1681 წელს ხელი მოეწერა ბახჩისარაის მშვიდობიან ზავს, რომელიც მოქმედებდა 20 წლის განმავლობაში. ამ ზავის მიხედვით ოსმალეთმა სცნო რუსების მიერ მიწები კანონიერად.



LAYIHƏ

რუსეთის მცდელობამ გამყარებოდა მდინარე ამურთან მიიყვანა ომამდე ჩინეთთან. 1689 წელს ნერჩენში დადებული მშვიდობიანი ხელშეკრულების მიხედვით მდინარე ამური იქცა საზღვრად ორ სახელმწიფოს შორის.

**პეტრე I ხელისუფლებაში მოსვლა და მისი რეფორმები.** პეტრე I მცირეწლოვანობის გამო 1682 წელს ხელისუფლება მისმა დამ სოფიამ აიღო ხელში. ცოტა ხნის სმდეგ პეტრემ შესძლო სოფიას ხელისუფლებისგან ჩამოშორება. XVII საუკუნეში დაძაბული საგარეო ურტიერთობები ითხოვდნენ რეფორმების ჩატარებას.1700 წელს შვედეთთან დაწყებული ომი ბალტიის ზღვაზე გასასვლელისათვის მოითხოვდა გარკვეული რეფორმების ჩატარებას. ომი ითხოვდა კარგად მომზადებული ჯარისკაცების ა და ოფიცრების ყოლას. ამიტომაც ჩატარდა სამხედრო რეფორმა. ჯარი რეორგანიზებული იყო. მის შესაქმნელად ყოველ 20–გლეხური კომლიდან თითო– ***რეკრუტი*** (ჯარისკაცი) იქნა გაწვეული. რეფორმის შედეგად შეიქმნა რეგულარული ჯარი და ფლოტი.

1711 წელს სახელმწიფოს გასაძლიერებლად შეიქმნა სენატი. სენატი ასრულებდა არმასრულებელ ფუნქციებს პეტრე I ქვეყანაში არ ყოფნის დროს. ცოტა ხანში ის გადაიქცა უმაღლეს აღმასრულკებელმ ორგანოთ და სასამართლო ფუნქციებიც შეიეთავსა. პროკაზების სანაცვლოდ შექმნილი იქნა 12 კოლეგია.

პეტრე I გააუქმა პატრიარქის წოდება და დაავალა სასულიერო საქმეები სინოდს, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებად გარდაიქმნა. ეკლესია ექვემდებარებოდა სახელმწიფოს.

ადმინისტრაციული რეფორმების საფუძველზე სახელმწიფო 8 გუბერნიად დაიყო. გუბერნიებს გუბერნატორები მართავდნენ. ისინი იყვნენ უფროსი მოსამართლეები, მხედართმთავრები და მმარტველები თავის გუბერნიაში. პეტრე I მიერ შექმნილი ჯარის წყალობით რუსეთმა 1721 წელსეტის ომი. ნიშტადის ხელშეკრულებით რუსეთმა მიიღო გასასვლელი ბალტიის პირეთზე, მიიღო პრიმორიეს მიწები. 1721 წელს პეტრე I მიიღო იმპერატორის წოდება და გახდა რუსეთის პირველი იმპერატორი.



*პეტრე I*

LAYİHƏ



*XVIII საუკუნის რუსი ჯარისკაცები*

***შეეცადე გაარკვიო პეტრე I მიერ ჩატარებული რეფორმების შედეგები.***

პეტრე I რეფორმების შედეგად რუსეთში გაიხსნა პირველი ტეატრი, გამოიცა პირველი გაზეთი, შეიქმნა პირველი სახელმწიფო ბიბლიოთეკა, შეიქმნა მეცნიერებათა აკადემია, შეიცვალა კალენდარი და ანბანი. პეტრე I რეფორმების სედეგად რუსეთმა დაიწყო ევროპის დაწევა განვითარებაში.

## კითხვები და დავალებები

1. რაში მდებარეობდა 1649 წლის „კანონთა კრებულის“ არსი? 2. რა ცვლილებები მოხდა რუსეტში XVII საუკუნის მეორე ნახევარში? 3. რა ამოცანები იდგა რუსეთის წინაშე XVII საუკუნის საგარეო პოლიტიკაში? 4. შეადარეთ პეტრე XVII რეფორმები შჰ აბას XVII რეფორმებს. 5. რას ნიშნავს ავტორიტარული რეჟიმი?

LAYİHƏ

## 16.2. ბრძოლა თბილ ზღვებში გასასვლელისათვის



*XVIII საუკუნეში მანუფაქტურის გაზრდამ რუსეთსი გააჩინა მოთხოვნილება ნედლეულში დდა გასაღების ბაზარში. ჯერ კიდევ პეტრე I დროს რუსეთმა დაიპყრო აზოვის პირეთი, კასპიის პირეთი, შავი ზღვის პირეთი და დაიწყო ამ რეგიონების გადაქცევა ნედლეულის მოსაპოვებელ ცენტრებად. ამიტომაც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო თბილი ქვეყნებისკენ გასასვლელი თბილი ზღვების ხელში ჩასაფდებად.*



**რომელ ქვეყნებს ეომებოდა რუსეთი თბილ ზღვებზე გასას-ვლელისათვის?**

**ძირითადი სიტყვები:** *ეკატერინე II, ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრუ-ლება, „ტავრიდა“,იასის სამშვიდობო ხელშეკრულება*

**ეკატერინე II ხელისუფლებაში მოსვლა.** 1762 წელს სასახლის გადა-ტრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა ეკატერინე II. ეკატერინე II დროს რუსეთის იმპერია თავისი საზღვრებით გაიზარდა, როგორც დასავლეთით ასევე სამხრეთითაც. სახელმწიფო მმართველობაში პეტრე I მერე არაფერი არ შეცვლილა. ეკატერინე II გააგრძელა პეტრეს პოლიტიკა შავი ზღვის დაპყრობაზე.

რუსული მდინარეები დნეპრი და ვოლგა ჩაედინებოდნენ შავ და კასპიის ზღვაში და სავაჭრო გზის გაგრძელება იყვნენ. რუსი ვაჭრები დაცურავდნენ საზღვარგარეთ შავი და კასპიის ზღვის მეშვეობით.

XVIII საუკუნის მეორე ნახე-ვარში შავი ზღვის ჩრდილო სანა-პირო მდინარე ბუგას, დნეპრისა და დონის გარდა იმყოფებოდა ოსმალეთის იმპერიისა და მისი ვასალის ყირიმის ხანის ხელში. შავი ზღვის ბასეინი მთლიანად ოსმალეთის სახელმწიფოს ხელში



*ეკატერინე II*

LAYİHƏ




*ბოსფორისა და დარდანელების სრუტე*

იმყოფებოდა. ოსმალეთის მმართველებმა შავი ზღვა გადააქციეს თავის „შიდა ზღვათ“ და არავის არ აძლევდნენ უფლებას თავიანთი გემების გარდა ეცურად შავ ზღვაში.

1768 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიწყო მორიგი ომი. 1770 წლის ზაფხულში რუსეთის ჯარმა გაიმარჯვა ბრძოლებში მდი-ნარეებთან ლარგასთან და კაგულთან. ამის შემდეგ ისინი გადმოვიდნენ დუნაის მარჯვენა სანაპიროზე. ბესარაბია, ვალახეთი და მოლდოვა რუსებმა დაიპყრეს.

***ამ ომის რომელ საზღვაო ბრძოლაში სძლიეს რუსებმა ოსმალებს?***

ევროპულ ქვეყნებს არ სურდათ რუსეთის გაძლიერება ბალკანეთში. ამიტომაც ევროპული ქვეყნების ზეწოლის გამო რუსეთი იძულებული გახდა დაეწყო მოლაპარაკებები. 1774 წელს ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიას შორის, ბულგარულ დასახლება ქუჩუქ-კაინარჯიში ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას.

LAYİHƏ



*რუსების მიერ ციხე-სიმაგრე კინბურნის აღება*

*რა შედიოდა ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებაში?*

1783 წელს რუსეთის მთავრობის მიერ ყირიმის სახანოს ანექსიამ სახელწოდებით „ტავრიდა“ მოიტანა 1787 წლის ახალი ომი ოსმალებსა და რუსებს შორის.

ომი დაიწყო ოსმალების მიერ ციხე-სიმაგრე კინბურნის შეტევით, რომელიც დამთავრდა ოსმალების წარუმატებლობით. 1791 წლის იანვარში იასიაში დაიდო საზავო ხელშეკრულება ოსმალებთან.

*რა პირობები ჰქონდა იასიის მშვიდობიან ხელშეკრულებას?*

*რა შესაძლებლობები გაეხსნა რუსეთს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე გასვლით?*

**რუსეთის გამაგრების მცდელობა კასპიურ ოლქებში.** XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სამხრეთ კავკასია ჯერ კიდევ რჩებოდა რუსეთის ინტერესის ქვეშ. ვოლგა-კასპიის სავაჭრო გზას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა რუსეთისათვის. სამხრეთ კავკასიაში გამაგრება რუსეთისათვის სასურველი იყო მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით.

*სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გამაგრება, რომელ სახელმწიფოსთან ბრძოლაში ანიჭებდა მას უპირატესობას?*

1783 წელს რუსეთის მიერ ყირიმის დაპყრობა, გიორგევსკის ტრაქტატის საფუძველზე ქართლ-კახეთის რუსეთის პროტექტორატში გადასვლა,



LAYOUT

მისი პოლიტიკური გავლენა აზერბაიჯანზე -უადვილებდა მას ბრძოლას ზღვებისათვის.

აზერბაიჯანი, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტებით იყო მდიდარი, შეიძლებოდა გამხდარიყო რუსეთის მანუფაქტურის წარმოებისათვის ყველაზე სასარგებლო ნედლეულის წყაროდ და გასაღების ბაზრად. იმავდროულად, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით აზერბაიჯანი წარმოადგენდა სამხედრო სტრატეგიულ ტერიტორიას, რუსეთის მიერ ეკონომიკის კავშირების დასამყარებლად აღმოსავლეთ ქვეყნებთან. ამიტომაც, რუსეთის მოღვაწეობის გაძლიერებას კასპიის ზღვაზე ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, როგორც სავაჭრო საკითხებში, ასევე სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით. რუსეთის დაპყრობით გეგმებს აზერბაიჯანის ტერიტორიების მიმართ სერიოზულ წინაღმდეგობას უწევდა ოსმალეთის იმპერია. ოსმალეთის სახელმწიფო ევროპული ქვეყნების მხარდაჭერით, განსაკუთრებით ინგლისის, მიუხედავად თავისი შიდა პრობლემებისა, სცდილობდა არ დაეშვა რუსეთის გაძლიერება ამ რეგიონში.

1795 წელს აღა-მაჰმად-ხან გაჯარის აღმოსავლეთ საქართველოში ლაშქრობის წინ, ქართველმა მეფემ ერეკლე II მიმართა რუსეთს დახმარებისათვის. მაგრამ რუსეთმა არ გაუწია ქართლ-კახეთის სამეფოს დახმარება. რუსეთის მმართველმა წრეებმა „დახუჭეს თვალები" ტიფლისის აღა-მაჰმად-ხან გაჯარის მიერ გაპარტახებაზე იმის გამო, რომ ჰქონოდათ საბაბი სამხრეთ კავკასიაში თავისი ჯარის შემოსაყვანად. შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში რუსეთის იმპერატრიცას უნდოდა საქართველოს გაწირვა სამხრეთ კავკასიის კასპიის ზღვის დასავლეთის დასაპყრობად.

ეკატერინე II მისცა განკარგულება უძლიერეს სამხედრო ლაშქრობაზე აზერბაიჯანის დასაბყრობად. 1796 წლის გაზაფხულზე ეკატერინე II მთავრობამ დაიწყო ლაშქრობა სამხრეთ კავკასიასა და აზერბაიჯანზე. ამ ლაშქრობას ხელმძღვანელობდა გენერალი ვალერიან ზუბოვი. მაგრამ 1796 წლის 6 ნოემბერს ეკატერინე II -ს უეცარმა სიკვდილმა და რუსეთის ურთიერთობების გაფუჭებამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან აიძულა რუსული ჯარი, სამხრეთ კავკასიის დატოვებაზე. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიის ბრძოლა თბილი ზღვების დასაბყრობად ვერ განხორციელდა.

LAYİHƏ

## კითხვები და დავალებები

1. რა ტერიტორიების დაბყრობას გეგმავდა რუსეთი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში? 2. კიდევ რომელი სახანოები არსებობდა რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ყირიმის სახანოს გარდა? შეაგროვეთ იმფორმაცია. 3. გვაჩვენეთ რუქაზე ტერიტორიები რომლებიც ოსმალეთის იმპერიამ გადასცა რუსეთს ქუჩუქ-კაინარჯის და იასიის საზავო ხელშეკრულებებით. 4. რასთან იყო დაკავშირებული რუსეთის მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება აზერბაიჯანის ოლქების დაპყრობაზე? 5. რატომ ვერ დასრულდა წარმატებით რუსეთის გეგმები, სამხრეთ კავკასიაში გამაგრებისა XVIII საუკუნის ბოლოში? 6. რატომ დახუჭა თვალები რუსეთმა აღა-მაჰმად-ხან გაჯარის მიერ ტიფლისის დაპყრობაზე?

## ქრონოლოგია

| 1762 წელი | 1768 წელი | 1770 წელი | 1774 წელი | 1783 წელი | 1795 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |



LAYİHƏ

## 17. ამერიკისა და ევროპის კულტურა



*XVIII საუკუნეში ევროპის მეცნიერებამ და კულტურამ გააგრძელეს თავისი განვითარება. კოლონიებმა, რომლებიც ევროპელებმა ჩრდილო ამერიკაში შექმნეს, ევროპულ კულტურას თავისი ელფერი შესძინეს.*

**როგორი პიროვნებები ანვითარებდნენ კულტურას XVIII საუკუნეში?**

**ძირითადი სიტყვები:** *მოლიერი, წმინდა პეტრეს ეკლესია, ა. რადიშევი, ლა პროფესო, ჰარვარდის უნივერსიტეტი.*

**დასავლეთ ევროპის კულტურა.** მანუფაქტურისა და ვაჭრობის განვითარებამ მისცა ბიძგი მეცნიერულ აღმავლობას. ინგლისელმა მეცნიერმა ისააკ ნიუტონმა აღმოაჩინა მსოფლიო მიზიდულობის ძალა და გერმანელ მეცნიერთან გ. ლეიბნიცთან ერთად ჩაუყარა საფუძველი, უმაღლეს მათემატიკას.




*ძმები მონგოლფიეების საჰაერო ბუშტი*

ნიდერლანდელმა მეცნიერმა ა.ლევენგუკმა გამოიგონა ლინზა, რომელიც ადიდებდა სხეულს 150–300-ჯერ. ამან მისცა მეცნიერებს საშუალება ბაქტერიების შესწავლისა. ინგლისელი მეცნიერმა ე. ჯენერმა დაიწყო თავის ქვეყანაში ჩუტყვავილის წინააღმდეგ აცრის ჩატარება, რომელიც თურქებმა გამოიგონეს.

***ვისგან გადმოიღო ე. ჯენერმა ჩუტყვავილის საწინააღმდეგო აცრა?***

XVII–XVIII საუკუნის ცნობილმა მწერლებმა, მოლიერი თავის კომედიებში, და შილერი თავის ტრაღედიებში, აკრიტიკებდნენ თავისი დროის ნაკლს.

***რატომ აკრიტიკებდნენ მწერლები, იმ დროს, რომელშიც ცხოვრობდნენ?***

ევროპული მუსიკა ასევე იმყოფებოდა აღდგენის სტადიაზე. ი. ბახი, ვ. მოცარტი იყვნენ თავისი დროის გამორჩეულ კომპოზიტორები.

LAYTHE



*წმინდა პეტრს ტაძარი რომში*

მოცარტის ოპერები „დონჟუანი“, „ფიგაროს ქორწილი“ დღესაც მშვენიერ ნაწარმოებებად ითვლებიან.

ამ ეპოქის გამოხატულებამ თავის თავი ჰპოვა ასევე მხატვრობასა და არქიტექტურაში. ამის ნათელი მაგალითი არის ჟაკ ლუი დავიდის ნახატები „მარატი“, „ბრუთუსი“ და სხვა. წმინდა პეტრეს ტაძარი რომში– არქიტექტურის საუკეთესო მაგალითია, რომელიც აშენებულია ბაროკოს სტილში.

**რუსეთის კულტურა.** როგორც სხვა ქვეყნებში, ასევე რუსეთშიც ხდებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს კულტურის განვითარებაზე. რეფორმირებულ განათლების სისტემაში უპირატესობა ენიჭებოდა ზუსტ მეცნიერებებს.

***რაში გამოიხატებოდა განათლების სისტემის რეფორმა?***

XVIII საუკუნის დასაწყისში მოსკოვში გაიხსნა ნავიგაციური, არტილერიული, ინჟინერული და სამედიცინო სასწავლებლები. 1715 წელს შეიქმნა პეტერბურგის საზღვაო აკადემია.

რუსმა გეოგრაფებმა აღმოაჩინეს კურილის კუნძულები, ალიასკის ნახევარ კუნძული.

LAYİHƏ



*მ. ვ. ლომონოსოვი*

1725 წელს ამოქმედდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია. ეს იყო ყველაზე დიდი მიღწევა რუსულ მეცნიერებასა და კულტურაში.

მიხეილ ვასილევიჩ ლომონოსოვმა შეიტანა განსაკუთრებული წვლილი XVIII საუკუნის რუსული მეცნიერების განვითარებაში. იგი არის ორგანული და ფიზიკური ქიმიის დამაარსებელი, პირველი ქიმიური ლაბორატორიის ორგანიზატორი. 1755 წელს მან დაარსა მოსკოვის უნივერიტეტი.

იმ ხანის მოვლენებმა თავისი განსახიერება ჰპოვეს ისტორიულ ნაწარმოებებში. დაწერილ იქნა რუსეთის ისტორიის ხუთტომეული. დ. ჰონვიზინი და ნ. კარამზინი არიან ცნობილი მწერლები და ისტორიკოსები.

ცნობილმა მწერალმა ა. რადიშევმა თავის ნაწარმოებში „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში“ თამამად გააკრიტიკა ბატონყმობა რუსეთში. ასევე ვითარდებოდა თეატრალური ხელოვნება, რომელიც არის კულტურის ერთ-ერთი მაჩვენებელი. 1702 წელს გახსნილი იქნა მოსკოვის თეატრი. თეატრის გახსნამ დიდი ბიძგი მისცა კულტურის განვითარებას.

ვ. ბაჟენოვი, მ. კაზაკოვი იყვნენ იმ ხანის ცნობილი არქიტექტორები, ხოლო დ. ლევიცკი და ვ. ბოროვიკოვსკი იყვნენ გამოჩენილი მხატვრები. ვ. ბაჟენოვმა ააშენა ტაშკოვის სახლი მოსკოვში, ხოლო მ. კაზაკოვმა– ძველი მოსკოვის უნივერსიტეტის შენობა და სენატი კრემლში. იმ დროის ცნობილ არქიტექტურულ ძეგლებს შორის ასევე მოიხსენიება ლეფორტოვოს სასახლე მოსკოვში და პეტრე-პავლეს ეკლესია პეტერბურგში.

ამერიკის კულტურა. ესპანელმა დამპყრობლებმა გაანადგურეს ინდიელების ძველი კულტურა. XVII საუკუნის პირველ ნახევარში პერუში აშენდა ახალი ქალაქები. კუსკოში და ლიმაში შენდებოდა ეკლესიები ესპანურ სტილში.

***რატომ შენდებოდა პერუში ახალი ეკლესიები ესპანურ სტილში?***

ხ.ტ. ტუიპი-ტუპაკი იყო XVII საუკუნის გამოჩენილი ინდიელი არქიტექტორი. მის მიერ აშენდა თეატრი ლიმაში. XVII–XVIII საუკუნეებში მექსიკაში სწრაფად ვითარდებოდა არქიტექტურა და ქალაქმშენებლობა. არქიტექტურაში ჭარბობდა ბაროკოს სტილი. XVII საუკუნეში აშენდა ეროვნული სასახლე, XVIII საუკუნეში კი– ლა პროფესო არიან იმ ხანის არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშები.

LAYIHƏ

XVII საუკუნის დასაწყისში გაიხსნა თეატრი ლა-პასდა.

XVIII საუკუნის სახელმწიფოს მუსიკალურ ცხოვრბაში, მთავარი როლი ჯერ ესპანური, ხოლო შემდგომ იტალიურ ოპერებს ეკავათ. მექსიკაში თეტრალური ხელოვნების საფუძველს შეადგენდნენ ძველ ინდიელური რელიგიური ცერემონიალური რიტუალები. პირველი საჯარო თეატრალური წარმოდგენა ნაჩვენები იყო 1670 წელს მეხიკოში. მოგვიანებით თეტრებმა სხვა ქალაქებშიც დაიწყეს მოქმედება.

XVIII საუკუნის გამოჩენილი არქიტექტურულ ძეგლებს შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ეკლესია პოტოსიში.



*მექსიკა. ბაროკოს სტილში აშენებული ეკლესია*

XVII საუკუნეში დაფუძნებული ჰარვარდის უნივესიტეტი XVIII



*ჰარვარდის უნივერსიტეტი*

LAYİHƏ

საუკუნის დასაწყისამდე იყო ერთადერთი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ქვეყანაში.

ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ბ. ფრანკლინი, XVIII საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული ჩრდილო ამერიკული მეცნიერების წარმომადგენელი, იმავდროულად არის რამოდენიმე გამოკვლევის ავტორი ელექტროობის დარგში. 1727 წელს ფილადელფიაში მან შექმნა მეცნიერების მოყვარულთა კლუბი.

*მეცნიერების რომელ დარგში აკეთებდა გამოკვლევებს ფრანკლინი?*

1751 წელს ა.შ.შ შქმნილი იქნა თეატრი, და XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა ეროვნული დრამატურგია.

## კითხვები და დავალებები

1. დაადგინეთ მიზეზობრივი კავშირი, მანუფაქტურის ვაჭრობისა და მეცნიერების განვითარებათა შორის? 2. განმარტეთ ა. რადიშევისა და დასავლეთ ევროპელი მწერლების მსგავსება? 3. რასთან იყო დაკავშირებული ევროპული კულტურის გავლენა არქიტექტურაზე და მუსიკაზე, ამერიკის ხალხებზე XVII–XVIII საუკუნეებში? 4. დაწერეთ ესსე თემაზე „ლიტერატურა, ხელოვნება, არქიტექტურა– არიან ქვეყნის ისტორიული წყაროები". 5. სხვადასხვა წყაროების გამოყენებით, შეადგინეთ ძირითად სიახლეთა ცხრილი ევროპისა და ამერიკის XVII–XVIII საუკუნეების კულტურის დარგებზე.

## ქრონოლოგია




LAYİHƏ

## ინტერნეტის მოსახმარებლად

1. www.history.az
2. www.history.ru
3. http://www.urokiistorii.ru
4. http://www.uroki.net
5. http://teachers.net/lessonplans/subjects/history
6. http://az.wikipedia.org/wiki/Portal:Tarix

LAYİHƏ

**ÜMUMİ TARİX 8**

*Ümumtəhsil məktəblərinin 8-ci sinfi üçün*
*Ümumi tarix fənni üzrə*

**DƏRSLİK**

(Gürcü dilində)

**Tərtibçi heyət:**


Müəlliflər **Yaqub Mikayıl oğlu Mahmudlu**
**Sabir Əbdül Əziz oğlu Ağayev**
**Tofiq Hümbət oğlu Nəcəfli**
**Babək Ələkbər oğlu Xubyarov**
**Amənə Eldar qızı Kərbəlayeva**

Tərcüməçi **Nəriman Əliyev**

Nəşriyyat redaktoru ***Gülər Ələkbərqızı***
Bədii və texniki redaktor ***Abdulla Ələkbərov***
Dizaynerlər ***Səbinə Məmmədova,***
***Təhmasib Mehdiyev***
Korrektor ***Aftandil Kapanadze***

*Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin*
*08.06.2015-ci il tarixli 645№-li*
*əmri ilə təsdiq edilmişdir.*



**© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi — 2017**

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.



Hesab-nəşriyyat həcmi 7,32. Fiziki çap vərəqi 8,0.
Formatı 70x100 1/16. Səhifə sayı 128. Ofset kağızı.
Tiraj 200. Pulsuz.

«Aspoliqraf LTD» MMC
Bakı, AZ 1052, F.Xoyski küç., 149



LAYİHƏ

**PULSUZ**

LAYİHƏ

მსოფლიო ისტორია

სახელმძღვანელო 8